პალიტრა მედია

# ლელო



გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 იანვარი **ოთხშაბათი** 2010
№003(12991) ფასი 60 თეთრი

## გილოცავთ დამდეგ ქრისტეშობას!



# ჟორდანია ბრალს სდებს...

„...უკვე რამდენიმე წელია, რაც დინამოს ხელმძღვანელობენ პიროვნებები, რომელთაც არც ძალუძთ კლუბის მართვა და არც აქვთ ამის უფლება. ისინი არაკომპეტენტურები არიან. მათ აბსოლუტურად არ აღელვებთ დინამოს არც დღევანდელობა და არც მომავალი. მათ შეძლეს და დაანგრიეს, გაანადგურეს კლუბი, რომელიც წლების განმავლობაში ქართული ფეხბურთის სახე იყო...“

## ...და კიდევ ის, რაც აქამდე არ თქმულა

ინტერვიუ >> გვერდი 2-3



## ჰიუზს თურქეთში უხმობენ

მსოფლიო ფეხბურთი >> გვერდი 5-10



## დღეს იტალია ტონით და ბექჰემით განახლდება



### ფერარას გადამწყვეტი დღეები

>> გვერდი 5

**მომდევნო ლელო გამოვა პარასკევს, 8 იანვარს**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომავალი

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი გიორგი გუგავა ის იშვიათი ქართველია, რომლითაც ესპანეთის პრიმერა დივიზიონის (ლა ლიგა) კლუბი დაინტერესდა. 21 წლის მოთამაშე თბილისის „დინამოდან" პირინეებზე 2009 წლის დასაწყისში გაემგზავრა და მესამე დივიზიონის „გრანადაში" ჩაირიცხა. კმაყოფილიც იყო, მაგრამ ეს კლუბი დაიშალა და იმავე ლიგის „არენასში" გადავიდა.**

**გუგავას ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელიაც ემადლიერებოდა, მაგრამ ბოლო შეხვედრებში აღარ გამოჩენილა. როგორც დავადგინეთ, გიორგი ტრავმირებულია და ბოლო თვეები არ უვარჯიშია. იმ დროს, როცა ესპანეთში გუნდებმა სეზონი განაახლეს, გიორგი თბილისში ვნახეთ...**

# გუგავა პრიმერა დივიზიონში გადასვლით დააიმედეს

## ესპანელ მენეჯერს ქართველი ნახევარმცველი მოეწონა

**- გიორგი, ესპანეთში რატომ არ ხარ?**

- ბოლო ორი თვეა, ტრავმას ვმკურნალობ. მითხრეს, საშიში არაფერიაო, თუმცა ძალიან ცუდი შეგრძნება მქონდა და აღმოჩნდა, რომ კუნთი იყო გაწყვეტილი.

**- ნაკრებში ტრავმის გამო არ გიძახებდნენ?**

- ეს არ იყო მიზეზი. ვაღიარებ, ირლანდიასთან კარგად ვერ ვითამაშე. არადა, მანამდეც მცირე ტრავმა მივიღე და ფორმის აღდგენას ვცდილობდი. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი ბრალი არ იყო - ირლანდიელებმა დუბლინში ისე დაიწყეს, მათ ნახევარზე ვერ გადავედით. ირლანდია ასეთი ძლიერი არ მეგონა. თუმცა, ბოლოს თამაში გამოვასწორეთ და ანგარიში გავათანაბრეთ. მწვრთნელის გადასაწყვეტია, საჭირო ვარ თუ არა. გაბელია თავიდან მენდობოდა, ბოლოს კი აღარ მიძახებდა. თუმცა, თამაშები წინაა და იმედია, მანამდე ფორმას აღვიდგენ.

**- ისევ „არენასში" რჩები?**

- ვერაფერს გეტყვით. ბოლო ორი თვეა არ მითამაშია. არადა, საკმაოდ საინტერესო წინადადებები მივიღე და გადასვლის იმედი რომ გამიჩნდა, მაშინ დავშავდი. ეს 3 ნოემბერს მოხდა. მკურნალობას უკვე ვასრულებ და ესპანეთში გავემგზავრები. „არენასი" პერსპექტიული გუნდია და თუკი სხვა ვარიანტი არ გამოჩნდება, დროებით მასზე უარის თქმა სისულელე იქნება. ესპანეთის დაბალ ლიგებში უმთავრესად 20-წლამდელები თამაშობენ და ტურნირებშიც ხშირად მონაწილეობენ. მიზანი ფეხბურთელების გაყიდვაა, ვეტერანებს იქ იშვიათად ნახავთ. თუ გახსოვთ, ერთ-ერთმა ასეთმა გუნდმა ესპანეთის თასიდან თვით მადრიდის „რეალი" გააგდო - შინ 4:0 მოუგო. სხვათა შორის, „არენასში" იმ პირობით წავედი, რომ მენეჯერი პრიმერა დივიზიონში გადამიყვანდა.

**- ვინ არის შენი მენეჯერი?**

- „რეალში" ჰოლანდიელი დრენტე რომ გადაიყვანა, ის არის სწორედ ჩემი მენეჯერი. ეს კაცი „რეალთან", „ბარსელონასა" და ესპანეთის ყველა წამყვან კლუბთან თანამშრომლობს. არ ვამბობ, რომ გრანდში წამიყვანს, მაგრამ პრიმერა დივიზიონში გადასვლა რეალური მგონია. ტრავმა ცუდ დროს მივიღე. მენეჯერმა მითხრა, რომ პრიმერას ოთხი კლუბი მაკვირდებოდა. თავიდან ვერ დავიჯერე, მაგრამ დიდი გაქანების აგენტია და ბევრის გაკეთება შეუძლია. თუკი 15 იანვრამდე საბოლოოდ მოვმჯობინდი, ესპანეთში გავემგზავრები და ადგილზე ყველაფერს გავარკვევ.

**- მენეჯერმა სად გაგიცნო?**

- ლიტვაში, სადაც პირველი სანაკრებო შეხვედრა ჩავატარე. იმ დღეს საკმაოდ კარგად ვითამაშე, რაც გაბელიამ ინტერვიუშიც აღნიშნა. თურმე, მატჩს ესპანელი მენეჯერი ლიტველ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად დაესწრო, მაგრამ მე მნახა და მოვეწონე. გაიგო, ესპანეთში რომ ვთამაშობდი, კლუბით დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ „არენასთან" პარტნიორობდა. მატჩის შემდეგ კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა.

**- სხვა ქართველი ფეხბურთელი არ მოსწონებია?**

- ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩემითაც იმიტომ დაინტერესდა, რომ ესპანეთში ვთამაშობდი.

**- შენი აზრით, ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის რეალური შანსი აქვს?**

- გუნდმა საკმაოდ კარგად დაიწყო და დიდი პოტენციალი აქვს. თურქეთთან მოგების შემდეგ, ხალხს გუნდის იმედები გაუჩნდა. სრული შემადგენლობით რომ ითამაშოს, წარმატების მართლა მიაღწევს. 2010 წელს სამი საშინაო შეხვედრა დაგვრჩა და ესეც ჩვენი შანსია. მჯერა, გასვლა შეგვიძლია, უბრალოდ, თითოეული ქულისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- ესპანეთში სულ სხვა რიტმსა და ცხოვრების წესს როგორ შეეჩვიე?**

- მაგარი ქვეყანაა, ხალხი ძალიან თბილი და მეგობრულია. თვალში გვხვდება ბევრი განსხვავება. მაგალითად, საქართველოში მილიონერი მეტროში არ ჩავა, რადგან ამას არ იკადრებს. პირადად მე, ესპანეთში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი და მსახიობი ვნახე მეტროში. მაგალითად, პორტუგალიელი მიგელი ავტოგრაფებს არიგებდა, ხალხს კი არ ემალებოდა. ესპანეთში ლამის ყოველდღე პროგრესს ვგრძნობდი. პროფესიონალების გარემოცვაში ვარ, ფეხბურთელი თავის თავს არ ვნებს და იცის, რა უნდა. შეუძლებელია, ასეთ გარემოცვაში არ გაიზარდო. რეჟიმის დამრღვევი იქ არ მინახავს, თუმცა, არავის არ აკონტროლებენ. ამიტომაც აქვთ შედეგები. თქვენ რა გგონიათ, ყველა მილიონებს იღებს? თუმცა მილიონების და დიდი ფეხბურთის თამაშის იმედად, ბევრ სიამოვნებას იკლებენ. ზემოთ ვახსენე გუნდი, რომელმაც ესპანეთის თასიდან „რეალი" გამოაგდო. ამ გუნდში საშუალო ხელფასი 1000 ევრო თუ იქნება, რაც ესპანეთისთვის ძალიან დაბალი მაჩვენებელია. თუმცა არავინ ამბობს, დაბალი ხელფასი გვაქვს და არ ვითამაშებთო. მიზანი ყველა ფეხბურთელს აქვს და მის მისაღწევად თავს არავინ ზოგავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## მერაბ ჟორდანია

# ...ყველამ გაიგოს, რატომ აღმოჩნდა დინამო ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში

## ვინ გაამარჯვებინა მიშელ პლატინის? დღეს ამას პირველად ვამბობ...



**როგორც იცით, მერაბ ჟორდანია და მისი მეგობრები თბილისის „დინამოს" დაბრუნებისთვის იბრძვიან. საინტერესოა, რა სტადიაშია ეს ბრძოლა, რა სამართლებრივი ფორმითაა შესაძლებელი სამართლიანობის აღდგენა (როგორც თავად რესპონდენტი უწოდებს), ვინ მიიყვანა თბილისის „დინამო" კატასტროფულ მდგომარეობამდე (ესეც ჟორდანიასეული შეფასებაა), ვინ და რამ განაპირობა უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში მიშელ პლატინის გამარჯვება...**

**მოკლედ, ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ თბილისის „დინამოსა" და ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას მივმართეთ...**

- მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა, ჩემი მეგობრები აგრძელებენ ბრძოლას სამართლიანობის აღდგენისა და „დინამოს" დაბრუნებისთვის. მათი პოზიციის კატეგორიულობას განაპირობებს ის, რომ დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს გუნდი, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ - თბილისის „დინამო". დღეს ყველა ნათლად ხედავს, თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია ქართული ფეხბურთის ფლაგმანი, ფაქტობრივად, დაშლის პირასაა მისული... აღარ არსებობს ის „დინამო", რომელსაც ბავშვობიდან ვგულშემატკივრობდით. ეროვნულ ნაკრებს უმეტესწილად დინამოელები შეადგენდნენ. ასე იყო „დინამოში" ჩემი ხელმძღვანელობის დროს. დღეს კი პირიქითაა, ერთი-ორ დინამოელს თუ მოჰკრავთ თვალს ეროვნულ გუნდში... ჩვენს ხელში „დინამო" ზედიზედ ხდებოდა ჩემპიონიც და თასის მფლობელიც... დარწმუნებული ვარ, და ამაში ეჭვი არავის ეპარება, რომ სამართლიანობა აღდგება და კლუბი კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდება. სწორედ ჩემი მეგობრები დაუბრუნებენ თბილისის „დინამოს" ნათელ მომავალს.

> ...ის, რაც დინამოში წლების განმავლობაში არასწორად, არაკანონიერად გაკეთდა, ამ ყველაფერს სრულად მოვიძიებ და გულშემატკივართა სამსჯავროზე გამოვიტან...

**- კანონიერების აღდგენისთვის ვიბრძვითო, ამბობთ. საინტერესოა, რა სამართლებრივი ფორმებით მიდის ეს ბრძოლა?**

- მივმართავთ წერილით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ის თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ ინსტანციაში უნდა განიხილონ ეს სადავო საკითხი. ბოლო აღმასკომის დროს ლაპარაკი ჩამოვარდა დამოუკიდებელი სპორტული არბიტრაჟის შექმნის მართებულობაზე. ფეხბურთის ფედერაციამ კარგად აუღო ალღო თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს. დიახ, ასეთ სადავო საკითხებს ევროპაში სწორედაც სპორტული არბიტრაჟი განიხილავს და მისი დასკვნა საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, არც სამოქალაქო სასამართლოში. ყველგან ასეა.

**- ფიფასა და უეფაში კლუბებს ეროვნული ფედერაცია წარადგენს. ეს ორგანიზაციები თუ არიან საქმის კურსში?**

- რაც შეეხება უეფას ან ფიფას ჩარევას, ან მათ როლს, ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მ...ნდა. ერთს კი ...იტყვი - დიახ, ისინი საქმის კურსში არიან და ელოდებიან საკითხის გადაწყვეტას. დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება, ისეთი, რომ ჩვენს და მთლიანად საერთაშორისო საფეხბურთო წრეებს ოდნავი ეჭვიც არ გაუჩნდეთ.

**- ესე იგი, ფიფასა და უეფას წარმომადგენლებთან ამ საკითხზე უკვე ილაპარაკეთ?**

- ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მათი ინფორმირების მიზნით, მეტი არაფერი.

**- მოკლედ, აღდგეს სამართლიანობა და „დინამო" კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდეს - ეს არის თქვენი და თქვენი მეგობრების მიზანი. ეს კლუბი 1998 წელს, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დატოვეთ. მას მერე „დინამოს" თქვენი მეგობარი რომან შოთაძე ხელმძღვანელობდა. კლუბში იყვნენ ასევე ლერი სულაბერიძე, მერაბ რატიანი... კიდევ ვინ არიან თქვენს გუნდში, რომლებიც კლუბის დაბრუნებისთვის იბრძვიან?**

- ამ პროცესში სერიოზულად არიან ჩართულები რომან შოთაძე, „დინამოს" მაშინდელი პრეზიდენტი, ლერი სულაბერიძე, რომელიც შემდგომში კლუბის ვიცე-პრეზიდენტი იყო... მათ გარდა, არიან სხვა პიროვნებებიც, რომლებიც იმ პერიოდში „დინამოს" მართვაში მონაწილეობდნენ.

**- დავუშვათ, თქვენმა მეგობრებმა „დინამო" დაიბრუნეს. ყველას აინტერესებს, როგორი იქნება კლუბის მომავალი. თუ გყავთ შეგულებული ის ბიზნესპარტნიორები, ანუ მომავალი სპონსორები, რომლებიც ქართული ფეხბურთის ფლაგმანს მხარში დაუდგებიან და ძველი დიდების დაბრუნებაში დაეხმარებიან?**

- სხვათა შორის, ამ მხრივაც მოვსინჯეთ ნიადაგი - შევხვდით უცხოელ პარტნიორებს და ვილაპარაკეთ ამ თემაზე... თუმცა არ არის გამორიცხული, ქართული კომპანიებიც დავაინტერესოთ... იცით, ეს საკითხები უფრო იოლი გადასაწყვეტია, ვიდრე ის, რაც სამართლიანობის აღდგენას, ანუ „დინამოს" კანონიერ მეპატრონეთათვის დაბრუნებას მოიცავს... მოკლედ, ჯერ სამართლიანობის აღდგენას ველოდებით და მერე კი 100-პროცენტიანი გარანტიები გვაქვს იმისი, რომ კლუბს ძლიერი ბიზნესპარტნიორები ეყოლება.

**- რომელი ქვეყნის კომპანიებთან გქონდათ წინასწარი მოლაპარაკება?**

- ინგლისურ კომპანიებთან... არიან ინგლისსა და რუსეთში მოღვაწე ქართველები...

**- როგორც ვიცით, დეკემბრის მეორე ნახევარში ბადრი პატარკაციშვილის ქვრივს, ქალბატონ ინა გუდავაძეს შეხვდით. რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა თბილისის „დინამოს" საკითხს უკავშირდებოდა. რისი თქმა შეგიძლიათ ამ საკითხზე?**

- დიახ, ვადასტურებ, რომ მართლაც შევხვდი ქალბატონ ინას, ისევე, როგორც ბატონი ბადრის დებს - ქალბატონ მზიასა და ნანას.

» მე-3 გვერდზე

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ...ყველამ გაიგოს, რატომ აღმოჩნდა დინამო ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში

« მე-2 გვერდიდან

საჭიროდ ჩავთვალე, რომ კორექტულობა დამეცვა და ისინი საქმის კურსში ჩამეყენებინა. მოვახერხეთ, რომ ერთ პოზიციაზე ვყოფილიყავით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა გზით უნდა წარიმართოს მომავალში თბილისის „დინამოს“ განვითარება... რაც შეეხება მათ დამოკიდებულებას, სამწუხაროდ, ისინი ფეხბურთში დიდად ჩახედულები არ არიან. უკვე რამდენიმე წელია, რაც „დინამოს“ ხელმძღვანელობენ პიროვნებები, რომელთაც არც ძალუძთ და არც აქვთ უფლება, სათავეში ედგნენ ამ სახე-

> ...უკვე რამდენიმე წელია, რაც დინამოს ხელმძღვანელობენ პიროვნებები, რომელთაც არც ძალუძთ კლუბის მართვა და არც აქვთ უფლება, სათავეში ედგნენ მას. ისინი არაკომპეტენტურები არიან. მათ აბსოლუტურად არ აღელვებთ დინამოს არც დღევანდელობა და არც მომავალი. მათ შეძლეს და დაანგრიეს, გაანადგურეს კლუბი, რომელიც წლების განმავლობაში ქართული ფეხბურთის სახე იყო...

ლოვან კლუბს. მხედველობაში მყავს როგორც თბილისში, ასევე უცხოეთში მყოფი პიროვნებები. ისინი არაკომპეტენტურები არიან. მათ აბსოლუტურად არ აღელვებთ „დინამოს“ არც დღევანდელობა და არც მომავალი. მათ შეძლეს და დაანგრიეს, გაანადგურეს კლუბი, რომელიც წლების განმავლობაში ქართული ფეხბურთის სახე იყო. ამ ხალხის მმართველობისას „დინამოს“ ტიტულებისთვის ბრძოლა გაუჭირდა, ეს კი არა, მეოთხე-მეხუთე ადგილებზეც დაეშვა და თითქოს, ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყოს და უნდა ვეგუებოდეთ ამას. მათ, ვინც ჩვენი ფეხბურთის სიამაყე ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, პასუხი უნდა აგოს არა მარტო ქართული ფეხბურთის გულშემატკივრების, არამედ საერთოდ - ხალხის წინაშეც. ჩვენ კანონიერების აღდგენისთვის ვიბრძვით და ეს პროცესი კარგად დასრულდება თუ ცუდად, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ის, რაც „დინამოში“ წლების განმავლობაში არასწორად, არაკანონიერად გაკეთდა, ამ ყველაფერს სრულად მოვიძიებ და გულშემატკივართა სამსჯავროზე გამოვიტან. ყველამ გაიგოს, თუ რატომ აღმოჩნდა ყველასთვის საფიცარი თბილისის „დინამო“ ასეთ მდგომარეობაში, რა დოზითაა არაკომპეტენტურობა და რა დოზით - არაკანონიერება. მერწმუნეთ, ამას გავაკეთებ.

**- ამ საკითხთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია თუ იცით?**

- ხელისუფლებაში იქნება თუ ოპოზიციაში, არა მგონია, საქართველოში არსებობდეს ადამიანი, რომ არ აღელვებდეს „დინამოს“ დღევანდელი მდგომარეობა. სამწუხაროდ, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვკარგავთ... თუ უკვე არ დავკარგეთ... თბილისისა და მთლიანად ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბრენდს. კიდევ ერთხელ გეუბნებით - არა მგონია, ეს ვინმეს არ აღელვებდეს. გაზაფხულზე დედაქალაქის მერის არჩევნებია. ამ პოსტზე რამდენიმე ადამიანი აპირებს კენჭისყრას და ვფიქრობ, „დინამოს“ თემაც არ იქნება მათთვის უმნიშვნელო. ბოლო ხანს თბილისში ბევრი რამ გაკეთდა და დედაქალაქის მერს სწორედ ამ საქმეებით გაიხსენებენ. ძალიან მინდა, რომ მის სახელთან „დინამოს“ სახელის დაკარგვა კი არა, მდიდარი ტრადიციების გადარჩენა ასოცირდებოდეს... „დინამოს“ არაერთხელ უსახელებია თბილისი და ჩვენი ქვეყანა და როგორც რიგითმა გულშემატკივარმა, მინდა მივმართო თბილისის მერს, რომ ჩაერთოს ამ პროცესში.

**- „დინამოს“ თემა უკვე რამდენიმე თვეა, რაც წამოტივტივდა და ბუნებრივია, მეორე მხარეც, ასე ვთქვათ, გარკვეულ ზომებს მიიღებდა. თუ იყო თქვენი ან მათი მხრიდან შეხვედრის ინიციატივა?**

- თქვენს კითხვაში ერთ მნიშვნელოვან კორექტივს შევიტანდი - აქ არანაირი მეორე მხარე არ არსებობს. ის ხალხი, ვინც ეს სახელოვანი კლუბი ასეთ კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა, არ არიან პიროვნებები, რომლებთანაც ლაპარაკი შეიძლებოდეს, ან აუცილებელი იყოს.

**- იყო დრო, „დინამოს“ მმართველიც იყავით და ქართული ფეხბურთისაც. კლუბთან მიმართებაში შეფასებები უკვე გააკეთეთ, ახლა საინტერესოა, როგორი იყო თქვენი აზრით განვლილი 2009 წელი ზოგადად ჩვენი ფეხბურთისთვის?**

- იმედის მომცემი და გასახარია ის, რომ ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთხელ გამოანათეს ტალანტებმა - პირველ რიგში, ჯანო ანანიძესა და გიორგი ჭანტურიას ვგულისხმობ. ასეთი ტალანტი კიდევ არაერთი გამოჩნდება, თუ სერიოზულად და მაღალ დონეზე ვიმუშავებთ, როგორც თბილისის „დინამოში“, ასევე მთლიანად ჩვენს ფეხბურთში. ასევე, აღსანიშნავი იყო ის, რომ გიორგი დევდარიანის გუნდი ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში მოხვდა... დეკემბრის ბოლოს, შოთა არველაძის წიგნის პრეზენტაცია ჩატარდა და ამასაც მინდა შევეხო. ეს წიგნი იმის კიდევ ერთი ნიშანია, რომ ფეხბურთელ შოთა არველაძის ეპოქა დასრულდა. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში შოთა იყო ერთ-ერთი იმ ფიგურათაგანი, რომელსაც თავაწეულს შეუძლია სიარული. მეამაყება, რომ წლების განმავლობაში მე და შოთა ქართულ ფეხბურთს ერთად ვემსახურებოდით... მან ახლა სამწვრთნელო კარიერა დაიწყო და დარწმუნებული ვარ, აქაც წარმატებული იქნება... ასევე 2009 წელს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად თემურ ქეცბაია დაინიშნა. მივესალმები ამ გადაწყვეტილებას და მინდა, თემურს წარმატებები ვუსურვო. სხვათა შორის, მქონდა ბედნიერება, მასთან ერთად მეთამაშა თბილისის „დინამოში“. შემდეგ ის კვიპროსში წავიდა, მაგრამ ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. რაც შეეხება მის მწვრთნელობას, მეამაყება, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, ვისაც მიაჩნდა, რომ თემური კარგი მწვრთნელი გახდებოდა. ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ ის პერიოდი, როცა ეროვნულ გუნდს მთავარი მწვრთნელი არ ჰყავდა. მაშინ ვთქვი, რომ ნაკრების თავკაცის ფუნქციებს მე შევითავსებდი... მაგრამ ახლა პირველად ვამბობ - მაშინ ეროვნულ გუნდს სწორედ თემური და მიხეილ ყაველაშვილი ხელმძღვანელობდნენ. ქეცბაია მაღალი დონის სპეციალისტი რომ დადგებოდა, ამაში არც მაშინ მეპარებოდა ეჭვი.

**- გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცხოეთში საქმიანობდით. ვიცით ისიც, რომ უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისთან დღემდე ახლობლობთ. რამდენადაც ვიცით, სწორედ მან შემოგთავაზათ, რომ უეფას აღმასკომის არჩევნებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარდგინებით მიგეღოთ მონაწილეობა. მართლა ასე იყო?**

- მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა დღეს დიდად აქტუალური არ არის, ვფიქრობ, მაინც სამწუხაროა, რომ ჩვენმა ქვეყანამ, ჩემი აზრით, უეფას აღმასკომში ადგილი დაკარგა. დღევანდელი გადასახედიდან მიმაჩნია - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას აღმასკომის წევრობის კანდიდატად რომ წარვედგინე, შევძლებდი და მოვაგროვებდი ხმების იმ რაოდენობას, რომელიც გამარჯვებისთვის იკმარებდა. მით უმეტეს, ჩემი საფეხბურთო კავშირების გარდა, უეფას პრეზიდენტისგან სერიოზული მხარდაჭერა მქონდა... მაგრამ ეს უკვე წარსულია და ამაზე ლაპარაკი ახლა აღარაფერს შეცვლის... რაც შეეხება ჩემსა და პლატინის ურთიერთობას, დიახ, ის დღესაც გრძელდება. ამ ცოტა ხნის წინ ჩემს ერთ რუს მეგობარს, მოსკოვის ცსკა-ს მეპატრონეს, სერიოზული პრობლემა შეექმნა. ცსკა-ს ორმა ფეხბურთელმა დოპინგტესტი ჩააგდო... იცით, ალბათ, ეს ისტორია...

**- დიახ, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩის შემდეგ რომ შეამოწმეს ერთ-ერთი ბერეზუცკი და იგნაშევიჩი...**

- ...მოკლედ, ამის გამო მოსკოვურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოხსნა და სანქცია ემუქრებოდა. ცსკა-ს მეპატრონის თხოვნით, ამ საკითხზე უეფას პრეზიდენტს ველაპარაკე. ბუნებრივია, ეს საკითხი სადისციპლინო კომიტეტს უნდა გადაეწყვიტა. ამ პროცესებს კარგად ვიცნობ, რადგან არაერთხელ მქონია შეხება... გახსოვთ, ალბათ, როცა ჩვენს ნაკრებს რუსეთთან შინ თამაში აუკრძალეს, მერე უმაყურებლოდ თამაში მოგვისაჯეს... ორივე ამ შემთხვევაში საკითხი დადებითად გადაწყდა. ასე რომ, ცსკა-სთან მიმართებაში როგორი მოქმედება იყო საჭირო, კარგად ვიცოდი. ჩემი პოზიცია ასეთი გახლდათ - გუნდი, რომელმაც თავისი გარჯით მოიპოვა შემდგომი ეტაპის საგზური, არ უნდა დასჯილიყო... მოკლედ, გავაცანი პლატინის ეს პოზიცია, მაგრამ თუ რამდენად იქონია ამან გავლენა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ყველამ კარგად იცის, რომ ცსკა ისევ ჩემპიონთა ლიგაშია...

**- უეფას პრეზიდენტად მიშელ პლატინის არჩევაში ქართულმა და რუსულმა საფეხბურთო წრეებმა გადამწყვეტი როლი ითამაშესო, ასეთიც მსმენია. რამდენადაც ვიცი, ამ პროცესში თქვენც მონაწილეობდით. გარკვეული დრო გავიდა მას მერე და იქნებ, ახლა მაინც გაამხილოთ, რა მოხდა სინამდვილეში?**

- ეს ამბავი ძალიან ვიწრო წრემ იცის და საჯაროდ პირველად ვამბობ. ფეხბურთში მოღვაწე პიროვნებებს კარგად ახსოვთ, რომ პლატინიმ უეფას საპრე-

> ...უეფას პრეზიდენტის არჩევნებში მიშელ პლატინის გამარჯვება ორი პიროვნების ჩარევამ განაპირობა: ერთია საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მეორე კი ჩელსის მეპატრონე რომან აბრამოვიჩი...

ზიდენტო არჩევნებში 2 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა. მის ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ორმა პიროვნებამ - საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩმა ითამაშეს. პარიზული შეხვედრისას სააკაშვილმა პლატინის სიტყვა მისცა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოსგან აუცილებლად ექნებოდა მხარდაჭერა. არადა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პლატინისთვის ხმის მიცემას არ აპირებდა და ეს მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ჩარევით მოხდა... რაც შეეხება აბრამოვიჩს, რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაც ვიტალი მუტკოს მან ბოლო წუთს შეაცვლევინა გადაწყვეტილება. ჰოდა, ეს არის სწორედ ის 2 ხმა, რომელმაც პლატინის უეფას პრეზიდენტობა მოუტანა.

**- გაზაფხულზე მიშელ პლატინი კიდევ ერთხელ ეწვევა საქართველოს და მოგიწევთ, ალბათ, შეხვედრა...**

- საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჩვენ თვეში ერთხელ ან ორჯერ ვხვდებით ერთმანეთს. ამ ვიზიტისას მისი მასპინძელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იქნება...

**- ამბობენ, ჟორდანია ფეხბურთის ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობასო...**

- არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი და ამდენად, დღეს ძნელია იმის თქმა, თუ რა სიტუაცია იქნება იმ პერიოდისთვის. თუ არჩევნებისთვის ფედერაცია ისეთ მდგომარეობაში არ იქნება, როგორშიც მე დავტოვე, არ არის გამორიცხული, საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღო მონაწილეობა...

**დავით ცაბაძე**

ამბები



ჯორჯ აკირემი აფრიკის თასზე ვერ მოხვდა

## ოთხი ნაცნობი აფრიკის თასზე

10 იანვარს ანგოლაში აფრიკის ერთა თასის გათამაშება იწყება. პირველად 2000 წლის შემდეგ, კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა გაბონის ნაკრებმა, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი **ალენ ჟირესი** წვრთნის. D ჯგუფში გაბონელთა მეტოქეები კამერუნი, ტუნისი და ზამბია იქნებიან. ამ გუნდებს გაბონი შესაბამისად, 13, 17 და 21 იანვარს დაუპირისპირდება.

ჟირესმა უკვე გამოაქვეყნა თავისი გუნდის განაცხადი, სადაც როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ჩემპიონატში ნათამაშები სამი ფეხბურთელი შეიყვანა. სამივე მათგანი ნაკრების სტაჟიანი წევრია. აფრიკის ერთა თასზე ვიხილავთ თბილისის „დინამოს“ ყოფილ და ამჟამად ფრანგული „ლე მანის“ მეკარე **დიდიე ოვონოს**, რუსთავის „ოლიმპისა“ და „ზესტაფონის“ ყოფილ მცველს **ერნესტ აკუასაგასა** და „ზესტაფონის“ ყოფილ ნახევარმცველ **პოლ კესანის**. ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელებიდან გაბონელთა განაცხადში მხოლოდ თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი **ჯორჯ აკირემი** ვერ მოხვდა.

## საქართველო ორმოცეულში

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მსოფლიოს საფეხბურთო ლიგების რეიტინგი გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის აზრით, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა მსოფლიოში მეორმოცეა, რაც ნორმალურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. რაღა თქმა უნდა, ეს რეიტინგი სრულად ვერ ასახავს რეალობას და მეტად სუბიექტურია, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის ეს პოზიცია მაინც აღსანიშნავია.

შედარებისთვის, ახლაღა შეაღწია საუკეთესო ასეულში და 97-ე ადგილზეა აზერბაიჯანი, პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან კი მხოლოდ უკრაინა და რუსეთი გვისწრებენ. საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: **1. ინგლისი; 2. ესპანეთი; 3. გერმანია; 4. ბრაზილია; 5. იტალია; 6. საფრანგეთი; 7. არგენტინა; 8. ჰოლანდია; 9. უკრაინა; 10. თურქეთი.**

## ხაზარს ადამია არ სჭირდება

ლენქორანის „ხაზარმა“ უარყო აზერბაიჯანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ეს კლუბი „ბაქოდან“ წასული **გიორგი ადამიას** გადაბირებით იყოს დაინტერესებული.

*„ადამიას შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ, იგი მაღალი დონის ფეხბურთელია, მაგრამ მის დამატებას ნამდვილად არ ვაპირებთ. გუნდში დღეისათვის საკმაო რაოდენობის კვალიფიციური ფეხბურთელები გვყავს, ასე რომ, ამ ეტაპზე ახალი ფეხბურთელების შეძენას არ ვგეგმავთ“*, - განაცხადა „ხაზარის“ მთავარმა მწვრთნელმა **აგასალიმ მირჯავადოვმა**.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ „ბაქომ“ ადამიასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა, რაც ყველასთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

## ანჟი შვიდი ქართველით

რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნებული მახაჩყალის „ანჟი“ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. **ომარ თეთრაძე** და მისი ფეხბურთელები შეკრებაზე ანთალიაში გაემგზავრნენ, სადაც რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. მართალია, ჩვენიანთა რიცხვი ერთი ფეხბურთელით შემცირდა, მაგრამ დაღესტნურ გუნდში ქართველები მაინც მრავლად არიან. თეთრაძის განკარგულებაში დღეისათვის ჩვენი შვიდი თანამემამულეა: ახალწვეული მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, მცველები - **კახა ალადაშვილი** და **გიორგი ნავალოვსკი**, ნახევარმცველები - **გოჩა ხოჯავა** და **ზურაბ არზიანი**, და თავდამსხმელები - **ოთარ მარცვალაძე** და **რევაზ ბარაბაძე**.

როგორც იცით, „ანჟი“ ცოტა ხნის წინ დატოვა **ედიკ საჯაიამ**, რომელიც კარიერას ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ გააგრძელებს. კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი არ გაუხანგრძლივა **სანდრო იაშვილს** და ისიც ახალი გუნდის ძიებაშია.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



სანდრო იაშვილი ახალ კლუბს ეძებს

რეგიონი



## სოსო ჭედია
# ბრძოლისუნარიან გუნდს ვქმნით

**ზუგდიდის „ბაია" ერთ-ერთია იმ გუნდთა შორის, სადაც ეროვნული ჩემპიონატის პირველ და მეორ ეტაპებს საკმაო ცვლილებები მოხდა. დეკემბერშივე გაირკვა, რომ „ბაიას" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია კარიერას პირველლიგელ ფოთის „კოლხეთში" გააგრძელებდა. შეროზიას თანამდებობა მისმა ყოფილმა ასისტენტმა ელგუჯა ქომეთიანმა დაიკავა, მაგრამ ნათელია, რომ „ბაიას" რეალური თავკაცი სოსო ჭედია იქნება, რომელიც კლუბმა კონსულტანტის სტატუსით მიიწვია. სწორედ მას გავესაუბრეთ „ბაიას" მზადებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ზუგდიდელთა კონსულტანტი მომავალს დიდი ოპტიმიზმით უყურებს.**

**- როდის იწყებს გუნდი შეკრებას?**

- საახალწლო არდადეგები დასასრულს მიუახლოვდა, ფეხბურთელები 5 იანვრისთვის დავიბარეთ. ხუთი დღის განმავლობაში ზუგიდში, „ბაიას" ბაზაზე ვივარჯიშებთ, 10 იანვრიდან ბაზას საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ვუთმობთ, ჩვენ კი ურეკში გადავინაცვლებთ, სადაც ორ კვირას დავყოფთ. საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გამოგვივა. ბუნებრივია, დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც. მომავალ მეტოქეებთან თამაშების ჩატარების თარილებზე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ამხანაგური მატჩების უმეტესობას ურეკში ჩავატარებთ.

**- რომელიმე მეტოქის ვინაობა ხომ არ გარკვეულა?**

- დიახ, უკვე გადაწყვეტილია, რომ 18 იანვარს ურეკში ბოლნისის „სიონს" ვეთამაშებით.

**- როგორც ვიცით, საკადრო ცვლილებებიც მრავლად გაქვთ.**

- „ბაია" დატოვა ვალტერ გუჩუამ, რომელიც ფოთის „კოლხეთში" გადავიდა. მან გუნდს დიდი სამსახური გაუწია, ამ ეტაპზე კი გადაწყვიტა, რომ მისთვის გუნდის გამოცვლა სჯობს. ჯერჯერობით, მხოლოდ გუჩუას წასვლაა გადაწყვეტილი. რაც შეეხება ახალწვეულებს, ჩვენთან ითამაშებენ თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე გიორგი სომხიშვილი, „სამტრედიას" ყოფილი მცველი გიორგი კვესეიშვილი და კიდევ ერთი მცველი ამირან ყველაშვილი, რომელმაც ბოლო წლები „ვიტ ჯორჯიაში" გაატარა. მათ გარდა, „ბაიაში" ითამაშებს თავდამსხმელი ზაზა სახოკია, რომელიც ქართველი გულშემატკივრებისთვის ასევე კარგადაა ნაცნობი. მოგეხსენებათ, ბოლო წლებში იგი სომხეთში ასპარეზობდა. დამეთანხმებით, ჩვენი ყველა ახალწვეული მაღალი დონის ფეხბურთელია და მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ.

**- გუჩუას გარდა კიდევ რომელიმე გამოცდილ ფეხბურთელთან ხომ არ აპირებთ დამშვიდობებას?**

- სავარაუდოდ, არა. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან რჩებიან როინ ონიანი და ლევან ვართაგავა, რომლებსაც ჩემპიონატის პირველი ეტაპის მსგავსად, მომავალშიც გუნდის ლიდერებად მოვიაზრებთ. გუნდის დაკომპლექტების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, შეკრებაზე ბევრი რამ გამოჩნდება. მეც გარკვეული დრო მჭირდება ვითარებაში გასარკვევად და ამის შემდეგ შევეცდები, სწორი გადაწყვეტილებები მივიღო. გვაქვს იმის რესურსი, რომ კიდევ დავიმატოთ ძლიერი მოთამაშეები და სავარაუდო ახალწვეულებს ყურადღებით დავაკვირდები. 10 იანვრისთვის კიდევ უფრო მეტი რამ იქნება გარკვეული და გუნდის სიახლეებს სიამოვნებით გაგაცნობთ.

**- როგორც ჩანს, სეზონის მეორე ნახევარში „ბაიას" ნაკლებად ახალგაზრდული გუნდი ეყოლება...**

- პირველ წრეში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ გამოცდილი ფეხბურთელების გარეშე უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდებზე უარის თქმას ვაპირებთ. ზუგდიდს არაერთი ნიჭიერი მოზარდი ჰყავს და მათ ნიჭს აუცილებლად მივცემთ გასაქანს. დასაკარგი ფეხბურთელები ნამდვილად არ გვყავს და მათ ეტაპობრივად მიეცემათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა. მართალია, „ბაიას" ძირითად გუნდში ჭაბუკთა რიცხვი შემცირდება, მაგრამ მათ სათამაშო პრაქტიკის გარეშე არ დავტოვებთ. ზოგი მათგანი ძირითად შემადგენლობაში ადგილს შეინარჩუნებს, ზოგი კი ან დუბლებში ითამაშებს, ანაც სხვა გუნდებში გავანათხოვრებთ.

**- უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- საკმაოდ ბრძოლისუნარიან გუნდს ვაყალიბებთ და უძლიერესთა შორის დასარჩენად დიდი შემართებით ვიბრძოლებთ. ვფიქრობ, იმ დონის გუნდი გვეყოლება, რომელსაც არც მხოლოდ უმაღლესში დარჩენა, არამედ მომავალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც შეეძლება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# სპარინგები დაგეგმილია

„ვიტ ჯორჯია", რომელმაც მზადება რამდენიმე დღის წინ დაიწყო, ამჟამად „ავაზას" სტადიონზე ვარჯიშობს. ვეტერინარები 8 იანვრიდან ხუთდღიან შეკრებაზე გადავლენ სასტუმრო „ბატესტაში", 22 იანვარს კი ურეკში გაემგზავრებიან, სადაც ათ დღეს დაყოფენ. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონებმა უკვე შეადგინეს საკონტროლო მატჩების განრიგი.

10 იანვარს გუნდის ორმხრივი თამაშია დაგეგმილი, 13 იანვარს კი „ვიტ ჯორჯია" შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდს შეხვდება. კიდევ ერთი სათამაშო დღე 17 იანვარია, მაგრამ ჯერჯერობით, დაუდგენელია, ვინ იქნება ამ დღეს გელა გომელაურის გუნდის მეტოქე. 20 იანვარს „ვიტ ჯორჯია" თბილისში შეკრებაზე ჩამოსულ აზერბაიჯანულ „სიმურგს" გაეჯიბრება, 21 იანვარს კი ცხინვალის „სპარტაკს".

სპარინგმატჩი 24 იანვარსაცაა დანიშნული. სეზონის განახლებამდე „ჯორჯია" სხვა მეტოქეებსაც მოიძიებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ბესიკ შეროზია
# სამეგრელოს აღორძინება ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი

### მწვრთნელი, რომლის ხელშიც უმაღლეს ლიგაში სამი გუნდი გადავიდა. შეროზია მეოთხესაც უმიზნებს...

**ფოთელებს დიდი ამბიციები უბრუნდებათ. თემურ ბარქაიამ რეგიონალლიგაში ჩარჩენილი და ყველასგან მიტოვებული „კოლხეთი" გაჭირვებაში არ მიატოვა, უპატრონა და დღეს კლუბი უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური კანდიდატია. ამის თქმის უფლებას ზამთრის შესვენებისას „კოლხეთში" განხორციელებული ცვლილებები იძლევა...**

**ბესიკ შეროზია უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ზუგდიდის „ბაიადან" წამოვიდა და პირველ ლიგაში მუშაობას დათანხმდა. თუმცა, ვფიქრობთ, ეს უკუსვლად არ ჩაეთვლება, რადგან ზუგდიდელ სპეციალისტს ფოთის „კოლხეთი", ერთ-ერთი უძველესი ქართული კლუბი ჩააბარეს...**

**- ბატონო ბესო, „ბაიადან" რატომ წამოხვედით?**

- რა დასამალია და, ახალგაზრდულ გუნდს თავისი მიმართულება ჰქონდა და წასვლაზე მანამდეც ვფიქრობდი.

**- კონკრეტულად რა არ მოგწონდათ?**

- „ბაიას" ჩემი დასაწუნი არაფერი აქვს. ჩემი მეგობრების გუნდია და გულიანადაც ვმუშაობდით ერთად, ზუგდიდს ქართულ ფეხბურთში თავისი ადგილი რომ დაებრუნებინა. ვფიქრობ, ეს მოვახერხე კიდეც. უბრალოდ, მწვრთნელისთვის სასურველია გარემოს შეცვლა და მეც ასე მსურდა. რამდენიმე წელი ვმუშაობდი ჯერ „მგლებში", შემდეგ „ბაიაში" და სხვაგან წასვლა მერჩივნა. ამ დროს ფოთიდან შემოთავაზება გამოჩნდა და სიამოვნებით დავთანხმდი. ფოთი ქართული ფეხბურთის აკვანია და უმაღლეს ლიგაში „კოლხეთის" დაბრუნების საქმეში ჩემი წვლილის შეტანა მსურს. ფაქტია, რომ კლუბის ხელმძღვანელობას სერიოზული გეგმები აქვს და იმედია, მის განხორციელებას მოვახერხებთ.



ბესიკ შეროზია

**- „მგლებში" საკადრო პოლიტიკის გატარების მეტი საშუალება გქონდათ, ვიდრე „ბაიაში", რომლის გამოუცდელ ფეხბურთელებზეც აილეთ აქცენტი და აუტსაიდერობაც ლოგიკურია. „მგლებიდან" მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი დაიტოვეთ. ეს თქვენი სურვილი იყო?**

- ნებისმიერი მწვრთნელი კლუბში უნდა ატარებდეს იმ პოლიტიკას, რაც ამ კლუბის ინტერესებს პასუხობს. „ბაიაში" აქცენტი ახალგაზრდების დაწინაურებაზე აილეს და მეკარით დაწყებული, თავდამსხმელებით დამთავრებული, ფეხბურთელების უმრავლესობა 1991-92 წლებში დაბადებულები არიან. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი არ გვქონდა, თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვიყავი. დარწმუნებულიც ვარ, ჩვენი აუტსაიდერობა სულაც არ იყო ლოგიკური, ჩვენი თამაშით ამას არ ვიმსახურებდით. თუმცა ბევრ შეხვედრაში გამოუცდელობამ თავისი კვალი დაგვატყო და ბავშვური შეცდომების გამო უამრავი ქულა დავკარგეთ. საერთოდ, გუნდის შენება ორ-სამ თვეში შეუძლებელია, დრო გვჭირდებოდა...

**- თქვენი ნება რომ ყოფილიყო, გამოცდილ ფეხბურთელებს გაუშვებდით?**

- მე რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატება და გაძლიერება მსურდა. შარშანდელ გუნდს ბევრი ახალი არც სჭირდებოდა, ყველა პოზიციაზე თითო-თითო კაცი, უფრო შევთამაშდებოდით და დარწმუნებული ვარ, ძლიერი გუნდი გაკეთდებოდა. თუმცა „ბაიას" საკადრო პოლიტიკა მომავალზეა გათვლილი და ესეც სწორი გზაა. კლუბიდან წამოვედი, მაგრამ ძალიან მინდა, „ბაიამ" უმაღლესში ადგილი შეინარჩუნოს.

**- ფოთის „კოლხეთი" ყოველთვის ამბიციური იყო. პერსპექტივის გათვალისწინებით, საინტერესო გუნდი ჩაიბარეთ...**

- მე უკვე საკმაო გამოცდილება დამიგროვდა და ტრადიციული კლუბში მუშაობამ გამახარა. ვფიქრობ, გადასვლის შანსი გვაქვს. ლიდერს ბევრით არ ჩამოვრჩებით და სხვაობის აღმოფხვრა შესაძლებელია. ამბიციურ „კოლხეთში" მუშაობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა. ფოთში ახლა შემიძლია დავამტკიცო, თუკი რაიმე შემიძლია. ჩემს ხელში უმაღლეს ლიგაში სამი კლუბი გადავიდა - „ლაზიკა", „სპარტაკი" და „მგლები". სამწუხაროდ, „ლაზიკა" ლიგაში ფინანსური პრობლემების გამო არ დაუშვეს და მისი ადგილი თბილისის „სპარტაკმა" დაიკავა. მერე „სპარტაკი" გავარდა და უმაღლესში ჩემი ხელმძღვანელობით დაბრუნდა. იმედია, მაისის ბოლოს ამ სიაში „კოლხეთიც" გაჩნდება.

**- როგორია კლუბის დაფინანსება?**

- ამ მხრივ, ყველაფერი წესრიგშია. 15-დან 27 იანვრამდე ქობულეთში დავგეგმეთ შეკრება. მერე ფოთში ვივარჯიშებთ.

**- სასურველი ფეხბურთელები აიყვანეთ?**

- ბევრი საინტერესო ფეხბურთელი ავიყვანეთ. მაგალითად, რუსთავის „ოლიმპის" თავდამსხმელი გია თოდუა, „ბაიას" კაპიტანი ვალტერ გუჩუა და ნახევარმცველი დავით ქირია. ეს სამი კაცი გუნდისთვის დიდი ძალაა. თოდუა კარგი თავდამსხმელია, გუჩუა გამოცდილია და ზუგდიდში დიდი სამსახური გაგვიწია, ქირიასიც ყოველთვის მჯეროდა... ამას გარდა, საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელია „ბაიას" მცველი დათი ჭითანავა და „ტორპედოდან" წამოსული ცენტრალური უკანახაზელი თემურ ფარულავა. თავად ფოთშიც ბევრი საინტერესო ფეხბურთელი დაგვხვდა - მაგალითად, ნახევარმცველი ლადო ჯოჯუა, რომელიც „ოლიმპსა" და „მგლებში" თამაშობდა, „მესხეთის" საყრდენი ლევან თედიაშვილი...

**- ამ ფეხბურთელებით უმაღლეს ლიგაში გადასვლა არ უნდა გაგიჭირდეთ...**

- გეთანხმებით, მაგრამ ფეხბურთში მხოლოდ შემადგენლობის იმედად ყოფნა არ შეიძლება. თუმცა მიზნის მიღწევის იმედი მაქვს და საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებ.

**- „კოლხეთიდან" ბევრი ფეხბურთელი გაუშვით?**

- მხოლოდ რამდენიმე. დიდი ცვლილებების წინააღმდეგი ვარ. არ მიყვარს, გუნდში 11-ვე ფეხბურთელს რომ ცვლიან. სხვათა შორის, „კოლხეთის" რამდენიმე თამაში ვნახე და ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა - ბრძოლისუნარიანი გუნდია, რაც ყოფილი მთავარი მწვრთნელის ზაზა ინიაშვილის დამსახურებაა. გუნდში ყველაფერი დადებითი უნდა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ. ამ დადებითში სწორედ ინიაშვილს ვგულისხმობ - ის კლუბში დარჩება. ფოთში მშვენიერი საფეხბურთო გარემო დამხვდა. პრეზიდენტი თემურ ბარქაია მონდომებული კაცია, ქალაქის მერი ვანო სალინაძე გუნდს ყველანაირად ეხმარება. სამეგრელოს გუბერნატორი ზაზა გოროზია კი რეგიონში ფეხბურთის განვითარებით როგორ არის დაინტერესებული, ყველამ იცის.

**- ბოლო დროს რეგიონის ფეხბურთში აშკარა ძვრებია, რაც ყველას ახარებს. ისე, რა ხდება ასეთი? ფული გაჩნდა თუ სხვა მიზეზია?**

- ფინანსური შესაძლებლობებიც გაჩნდა და ფეხბურთიც პრიორიტეტული გახდა. როგორც ვიცი, მალე სენაკშიც სერიოზული გუნდი ჩამოყალიბდება, ხობშიც ამისთვის მუშაობენ... ეს პროცესები ისევ და ისევ ქართულ ფეხბურთს მოუტანს სიკეთეს. დარწმუნებული ვარ, დომინოს პრინციპი ამოქმედდება და მალე სხვა რეგიონებშიც უნდა ველოდეთ ანალოგიურ წინსვლას. უმაღლეს ლიგაში „კოლხეთის", ბათუმის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" დაბრუნებით ძალიან ძლიერი ჩემპიონატი გვექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XVIII ტური




ლუკა ტონი




გააძლიერებს სერჯო ფლოკარი (მარჯვნივ) ლაციოს?




გორან პანდევი

# დაბრუნება ახალი სახეებით

| დღეს | |
|---|---|
| კიევო-ინტერი | 15:30 |
| ატალანტა-ნაპოლი | 18:00 |
| ბარი-უდინეზე | 18:00 |
| კალიარი-რომა | 18:00 |
| კატანია-ბოლონია | 18:00 |
| ლაციო-ლივორნო | 18:00 |
| პარმა-იუვენტუსი | 18:00 |
| სამპდორია-პალერმო | 18:00 |
| სიენა-ფიორენტინა | 18:00 |
| მილანი-ჯენოა | 23:45 |

სატრანსფერო ბაზარზე მთელი ევროპის მასშტაბით ყველაზე აქტიურნი იტალიური კლუბები არიან, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს სძენს სერია A-ს განახლებას და კონკრეტულად XVIII ტურს. „ინტერს“ **გორან პანდევი** შეუერთდა, „მილანს“ **დევიდ ბექჰემი**, „რომას“ **ლუკა ტონი**, „ლაციოს“ კი **სერჯო ფლოკარი**. მართლაც საინტერესოა, როგორ ითამაშებენ ეს ფეხბურთელები პირველ შეხვედრას ახალი გუნდის მაისურით.

თავდაპირველად იმ შეხვედრაზე ვთქვათ, რომელიც ტურს გახსნის. ალბათ უკვე შენიშნეთ, რომ „კიევო“-“ინტერის“ დაპირისპირება სხვებზე ადრე, თბილისის დროით 15.30 საათზე დაიწყება. ეს ფედერკალჩოს ნოვაციაა და ვნახოთ, როგორ გაამართლებს, აქამდე, შუა კვირის ყველა შეხვედრა ერთ დროს, 23:45 საათზე იწყებოდა.

**ჟოზე მოურინიო** ოთხი ფეხბურთელის გარეშე ხვდება სეზონის განახლებას: ტრავმირებულნი არიან **ვალტერ სამუელი, სალი მუნტარი** და **ესტებან კამბიასო, სამუელ ეტოო** კი აფრიკაში გახლავთ და კამერუნის ნაკრებთან ერთად კონტინენტის პირველობისთვის ემზადება. ჟოზე ნაცად ტაქტიკურ მოდელს არ ულალატებს და „კიევოს“ 4-3-1-2-ს დაუპირისპირებს. დაცვის ცენტრში **ლუსიოს ივან კორდობა** შეუწყვილდება, ფლანგებზე კი **კრისტიან კივუ** და **დუგლას მაიკონი** გაირჯებიან. საინტერესოდ გამოიყურება ნახევარდაცვის ხაზი, რადგან იქ ერთი ისეთი ფეხბურთელია, წესით შეტევის წინა ხაზზე რომ უნდა თამაშობდეს - საუბარი **მარიო ბალოტელიზე** გვაქვს, რომელიც სავარაუდოდ მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციებს შეასრულებს. 2009 წლის ბოლო შეხვედრაში მოურინიომ მარიო სწორედ მოედნის შუაგულში გამოცადა და როგორც ჩანს, შეგირდის თამაშით კმაყოფილი დარჩა. მაშინ „ინტერმა“ 4-2-3-1 ტაქტიკით ითამაშა და „ლაციო“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. პორტუგალიელი ძველ ტაქტიკას უბრუნდება, მაგრამ ბალოტელიზე კვლავ ექსპერიმენტებს ატარებს. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს მარიო ახალ ფუნქციებს. საყრდენად **პატრიკ ვიეირა** გაირჯება, მარჯვენა ფრთაზე **ხავიერ ძანეტი** იმოქმედებს, გამთამაშებლის ფუნქციები კი **უესლი სნეიდერს** დაეკისრება. რაც შეეხება თავდასხმას, აქ სიახლე გვაქვს: **დიეგო მილიტოს** წესით „ინტერის“ ახალწვეული **გორან პანდევი** უნდა შეუწყვილდეს. მართალია, მაკედონიელი ოპტიმალურ ფორმაში არ გახლავთ, მაგრამ იტალიელი ჟურნალისტების აზრით, მოურინიო მაინც მასზე შეაჩერებს არჩევანს. პანდევი უკვე წარდგა მედიის წინაშე და შემდეგი განაცხადა:

*„მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის უთამაშებელი ვარ, თავს ჩინებულად ვგრძნობ. თუ მოურინიო სასტარტო შემადგენლობაში გამამწესებს, თავს არ დავზოგავ და ყველანაირად ვეცდები, რომ მისი ნდობა გავამართლო. „ინტერი“ დიდი გუნდია და ამაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდი. ჩემი სურვილია, რომ ახალ კლუბთან ერთად სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგის თასი მოვიგო. მჯერა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას მოვახერხებ“.*

### სავარაუდო შემადგენლობები

**კიევო:** სორენტინო - სარდო, მორერო, იეპესი, მანტოვანი - ლუსიანო, რიგონი, მარკოლინი - პინცი - პელისიერი, აბრუსკატო.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, კორდობა, ლუსიო, კივუ - ძანეტი, ვიეირა, ბალოტელი - სნეიდერი - პანდევი, მილიტო.

ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართება „ენიო ტარდინიზე“, სადაც „პარმა“ „იუვენტუსს“ მიიღებს. ემილიელებმა სეზონის პირველი ნახევარი შესანიშნავად წარმართეს, რაც სატურნირო ცხრილში მათი პოზიციით კარგად ჩანს. „პარმას“ ტიფოზები ამაღლებულ განწყობაზე არიან, რასაც ვერ ვიტყვით ტურინული გრანდის ქომაგებზე. 2009 წლის ბოლო ორი თვე პიემონტური გუნდისთვის მართლაც კოშმარული გამოდგა: სერია A-ში პოზიციები მკვეთრად დათმო, ამასთან, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა. ბუნებრივია, რომ ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, მთავარი მწვრთნელის საკითხი დადგა დღის წესრიგში. ჟურნალისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ტურინული კლუბის მესვეურები **გუუს ჰიდინკთან** აწარმოებენ მოლაპარაკებებს და თუ **ჩირო ფერარას** კიდევ დაუცდა ფეხი, შეიძლება სწორედ ჰოლანდიელით ჩაანაცვლონ. ვნახოთ, ფაქტია, რომ „ტარდინიზე“ „ვეკია სენიორას“ იოლი გასეირნების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ჩირო ფერარა მეტად მძიმე მდგომარეობაშია და რაღაც ისეთს ეძებს, ამ კრიზისს რომ დააძლევინებს. ტაქტიკას ჯიუტად არ ცვლის, მაგრამ ერთი მეტად საინტერესო ნოვატორული გადაწყვეტილება კი მიუღია: „პარმასთან“ შეხვედრაში შეტევის წინა ხაზზე იასპარეზებს ბრაზილიელი პლეიმეიქერი **დიეგო**. იმდენი აკრიტიკეს ფერარა, ფეხბურთელებს არასწორ პოზიციებზე ათამაშებსო, რომ სულ მთლად აილო თავზე ხელი და ტიპური გამთამაშებელი ფორვარდობისთვის გაიმეტა. ძნელი სათქმელია, რამდენად გაამართლებს ჩიროს ასეთი ნოვაცია, მაგრამ იტალიაში დიეგოს თავდამსხმელობას ეჭვის თვალით უყურებენ - უარი თქვა მოედნის ცენტრში ისეთ ფანტაზისტაზე, როგორიც ბრაზილიელი გახლავთ, ცოტა სარისკო საქმეა. დიეგოს **დავიდ ტრეზეგე** შეუწყვილდება, რომელმაც ბოლო პერიოდში მყარად დაიმკვიდრა ადგილი სასტარტო შემადგენლობაში. ალბათ გაგიჩნდათ კითხვა, ვინ იქნება გამთამაშებელი? - არც არავინ. ფერარა ნახევარმცველებს ერთ ხაზზე განალაგებს და ასე შეეცდება მოედნის ცენტრზე გაბატონებას. შუა ხაზში წესით შემდეგი ფეხბურთელები უნდა ვიხილოთ: **ჰასან სალიჰამიჯიჩი, კლაუდიო მარკიზიო, ფელიპე მელო, პაოლო დე ჩელიე**. კარში რომ გარკვეული პერიოდით **ალექს მანინგერი** იდგება, გეცოდინებათ. და ერთიც - დისკვალიფიცირებულია **ფაბიო კანავარო**, რომელსაც **ნიკოლა ლეგროტალიე** შეცვლის და დაცვის ცენტრში გამოჯანმრთელებულ **ჯორჯო კიელინის** შეუწყვილდება.

უცნაური გუნდია „პარმა“ - ვერ ვიტყვით, რომ ემილიერი კლუბისთვის რომელიმე ფეხბურთელი შეუცვლელი და ფასდაუდებელია. შეიძლება ისეთი მოთამაშე მოხვდეს ძირითად შემადგენლობაში, იქამდე რომ განაცხადშიც ვერ ხვდებოდა და რაც მთავარია, გამარჯვების გოლი გაიტანოს, ან სულაც დუბლი გააკეთოს. თავის დროზე, ასეთი სიურპრიზი შემოგვთავაზა **ბიაბიანიმ**, დღეს კი ტრავმირებულია და „იუვეს“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. სამაგიეროდ, მწყობრში არიან სხვა ფორვარდები: **ვალერი ბოჟინოვი, ნიკოლა ამორუზო** და **ალბერტო პალოსკი**. ეს უკანასკნელი სავარაუდოდ სათადარიგოთა სკამზე იჯდება და საჭიროების შემთხვევაში თუ ჩაერთვება თამაშში. მწყობრშია ნახევარდაცვის ხერხემალი: **დანიელე გალოპა-დამიანო ძენონის** ცენტრალური ტანდემი, ისევე როგორც დაცვის ორი ბურჯი: **კრისტიან ძაკარდო** და **კრისტიან პანუჩი**. მოკლედ, „ტარდინიზე“ დიდი ჯახი შედგება და ვნახოთ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი.

### სავარაუდო შემადგენლობები

**პარმა:** მირანტე - ძაკარდო, დელაფიორე, პანუჩი - კასტელინი, ჯემაილი, მორონე, გალოპა, ძენონი - ამორუზო, ბოჟინოვი.

**იუვენტუსი:** მანინგერი - კასერესი, ლეგროტალიე, კიელინი, გროსო - სალიჰამიჯიჩი, ფელიპე მელო, მარკიზიო, დე ჩელიე - დიეგო, ტრეზეგე.

ყურადღების ცენტრშია „რომა“, გუნდი, რომელმაც ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა. ლუკა ტონი სავარაუდოდ სასტარტო შემადგენლობაში იქნება და **მირკო ვუჩინიჩს** შეუწყვილდება. რაც შეეხება **ფრანჩესკო ტოტის**, მცირე ტრავმა აქვს და „კალიარის“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. **კლაუდიო რანიერი** კიდევ ორ ფეხბურთელს მოისაკლისებს: **ფილიპ მექსესა** და **მაქს ტონეტოს**. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან **დავიდ პისარო** და **სიმონე პეროტა**, ფეხბურთელები, რომლებმაც კლუბთან ხელშეკრულება გაახანგრძლივეს.

ტონის ტრანსფერმა რომში საბრძოლო განწყობა აამაღლა, დედაქალაქელები სკუდეტოზე ალაპარაკდნენ და ბაქიბუქობენ კიდეც, სეზონი განახლდეს და ჩვენ ძალას ყველა დაინახავსო. XVIII ტურის დაწყებამდე ალარაფერია დარჩენილი და ვნახოთ, როგორი რიხით დაიწყებს 2010 წელს „ჯალოროსი“.

### სავარაუდო შემადგენლობები

**კალიარი:** მარკეტი - კანინი, ლოპესი, ასტორი, აგოსტინი - ბიონდინი, კონტი, ლაძარი, კოსუ - მატრი, ჟედა.

**რომა:** ჟულიო სერჟიო - კასეტი, ბურდისო, ჟუანი, რიისე - დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა - ვუჩინიჩი, ტონი.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა „სან სიროზე“ გაიმართება, სადაც „მილანი“ „ჯენოას“ უმასპინძლებს. იტალიელების აზრით, ეს არის ტურის ცენტრალური მატჩი და ძნელია მათ არ დავეთანხმოთ. მართალია, სატურნირო ცხრილის მიხედვით, არც „პარმა“ - „იუვენტუსია“ ნაკლები, მაგრამ ემილიელებს ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ, რომ მაღალ დონეზე ასპარეზობა სტაბილურად ძალუძთ.

**დევიდ ბექჰემი** უკვე კარგა ხანია რაც მილანშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა მედიის წარმომადგენლები ამბობენ, ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს არისო. თურმე, წვრთნებისას ერთობ ინერტულად გამოიყურება, რაც დიდია შანსი განაცხადს მილმა დარჩენად დაუჯდეს. ყოველ შემთხვევაში, „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, ინგლისელი არა თუ სასტარტოში, სათადარიგოთა შორისაც კი ვერ მოხვდება. სამწუხაროდ, იგივე პროგნოზი კეთდება **კახა კალაძესთან** დაკავშირებითაც. **ლეონარდო** 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს: ფლანგებზე **რონალდინიოს** და **ალეშანდრე პატოს** გაამწესებს, ცენტრფორვარდად კი სავარაუდოდ **მარკო ბორიელოს**. კვლავ თადარიგში რჩებიან **ფილიპო ინძაგი** და **კლაასიან ჰუნტელაარი**, მათ სეზონის პირველ ნახევარშიც იშვიათად უწევდათ თამაში. ძირითადში იქნებიან **მასიმო ამბროზინი, ანდრეა პირლო** და **კლარენს ზეედორფი**, დაცვაში კი შემდეგ ოთხეულს ვიხილავთ: **ჯანლუკა ძამბროტა, ალესანდრო ნესტა, ტიაგო სილვა, ლუკა ანტონინი**,

სამი შემტევით ითამაშებს **ჯანპიერო გასპერინიც** და ეს მიუხედავად იმისა, რომ „მილანთან“ უწევს დაპირისპირება, თანაც მეტოქის მოედანზე. შეტევის წინა ხაზზე სავარაუდოდ **ერნან კრესპო, ჯუზეპე სკული** და **როდრიგო პალასიო** გაირჯებიან. ტრავმირებულია კიდევ ერთი თავდამსხმელი **პალადინო** და „მილანის“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. გასპერინი **ბოკეტისაც** მოისაკლისებს, ვინც დისკვალიფიცირებული გახლავთ. დანარჩენები მწყობრში არიან და ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს მართლაც საინტერესო პაექრობა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** დიდა - ძამბროტა, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი - ამბროზინი, პირლო, ზეედორფი - რონალდინიო, პატო - ბორიელო.

**ჯენოა:** სკარპი - როსი, ბიავა, კრიშიტო - მესტო, იურიჩი, საპატერი, მოდესტო - სკული, პალასიო, კრესპო.

**ლაშა ნიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 17 | 12 | 3 | 2 | 36-14 | 39 |
| 2. მილანი | 16 | 9 | 4 | 3 | 23-17 | 31 |
| 3. იუვენტუსი | 17 | 9 | 3 | 5 | 30-21 | 30 |
| 4. რომა | 17 | 8 | 4 | 5 | 27-22 | 28 |
| 5. პარმა | 17 | 8 | 4 | 5 | 22-22 | 28 |
| 6. ნაპოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 26-24 | 27 |
| 7. პალერმო | 17 | 7 | 5 | 5 | 22-20 | 26 |
| 8. სამპდორია | 17 | 7 | 4 | 6 | 21-25 | 25 |
| 9. ბარი | 16 | 6 | 6 | 4 | 19-15 | 24 |
| 10. ფიორენტინა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-15 | 24 |
| 11. ჯენოა | 16 | 7 | 3 | 6 | 28-27 | 24 |
| 12. კიევო | 17 | 7 | 3 | 7 | 20-19 | 24 |
| 13. კალიარი | 16 | 7 | 2 | 7 | 25-21 | 23 |
| 14. უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 19-21 | 18 |
| 15. ლივორნო | 17 | 5 | 3 | 9 | 10-19 | 18 |
| 16. ლაციო | 17 | 3 | 7 | 7 | 10-16 | 16 |
| 17. ბოლონია | 16 | 4 | 4 | 8 | 17-24 | 16 |
| 18. ატალანტა | 16 | 3 | 4 | 9 | 15-25 | 13 |
| 19. კატანია | 17 | 2 | 6 | 9 | 16-26 | 12 |
| 20. სიენა | 17 | 3 | 3 | 11 | 17-28 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები


მაქსი როდრიგესმა შეიძლება ლივერპულს მიაშუროს

# ლივერპულის მაქსიმალური მონდომება

„ლივერპული“ უახლოეს 48 საათში მადრიდის „ატლეტიკოდან“ **მაქსი როდრიგესის** გადაყვანის საქმეს მოაგვარებს. არგენტინელმა ნახევარმცველმა პრემიერლიგის „იშკილებიდან ჩამოვარდნილ“ გუნდში გადასვლა მას მერე გადაწყვიტა, რაც თავად ჩამოვარდა მადრიდში იშკილებიდან. ფეხბურთელის აგენტმა **იურგენ მილევსკიმ** დაადასტურა, რომ მერსისაიდელებსა და ესპანურ კლუბს შორის შეთანხმებას წინ ბევრი არაფერი უდგას. კერძოდ მილევსკიმ თქვა: *„შანსი, რომ ეს ტრანსფერი შედგეს, ძალიან დიდია“.*

თუმცა არის პოზიციათა სხვაობაც: „ატლეტიკოს“ 29 წლის ფეხბურთელის სამუდამოდ მოშორება აძლევს ხელს, რადგან თუ ზაფხულამდე დაიცდის, როდრიგესის კონტრაქტის ვადა ამოიწურება და მასში კაპიკს ველარ აიღებს. რაც შეეხება „ლივერპულს“, მას არგენტინელის ყიდვას ქირაობა უჯობს - სეზონის ბოლომდე შეხედავდა, რისი გამკეთებელია და მერე გადაწყვეტდა ღირს თუ არა ასეთი კაცის დატოვება. და როგორია საკუთრივ მოთამაშის პოზიცია? როგორც ამბობენ, როდრიგესს „ლივერპულში“ გადასვლა უნდა, რადგან ჯერ ერთი, მწვრთნელის **რაფა ბენიტესის** პატივისმცემელი ყოფილა და მეორეც, ძალიან ნდომებია საკუთარი ნიჭისა და უნარის პრემიერლიგაში დამტკიცება, რის გამოც მზად არის დღევანდელი „ესპანური“ ხელფასი ცოტა მოიკლოს კიდეც - დღეს მაქსი მადრიდში, ინგლისურად რომ ვთქვათ, კვირაში 85 ათას ფუნტს იღებს.

სხვათა შორის, მაქსი როდრიგესის შეძენა არგენტინული ფეხბურთის გოლიათს, „ბოკა ხუნიორსსაც“ ნდომებია, თუმცა ქირას „ლივერპული“ უფრო დაუნანებლად იხდის და, ამდენად, უპირატესობაც მისია.

.ამასობაში კი გამო კდილმა ლივერპულელმა **ჯეიმი კარაგერმა** 21 წლის თანაგუნდელი **სტივენ დერბი** შეაქო - „წითლების“ ახალწვეულმა შაბათს ფეხბურთის ასოციაციის თასზე „რიდინგის“ წინააღმდეგ მშვენივრად ითამაშა. შეგახსენებთ, რომ ხსენებული დერბი ჩემპიონთა ლიგაში, „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში შეცდა, „ენფილდზე“ იტალიურ გუნდს გამარჯვების გოლი გაატანინა და ამის გამო მას, ცოტა არ იყოს, ალმაცერად უყურებდნენ. თუმცა, „რიდინგთან“ თამაშის შემდეგ კარაგერმა დერბიზე ასე თქვა:

*„იმ კრიტიკის შემდეგ, რაც მას თავს „ფიორენტინასთან“ თამაშის შემდეგ დაატყდა, „რიდინგთან“ შეხვედრაში ასეთი მტკიცე ხასიათის გამომჟღავნება იოლი საქმე არ იყო. ბედნიერი ვარ, ამ ბიჭს თავის გამოჩენის მორიგი შანსი რომ მიეცა და მანაც გამოწვევა ღირსეულად მიიღო - გამოცდა წარმატებით ჩააბარა“.*

# ერთ კვირაში ჩამოვაო...


პატრიკ ვიეირა ინგლისში ბრუნდება?

**პატრიკ ვიეირას** ამბავი გადაწყვეტილი ჩანს - ფრანგი ვეტერანი მომავალი კვირის დასაწყისიდან „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი იქნება. როგორც ინგლისურმა გაზეთებმა შეიტყვეს, ვიეირას ულაპარაკია ისტლენდელთა ახალ მწვრთნელთან **რობერტო მანჩინისთან,** რომლის ხელმძღვანელობითაც მილანის „ინტერის“ შემადგენლობაში ორი „სკუდეტო“ აქვს მოპოვებული და როგორც მხარეები ამბობენ, 99 პროცენტით ყველაფერი მოუგვარებიათ.

„არსენალის“ ყოფილ კაპიტანს მანჩესტერში გამგზავრებამდე, თურმე, ერთი თამაშით „ინტერში“ დარჩენა და დღეს „კიევოსთან“, ხოლო შაბათს „სიენასთან“ შეხვედრებში დახმარება სთხოვეს, რის შემდეგაც 33 წლის ვეტერანი ინგლისს გაეშურება და „სიტისთან“ გააფორმებს კონტრაქტს. კონტრაქტი, თურმე ასე ჩაუფიქრებიათ: ისტლენდელები ვიეირას ჯერ მხოლოდ და მხოლოდ იქირავებენ, მაგრამ თუ ამ ქირაობის პერიოდში ფეხბურთელსა და კლუბს ერთმანეთი მოეწონებათ, მათი ურთიერთობა შესაძლოა 18-თვიან ანუ წელიწადნახევრიან მყარ კონტრაქტშიც გადაიზარდოს.

ცნობილია, რომ პატრიკ ვიეირას „ინტერიდან“ წამოსვლა ჯერ კიდევ ზაფხულის მერე უნდა, რადგან საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა, **რაიმონ დომენეკმა** მკაფიოდ თქვა, რომ სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ იმ ხალხს წაიყვანს, რომლებიც რეგულარულად ითამაშებენ თავიანთი გუნდების ძირითად შემადგენლობებში. აგვისტოში ვიეირას ცოტა დააკლდა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი გახდებოდა, თუმცა, იმავდროულად, გული ყოფილი გუნდისკენ, „არსენალისკენაც“ მიუწევდა. ერთი სიტყვით, ფრანგს ზაფხულზე მოლაპარაკებები ჰქონდა როგორც „სფურზის“ თავკაც **ჰარი რედნაპთან**, ასევე „მეთოფეთა“ გურუ **არსენ ვენგერთან.** საბოლოოდ ორივე ვარიანტი ჩაიშალა, მაგრამ ვეტერანის ინგლისში დაბრუნება, როგორც ჩანს, მაინც შედგება - შეგახსენებთ, რომ პატრიკ ვიეირამ 2003-04 წლების სეზონში, „არსენალთან“ ერთად, ინგლისის ჩემპიონის ტიტული წაგების გარეშე მოიპოვა.

მანჩინიმ, რომელიც „სიტის“ ქომაგებს იანვარში რამდენიმე სიახლეს დაჰპირდა, ჟურნალისტებს განუცხადა: *„ჩვენთან გადმოსვლა ყველა ფეხბურთელს სურს, რაც ნორმალურია, რადგან „სიტი“ დიდი კლუბია, რომელსაც დიდი მიზნები აქვს დასახული. ხალხში? ხალხში ლაპარაკობენ არა მხოლოდ პატრიკ ვიეირაზე, არამედ ივან კორდობასა და კრისტიან კივუზეც“.*

თუმცა, კივუსი რა მოგახსენოთ - მანჩინიზე ამბობენ, რომ იგი უმალ არგენტინელ მარცხენა მცველს **კრისტიან ანსალდის** უმიზნებს, რომელიც დღეს რუსეთში, კერძოდ კი ყაზანის „რუბინში“ თამაშობს. მისი ფასი დაახლოებით 6 მილიონი ფუნტი იქნება.

მწვრთნელი

# კაპელო საოპერაციოა

როგორ ფიქრობთ, ინგლისის ნაკრებში ვის სჭირდება „მუხლის შეცვლა“? ვის და მწვრთნელს **ფაბიო კაპელოს.** ასე რომ, ეს გახლავთ ოპერაცია, რომელიც ინგლისელთა გუნდის მთავარ ფიგურას ეხება, მაგრამ მისი წარმატება თუ წარუმატებლობა ვერანაირად ვერ შეამცირებს გუნდის საჩემპიონო შანსებს.



ბოლო ხანს, 63 წლის იტალიელს სულ უფრო მეტად აწუხებს მარცხენა მუხლი. ეს ძველი, ფეხბურთელობის დროინდელი ტრავმის შედეგია და სასწრაფო მიხედვა სჭირდება. საინტერესო ის არის, რომ ოპერაციის შემდეგ, სრულ გაჯანსაღებამდე, ინგლისის ნაკრების თავკაცს სამი თვის განმავლობაში ყავარჯნებით მოუწევს სიარული. ერთი სიტყვით, დასაწყისში ინგლისის ნაკრების კანდიდატებს კაპელო ტრიბუნიდან პირადად ვერ ადევნებს თვალს. მწვრთნელის ერთ-ერთმა კოლეგამ ტაბლოიდებს ასე განუცხადა:

*„ეს ძალიან ცუდი ამბავია, რადგან ფაბიო აქტიური კაცია, ყველაფერს თვითონ აკეთებს, ამოწმებს და აკვირდება. მას იმედი აქვს, რომ თებერვალში კვლავ ტრიბუნაზე იჯდება და უშუალოდ დააკვირდება ნაკრების კანდიდატებს“.*

კაპელო ოპერაციას სამშობლოში გაიკეთებს და 3 მარტს, როცა ინგლისის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში ეგვიპტეს დაუპირისპირდება, ტკივილი ბოლომდე ჯერ კიდევ არ ექნება დამცხრალი. მუხლი, რომელმაც ინგლისელთა თავკაცს 63 წლის ასაკში შეახსენა თავი, თავდაპირველად 1960-იან წლებში ასტკივდა, თუმცა მაინც შეძლო უმაღლეს საკლუბო დონეზე 332, ხოლო სანაკრებო ასპარეზზე 32 შეხვედრის ჩატარება. ზემოხსენებულმა კოლეგამ დასძინა:

*„არა მარტო ფეხბურთელის, არამედ მწვრთნელის ხანგრძლივმა კარიერამაც ფაბიოს დიდი დაღი დაასვა. დღეს მას მუხლი სტკივა და ხანდახან ეს ტკივილი აუტანელიც კია. იმისთვის, რომ ინგლისის ნაკრებს შესარჩევი ეტაპი დაუბრკოლებლად გადაელახა, მან ეს ყველაფერი მოითმინა, თუმცა ახლა შეხვედრებს შორის პერიოდი გახანგრძლივდა და ოპერაციისთვის დროის გამონახვის საშუალებაც გამოჩნდა“.*




რჩევა

# ფენ შუი, ანუ როგორ ავათამაშოთ ოუენი?


მაიკლ ოუენს ჩინელები უშველიან?

მოგეხსენებათ, რა ამბავია ინგლისში ატეხილი ვეტერანი ფორვარდის **მაიკლ ოუენის** მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა-არწასვლასთან დაკავშირებით. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელთაც ძალიან უნდათ ფეხბურთელი სამხრეთ აფრიკაში იხილონ, მაგრამ ჯერჯერობით იგი პრემიერლიგის შეხვედრებში ისე ხშირად ვერ თამაშობს, ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** უპირობოდ რომ ჩართოს გუნდში. და აი, ოუენს საინტერესო მხარდამჭერი გამოუჩნდა - ლეგენდარული ინგლისელი მოკრიკეტე, 69 წლის **ჯეფრი ბოიკოტი.** ყმაწვილკაცობიდან „იუნაიტედის“ ფანს რეცეპტიც კი მზად აქვს: ფენ შუი. საქმე ის გახლავთ, რომ ბოიკოტს ამ უძველესი ჩინური შემოქმედების ძალა საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. იგი ფენ შუის ხერხებით სიმსივნეს ებრძოდა და მიაჩნია, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ამაზე ეფექტიანი საშუალება არ არსებობს.

დღეს ბოიკოტი სალსალამათია და იორკშირში ცხოვრობს. სხვათა შორის, ახალგაზრდობაში იგი არც ფეხბურთის თამაშთან გახლდათ მწყრალად - ცოტა ხნით „ლიდსის“ 18-წლამდელებში აგორებდა ბურთს, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ქომაგობით ყოველთვის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ქომაგობდა და ახლა სურს თავისი საყვარელი გუნდის თავდამსხმელს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაში შეუწყოს ხელი.

ბოიკოტმა თქვა: *„მაიკლს ისე ხშირად ველარ გააქვს გოლები და რასაკვირველია ამას განიცდის, რადგან ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება სურს. ჰოდა, ამიტომაც მივწერე მას წერილი, სადაც რეკომენდაციები გავუწიე და იმედი მაქვს, რომ ყურად იღებს. თუმცა, თუ მაიკლი ჩემი წინადადებით არ დაინტერესდება, პრობლემა არ არის, არ მეწყინება. უბრალოდ, მინდა იცოდეს, რომ ერთადერთი, რაც მე მსურს, მისი დახმარებაა. მინდა მან ისევ ძველებური სიხშირით გაიტანოს გოლები. მაიკლს ჩემთვის პასუხი ჯერ არ მოუწერია. თუ მომწერს, ფენ შუის რამდენიმე ოსტატს გავაცნობ და ვნახოთ, ეს ყველაფერი რითი დასრულდება. ადამიანები, ვინც ფენ შუის შესახებ არაფერი იციან, ამბობენ, რომ ეს სისულელეა, თუმცა მე პასუხს ასე გავცემდი: ჩემზე მოქმედებს და სხვა არაფერი მაინტერესებს. როცა ძალიან ავად ვიყავი, ჩემთან სახლში ჩინელი სპეციალისტი მოდიოდა და მეუბნებოდა, რა უნდა გამეკეთებინა. მან საწოლები და ბალიშები ოთახში ისე განალაგა, სწორ მხარეს რომ ყოფილიყო მიმართული. მიმითითა ადგილები, სადაც ონკანები უნდა დამეყენებინა, რათა მთელ სახლში ყოფილიყო გამდინარე წყალი... ერთი სიტყვით, მე ამისი მწამს“.*

ბოიკოტის წინადადებით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა ფენ შუის ექსპერტ **ედი ლიუს** მიაკითხეს. მან თქვა: *„გულწრფელად გეტყვით, რომ ვფიქრობ, მე შემიძლია მაიკლს დავეხმარო. შევძლებ, რომ მან უკეთ ითამაშოს“.*

გაზეთი „სანი“ კი, რომ გაიგო ოუენს ფენ შუის მეთოდით უპირებენ გამოყოჩალებასო, ხუმრობის გუნებაზე დადგა და თავად ჩამოუწერა „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ ყოფილ ლაურეატს სხვადასხვა რეკომენდაცია ჩინური სიბრძნის სტილში. მათ შორის საინტერესო წითელი ფერის მიძალება გახლდათ: კარგია, წითელი მანქანის ტარება და წითელი სამოსის ჩაცმა, თუმცა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წითელი მაისურით რეგულარულად თამაში მთლად მისწრება იქნებაო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

დევიდ ბექჰემი

# სამჯერ ვითამაშე, მეოთხედაც ვითამაშებ!

## ბექჰემი თავს იღბლიან კაცად მიიჩნევს



დევიდ ბექჰემმა 1998 წელს საფრანგეთში, 2002 წელს იაპონიასა და სამხრეთ კორეაში, 2006 წელს კი გერმანიის სტადიონებზე ითამაშა და ახლა მეოთხედ სურს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა. რამდენია ალბათობა იმისა, რომ 34 წლის ნახევარმცველი ფაბიო კაპელოს 23-კაციან სიაში მოხვდება და სამხრეთ აფრიკას გაემგზავრება? ამ კითხვას fifa.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში თავად კაპელომ ამ ცოტა ხნის წინ ასე უპასუხა: „რა თქმა უნდა, ის სამხრეთ აფრიკაში წამოვა, თუ მანამდე რეგულარულად ითამაშებს („მილანის“ შემადგენლობაში) და ფიზიკურად კარგად იქნება მომზადებული. ის სერიოზული კაცია, ნამდვილი პროფესიონალი და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება მიზნად აქვს დასახული“...

და აი, fifa.com-ის სტუმარი ამჯერად თავად დევიდ ბექჰემია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატებზე განცდილსა და გადატანილს გვიამბობს. ის აგრეთვე გვიზიარებს თავის შეხედულებას 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ლეო მესის შესახებ და გამოთქვამს ვარაუდს თუ რა მემკვიდრეობას დატოვებს 2010 წლის მუნდიალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში...

**- ბურთით დავიწყოთ. ამას წინათ თქვენ ქეიფთაუნში 2010 წლის ჩემპიონატის ოფიციალური ბურთის, „ჯაბულანის“ პრეზენტაციაში მონაწილეობდით. თქვენ ამ ბურთით ვარჯიშის საშუალება მოგეცათ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- რამდენიმე თვის წინ ამ ბურთით მართლაც ვივარჯიშე. ჩინებულია, როდესაც „ადიდასის“იდეებს სხვებზე ადრე ეცნობი. ვფიქრობ, თავად ბურთიც საუცხოო გამოვიდა. დიდებულია ახალ ბურთთან შეხების შეგრძნება, ტრაექტორია და მისი ფრენის სისწრაფე. ასეთი ბურთი მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ დაამშვენებს.

**- თქვენ 13 წლის განმავლობაში ინგლისის ეროვნულ გუნდში 115 შეხვედრა ჩაატარეთ. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში სანაკრებო ფეხბურთში?**

- შეცვლით ნამდვილად ბევრი რამ შეიცვალა. ჯერ ერთი, დღეს გაცილებით სწრაფად თამაშობენ. გარდა ამისა, წინ წავიდა ტექნოლოგია: თვალსაჩინოა პროგრესი ტაქტიკაში, ბურთებისა და ბუცების წარმოებაში, თუმცა თავად თამაში ყველაფერზე მაღლა დგას და სახეს ინარჩუნებს.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში რას ნიშნავს თქვენთვის?**

- მსოფლიოს ჩემპიონატი დედამიწის უდიდესი საფეხბურთო შეჯიბრებაა და ნებისმიერმა ფეხბურთელმა, ვისაც ერთხელ მაინც მოუწია მასში მონაწილეობამ, კარგად იცის რას ნიშნავს ეს. მე ძალზე იღბლიანი ადამიანი ვარ - სამ ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა და იმედი მაქვს მეოთხეშიც ვითამაშებ. გრძნობა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გეუფლება, მართლაც განუმეორებელია.

**- რა დაგამახსოვრდათ ბავშვობიდან, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატებს თვალს ტელევიზიით ადევნებდით?**

- პირველი, რაც მახსოვს, ბრაიან რობსონის გოლია საფრანგეთის ნაკრების კარში 1982 წელს. მინდოდა მოედანზე ისეთივე მამაცი ვყოფილიყავი, როგორიც ის იყო. რობსონი ჩემი კერპი გახლდათ და მინდოდა ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, გადამეღო და გამეუმჯობესებინა. სხვათა შორის, იღბალმა ამაშიც შემიწყო ხელი.

**- მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატებმა, ალბათ, ცუდი მოგონებებიც დაგიტოვათ. თუნდაც ის გავიხსენოთ, როგორ გამოეთიშა შეჯიბრებას ინგლისის ნაკრები 1998 წელს, არგენტინასთან შეხვედრაში. ანდა, რა მწარე იყო მარცხი ბრაზილიასთან 2002 წელს... 2006-ში - პორტუგალიასთან...**

- ეს მართლაც მწარე მოსაგონარია. ძნელია აღწერო იმ განცდის სიმძიმე, რომელიც რაიმე შეჯიბრებიდან, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნისას გეუფლება. ინგლისის ნაკრებისგან ხომ ყოველთვის ძალიან ბევრს ელიან და, შესაბამისად, მარცხიც ყოველთვის ძალიან მწარეა.

**- თქვენ მსოფლიოს სამ ჩემპიონატში ითამაშეთ და გოლებიც გაიტანეთ, მაგრამ, გამორჩეული მოგონება მაინც გექნებათ.**

- განსაკუთრებით კარგად მახსენდება 2002 წელს არგენტინელებთან შეხვედრა. იმ თამაშში მე პენალტი გავიტანე. პრინციპული მეტოქის დამარცხება ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ ოთხი წლით ადრე, 1998-ში, სწორედ არგენტინელებთან შეხვედრაში გამაძევეს მოედნიდან და შემდეგ პენალტებით წავაგეთ, ასე რომ, ოთხი წლის შემდეგ მათ კარში გამარჯვების გოლის გატანამ დიდი სიამოვნება მომანიჭა.

**- დღეს არგენტინას უმაღლესი რანგის ფეხბურთელი ლეონელ მესი ჰყავს, რომელიც ახლახან, ფიფას ვერსიით გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. თქვენ რას იტყვით მის შესახებ?**

- ორი აზრი არ არის, ის ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, ვის წინააღმდეგაც მითამაშია და ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი გახლავთ მათ შორის, ვისი თამაშიც მინახავს. იგი სტილით ძალიან ჰგავს მარადონას და მისი მსგავსი გატაცებით თამაშობს. მესი ძალიან წარმატებული ფეხბურთელია და კარგი ადამიანიც გახლავთ. დარწმუნებული ვარ, მომავალში ის კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს.

**- როგორ ფიქრობთ, ამ წელიწადს ინგლისის ნაკრებში ვინ ითამაშებს მთავარ როლს და რატომ?**

- ვფიქრობ, გუნდში ბევრი მთავარი გმირი გვყავს: უეინ რუნი, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლემპარდი, ჯონ ტერი, რიო ფერდინანდი - ყველა პოზიციაზე გვყავს განსაკუთრებული ფეხბურთელი. გაგვიმართლა, ასეთი ნიჭიერი მოთამაშეების ჯგუფმა რომ მოიყარა თავი.

**- ამასთან, პირველად ცხოვრებაში, მსოფლიოს ჩემპიონატის გამოცდას ფაბიო კაპელოც ჩააბარებს. რას გვეტყოდით ამ მწვრთნელზე, როგორც ფეხბურთელი, რომელსაც კაპელოს ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრებამდე მადრიდის „რეალშიც“ გითამაშიათ?**

- ფაბიო კაპელო განსაკუთრებული მწვრთნელია. ის ძალზე გამოცდილია და კარგად იცის, როგორ მოიგოს ცალკეული თამაშები თუ მთელი შეჯიბრებები. ვიცი, რა გემოს ჩაატანს იმ დღეს, როდესაც ცხოვრებაში პირველად გაიყვანს გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ეს გუნდი ინგლისის ნაკრები იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ მოედნის კიდიდან ის თავისი ფეხბურთელებით იამაყებს.

საგზაო შემთხვევა

# ეშლის რაღაც ეშლება...



ეშლი კოული შეიძლება საჭიდან ჩამოსვან

იქ, სადაც მანქანის ტარება საათში 50 მილზე სწრაფად არ შეიძლებოდა, **ეშლი კოულმა** საათში 100 მილის სიჩქარით ჩაიქროლა და გამოიჭირეს. გადმოვაქართულოთ: საათში 100 მილი ჩვენებურად 160 კმ/სთ-ს ნიშნავს, ხოლო საათში 50 მილი შესაბამისად 80 კმ/სთ-ს. ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის“ ვარსკვლავი, რომელიც ამ დღეებში სასამართლოს არ დასწრებია, კინგსტონში A3-ად წოდებულ ტრასაზე თავისი „ლამბორგინი გალიარდოთი“ ასე სწრაფად 2008 წლის 17 ნოემბერს მიჯირითობდა (ცნობისთვის: საქართველოში იტალიურ მანქანას სახელწოდებით - „ლამბორგინი“, რატომღაც „ლამბორჯინიდ“ მოიხსენიებენ, რაც არასწორია).

ასე იყო თუ ისე, პოლიციის ოფიცრის **ჯონ უილსის** სისწრაფის მზომმა კოულს საათში 104 მილი დაუფიქსირა. ფეხბურთელმა თავი იმით იმართლა, პაპარაცი მომდევდა და მისგან თავის დაღწევას ვცდილობდიო, თუმცა ისიც დასძინა, ასე სწრაფადაც არ მოვდიოდიო. კინგსტონის მაგისტრატურის სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონმა **ჯუდით ჯეუელმა** განაცხადა:

*„ჩვენ ყველაფერი კარგად შევამოწმეთ და სრულიად დარწმუნებულები ვართ, რომ გვაქვს მყარი მტკიცებულება: მისტერ კოული მანქანას საათში 104 მილის სისწრაფით მართავდა. ზუსტად ვიცით, რომ პოლიციის მიერ მოწოდებული ფაქტები უტყუარია და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც ტრასაზე მოძრაობის სიჩქარეს ზომავს, გამართულად მუშაობს“.*

...და მაინც, სასამართლომ ვერდიქტი ჯერ არ გამოიტანა, რადგან განაჩენი თავად კოულმა უნდა მოისმინოს. მორიგი სხდომა თვის ბოლოს, 29-შია დანიშნული, თუმცა აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ დიდი შანსია, ფეხბურთის ვარსკვლავს მძღოლის მოწმობა ჩამოართვან. ბრალმდებელმა **რიჩარდ ლომაქსმა** დაადასტურა, რომ გაჩერების შემდეგ კოულმა პოლიციელებს ასეთი რამ უთხრა: *„შეგიძლიათ, ამ იდიოტების დევნისგან დამიხსნათ“?*

ეს სიტყვები ვიდეოკამერაზეა დაფიქსირებული და პაპარაცებს ეხება. გარდა ამისა, როგორც გითხარით, 29 წლის ვარსკვლავს პოლიციისთვის უთქვამს, რომ ის 104 მილით კი არა, საათში 80 მილის სისწრაფით მიდიოდა, თუმცა... ეს კი შეეშალა. ასეც რომ ყოფილიყო, იმ ტრასაზე დასაშვები სისწრაფე, როგორც მოგახსენეთ, საათში 50 მილი გახლდათ.

იმას, რომ კოული ფოტოგრაფების დევნას უჩიოდა, თავად ის პოლიციელებიც ადასტურებენ, რომელთაც ფეხბურთელი სისწრაფის გადაჭარბებისთვის გააჩერეს. მეტიც, ხსენებულმა ჯონ უილსმა ისიც კი დაადასტურა, რომ სანამ იგი კოულს სისწრაფის გადაჭარბებაზე ელაპარაკებოდა, საიდანღაც გამოტყვრა მავანი ფოტოაპარატიანი კაცი, რომელმაც სურათების გადაღება დაიწყო. პოლიციის ოფიცერს არ შეუმჩნევია როგორ გაჩნდა ეს ადამიანი იმ ადგილას. კოულის ადვოკატი **კეტრინ ჰოდსონი** ძალიან ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უილსის სიჩქარმზომი შეცდა, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ვოლფსბურგი



ვოლფსბურგის მწვრთნელი არმინ ფეე

# რას ბოდავს ფეე?!

უცნაური კაცია „ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე**, რომელიც იანვრამდე მენეჯერის ფუნქციებსაც ითავსებდა, მაგრამ მიხვდნენ რა, რომ ის ახლოსაც ვერ მიდის **ფელიქს მაგათთან**, კლუბის შეფებმა მენეჯერობის ფუნქცია ჩამოართვეს და გადააბარეს ბერლინის „ჰერტას“ ყოფილ ბოს **დიტერ ჰიონესს**, რომელიც თავის მხრივ ასევე არ არის დიდი მენეჯერი (ძმისგან განსხვავებით). რაც შეეხება ფეეს უცნაურობას:

გერმანიის ჩემპიონმა პირველ წრეში 32 გოლი გაუშვა, რაც, დაგვეთანხმებით, ამბიციური გუნდისთვის ძალიან ცუდი შედეგია. სეზონის დასაწყისში „მგლების“ ახალი თავკაცი იტალიელ მცველ **ანდრეა ბარძალის** ენდობოდა და დაცვის ბურჯად ჰყავდა, რაც არავის გაჰკვირვებია - ბარძალი ხომ მაგათის დროსაც „მგლების“ წამყვანი მცველი იყო და უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „ვოლფსბურგი“ წინა სეზონში ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახდა. მაგრამ მოგვიანებით ფეემ იტალიელი მცველი, რომელშიც 2008 წელს ვოლფსბურგელებმა „პალერმოს“ 14 მილიონი გადაუხადეს, მაგრად აითვალწუნა და კარგა ხანს სათადარიგოთა სკამს ახეხინებდა. ახლა კი ფეემ ისევ შეცვალა ფირფიტა და ამბობს, ჩემი დაცვის ბურჯი და უკანა ხაზის შეფი ბარძალიაო.

*„ანდრეა ჩემს გუნდში საუკეთესო მცველია. ამ ექვსი თვის განმავლობაში, რაც აქ ვმუშაობ, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. ამრიგად, იან შიმუნეკი, ალექს მადლუნგი და რიკარდო კოშტა ერთი ადგილისთვის იბრძვიან, ბარძალის კი ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული აქვს,“* - განაცხადა „ვოლფსბურგის“ მწვრთნელმა.

არმინი ტაქტიკური სქემის შეცვლასაც აპირებს. უნდა, რომ უახლოეს მომავალში 4-4-2 გამოცადოს, სადაც ნახევარმცველებიდან ორი ფლანგზე ითამაშებს, ორიც საყრდენად, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეიმეიკერმა **ზვიეზდან მიშიმოვიჩმა** რომელიმე ფლანგზე უნდა გადაინაცვლოს. ესეც კი ძალიან სარისკო იდეაა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# რობენი: ვუფრთხილდეთ ფიორენტინას!

## რიბერის ტრავმა სერიოზული არ გამოდგა

„ბაიერნის“ გულშემატკივრებს შეუძლიათ, შვებით ამოისუნთქონ: **ფრანკ რიბერიმ**, რომელმაც დუბაიში ჩატარებულ პირველივე ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, გუშინ მსუბუქი დატვირთვით ვარჯიში განაახლა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მორიგი (ვინ მოთვლის, მერამდენე) ტრავმა მძიმე არ გამოდგა.

რეკორდმაისტერის მეორე ლიდერი **არიენ რობენი** კი სრულიად ჯანმრთელია, დუბაიში სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მოუთმენლად ელის როგორც მეორე წრის განახლებას, ისე რიბერის მოედანზე დაბრუნებასაც. ამავდროულად, ჰოლანდიელი გარემარბი, რომელმაც „ბაიერნის“ ქომაგებს თავი უკვე ძალიან შეაყვარა, თანაგუნდელებს აფრთხილებს, ფლორენციის „ფიორენტინა“ (ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მიუნხენელები სწორედ „ფიორენტინას“ ხვდებიან) ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არისო.

*„ფიორენტინა“ არ არის ევროპის გრანდი, მაგრამ ძალიან სახიფათო გუნდია, რაც თუნდაც „ლივერპულთან“ დუელში დაამტკიცა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ან „ბარსელონას“ რომ გადავყროდით, არავინ იტყოდა, აუცილებლად მეოთხედფინალში უნდა გავიდეთო. რაკი „ფიორენტინა“ შეგვხვდა, ყველა ამბობს, რომ ვალდებულები ვართ, ეს ეტაპი გავიაროთ. სწორედ ამიტომ, ჩვენზე ზეწოლა იზრდება, ეს კი სახიფათოა. ტურინში მოგებას არავინ გვაძალებდა, ნწეხის ქვეშ არ ვიყავით და მოვიგეთ. იმის თქმა მსურს, რომ „ფიორენტინა“ ძალიან სახიფათო გუნდია და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფლორენციელთა დამარცხება უნდა გაგვიადვილდეს, ძალიან ცდება. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს,“* - ამბობს რობენი.

25 წლის ჰოლანდიელი გარემარბი, რომელიც მიუნხენში ზაფხულში, მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა და რეკორდმაისტერმა მის სანაცვლოდ 24 მილიონი ევრო გადაიხადა, მიიჩნევს რომ „ბაიერნი“ სწორ გზას ადგას. რობენი: *„მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ მალევე აზრზე მოვედით, რაც იმის დამსახურებაა, რომ ლუის ვან გაალმა გუნდი კარგად გაიცნო და წარმატების ფორმულას მიაგნო. მეც ახალი ვიყავი და თავიდან თანაგუნდელებს მოედანზე კარგად ვერ ვუგებდი, მაგრამ ახლა ეს პრობლემაც გადაჭრილია. რაც ყველაზე მთავარია, თითოეულ მოთამაშეს კარგად ესმის, რას სთხოვს მას მწვრთნელი. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, „ბაიერნი“ ჯერ მაინც არ არის ევროპის ტოპგუნდი, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ასე გავაგრძელებთ, ძალიან მალე მივუახლოვდებით „ბარსელონას“, „რეალის“, „ჩელსისა“ და „მანჩესტერის“ დონეს.“*

მოგეხსენებათ, პირველ წრეში რობენი ხშირად ტრავმიანობდა. ამიტომაც, სეზონის მეორე ნახევარში მისი უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ყველა შეხვედრაში მიიღოს მონაწილეობა. ჰოლანდიელს იმედი აქვს, რომ მწყობრში იქნება და აღარ დაშავდება რიბერიც. *„აღარ მახსოვს, ბოლოს როდის ვითამაშეთ ორივემ ერთად, - ამბობს რობენი და იქვე დასძენს, - მეორე წრის დაწყებას მოუთმენლად ველი, რადგან ვფიქრობ, რომ სეზონის მეორე ნახევარი „ბაიერნისთვის“ ძალიან წარმატებული იქნება.“*



არიენ რობენი და კომპანია მეორე წრისთვის დუბაიში ემზადებიან

რაც მთავარია, რიბერის მორიგი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ფრანგმა დრიბლიორმა გუშინვე შეძლო ვარჯიშის განახლება - მართალია, ჯერ მხოლოდ მსუბუქი დატვირთვით, მაგრამ ესეც საქმეა. რეკორდმაისტერის ექიმები დარწმუნებულები არიან, რომ მეორე წრის სტარტს რიბერი სრულ მზადყოფნაში შეხვდება.



მლადენ პეტრიჩი ბოსებს შემოსწყრა და წასვლით იმუქრება

ჰამბურგი

# პეტრიჩმა ხმა აიმაღლა

## საბავშვო ბაღით შორს ვერ გავფრინდებით, თუ არაფერი შეიცვალა, ზაფხულში კარგად მეყოლეთო...

ახლა აღარ დავიწყებთ იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს **მლადენ პეტრიჩი** „ჰამბურგისთვის“. გეტყვით, უფრო სწორად, შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ 29 წლის ხორვატი თავდამსხმელი ამბიციურ ჩრდილოგერმანულ კლუბს პირველ წრეში შვიდ შეხვედრაში დააკლდა და ჰამბურგელებმა მის გარეშე ვერც ერთი თამაშის მოგება ვერ შეძლეს, ხოლო როცა გამოჯანმრთელდა და მოედანზე დაბრუნდა, მაშინვე 3 ქულა შემატეს აქტივს. „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** ამბობს, მლადენის გარეშე ჩემი გუნდი ვერ წარმომიდგენიაო და მართალიცაა. მაგრამ საკითხავია, რამდენად მოეწონებათ გუნდის ბოსებს ის ამბავი, რომ ბელექში შეკრებაზე ყოფნის მეოთხე დღეს პეტრიჩმა ხმა აიმაღლა და ასე ვთქვათ, ყველაფერზე გულახდილად ისაუბრა.

იმის გამო, რომ „ჰამბურგს“ ჯერ კიდევ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული, ლაბადიამ შეკრებაზე ერთბაშად შვიდი ახალგაზრდა ფეხბურთელი წაიყვანა - ისეთები, რომლებიც სეზონის წინ პირველი გუნდის განაცხადში საერთოდ არ მოიაზრებოდნენ. პეტრიჩი ფიქრობს, რომ ახალგაზრდებისთვის შანსის მიცემა ძალიან კარგია, მაგრამ: *„შემადგენლობის რეზერვიდან შევსება საკმარისი არ არის. ყველა ვარჯიშზე იგრძნობა, რომ ხარისხი დაცემულია. სეზონის წინ სულ სხვაგვარი სიტუაცია იყო. ვფიქრობ, ყველა უნდა დამეთანხმოს იმაში, რომ მაღალი დონის, გამოცდილი ფეხბურთელები გვჭირდება,“* - აცხადებს „ჰამბურგის“ ლიდერი.

პეტრიჩი ზუსტად ერთი წლის წინანდელ ტრანსფერებს იხსენებს და ამბობს, რომ მაშინაც შეცდომა იქნა დაშვებული: *„წინა ზამთრის სატრანსფერო სეზონზე ჩვენ ექვსი ფეხბურთელი ვიყიდეთ და აქცენტი გაკეთდა არა ხარისხზე, არამედ რაოდენობაზე, რაც დიდი შეცდომაა.“*

პეტრიჩს „ჰამბურგთან“ კონტრაქტის გაგრძელება შემოდგომაზე შესთავაზეს, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რის შემდეგაც მლადენი კლუბის ხელმძღვანელებს გაუნაწყენდა. ხორვატი თავდამსხმელი ძალიან წუხს იმის გამოც, რომ ჩიხში შევიდა ისეთ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებიც, როგორებიც არიან **პაულო გერერო** და **ჟერომ ბოატენგი**. არადა, ეს მოთამაშეები „ჰამბურგში“ ამინდს ქმნიან და ყოველივე ამის შემდეგ პეტრიჩს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გუნდის მენეჯმენტი არცთუ კარგად მუშაობს. *„პრინციპში ბევრი რამ გასაგებია, რადგან ზაფხულში ტრანსფერებში 28 მილიონი ევრო დაიხარჯა და გუნდს აღარ აქვს იმდენი ფული, რომ ფეხბურთელებს ხელფასები გაუზარდოს და ასე დაითანხმოს ახალ კონტრაქტებზე, მაგრამ საკითხავია, რატომ უნდა მოვსულიყავით ასეთ ზომამდე?* - უკვირს ხორვატს - *ამის გამო ძალიან ვნერვიულობ, რადგან საქმე ეხება გუნდის მომავალს. არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენ წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება არ შეგვიძლია. თუ ჩვენ სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლას ვაპირებთ, გერერო და ბოატენგი ან უნდა შევინარჩუნოთ, ანაც მათზე უკეთესი ფეხბურთელები უნდა შევიძინოთ“.*

კლუბის შეფ **ბერნდ ჰოფმანთან** პეტრიჩს დიდი ხანია, აღარ უსაუბრია: *„დიდი ხანია, აღარ გვისაუბრია და არ ვიცი, რას ფიქრობს. ცხადია, ჯერ არ შემიძლია იმის თქმა, წავალ თუ დავრჩები, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ „ჰამბურგში“ არ უნდა დავრჩე. მიზეზი? ჯერჯერობით პერსპექტივას ვერ ვხედავ.“*

„ჰამბურგში“ რომ არაჯანსაღი სიტუაციაა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ზაფხულის შემდეგ გუნდს საერთოდ არ ჰყავს სპორტული დირექტორი. ივლისში სამეთვალყურეო საბჭომ **დიტმარ ბაიერსდორფერი** გაათავისუფლა და მას მერე ჰამბურგელები მის შემცვლელს ამაოდ ეძებენ. *„მე უკვე ვფიქრობ, რომ არც კი ეძებენ. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა,“* - ამბობს პეტრიჩი. ფაქტია, ჩრდილოგერმანულ კლუბს წინ მძიმე კვირები ელის...

ამასობაში, გამოჩნდა დაკარგული **ზე რობერტოც**. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჰამბურგში დაბრუნება დააგვიანა და თანაც, ლაბადიამ მისი ალი-კვალი არ იცოდა. ბრუნოს თქმით, ზე რობერტოს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა და „ჰამბურგში“ არავინ იცოდა, რატომ არ ჩამოვიდა ზე ბრაზილიიდან დროულად. ეს ზოგადად ბრაზილიელი ფეხბურთელების სენია - სამშობლოში ყოფნა გაუტკბებათ ხოლმე და კლუბებში დათქმულ დროზე არ ცხადდებიან, მაგრამ ზე რობერტოს შემთხვევაში ასეთი რამ პირველად მოხდა. ბრაზილიელი ლაბადიას გუშინ პირველად შეეხმიანა (ტელეფონით) და ბოდიში მოუხადა. მისი თქმით, ოჯახური პრობლემები ჰქონდა და თანაგუნდელებს ამ დღეებში შეუერთდება. მაგრამ ზეს დღეების გაცდენა მაინც არასაპატიოდ ჩაეთვალა და ლაბადიას თქმით, საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმა დაეკისრება. *„არ შეეძლო, რომ დაერეკა და გავეფრთხილებინე, რომ ვერ ჩამოდიოდა? ჩვენ მას ველოდებოდით და თან ვერ ვუკავშირდებოდით. ასე არ შეიძლება,“* - გაოგნებულია ლაბადია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა

# ტურის რჩეულნი

GOAL.COM-მა ლა ლიგის მე-16 ტურის საუკეთესო 11-ეული (4-4-2) დაასახელა:

**კარლოს კამენი** (ესპანიოლი): კამერუნელი ყოველთვის კარგად თამაშობს ძლიერი კლუბების წინააღმდეგ, ამჯერადაც მან აფრიკის ერთა თასზე წასვლამდე პრიმერას ბომბარდირი **დავიდ ვილია** გაამწარა, რომელსაც სამი „მკვდარი" ბურთი აუღო.

**სესარ ასპილიკუეტა** (ოსასუნა): 20 წლის მცველმა გამოცდილი პროფესიონალივით ითამაშა „რეალის" შემტევების წინააღმდეგ, ის ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული **კრიშტიანო რონალდოსთან** ორთაბრძოლაში.

**ალექსისი** (ვალენსია): საოცრად არასტაბილური ცენტრალური მცველია, თუმცა „ესპანიოლთან" ბრწყინვალედ გაისარჯა. ის ყველგან ასწრებდა, განსაკუთრებით საჰაერო ორთაბრძოლებში.

**როვერსიო** (ოსასუნა): კიდევ ერთი მცველი ნავარული კლუბიდან. ბრაზილიელი კარგად „კითხულობდა" „რეალის" შეტევებს, **გონსალო იგუაინს** მან გასაქანი არ მისცა და შესაცვლელი გახადა.

**ალვარო არბელოა** (რეალი): საოცარია, მაგრამ არბელოა იყო ერთადერთი, რომელიც ასპილიკუეტას ფლანგზე პრობლემებს უქმნიდა.

**პედრო ლეონი** (ხეტაფე): ძალიან ნიჭიერი ფლანგელი. ბურთის კონტროლი საოცრად ეხერხება, ამ მატჩში, წესით, რამდენიმე საგოლე პასი უნდა მიეთვალა, მაგრამ „ხეტაფეს" ფორვარდები სცოდავდნენ.

**მარკოს სენა** (ვილიარეალი): ნახევარდაცვის კონტროლისათვის ორთაბრძოლა ნაკრებში თანაგუნდელ **ჩავის** მოუგო, **სერხიო ბუსკეტსს** კი ბევრი შეცდომა დააშვებინა.

**ევერ ბანეგა** (ვალენსია): ახალგაზრდა არგენტინელი „ლოს ჩეს" ძრავა ხდება. ის კარგი იყო დაცვაშიც და შეტევაშიც, ბევრს მოძრაობდა უბურთოდ.

**ბორხა ვალერო** (მალიორკა): „მალიორკას" 24 წლის გამთამაშებელმა „ბილბაოს" დაცვა გაარღვია.

**არიც ადურისი** (მალიორკა): ბასკმა ფორვარდმა თანამემამულეები არ დაინდო, მისი წყალობით ბალეარელებმა მერვე საშინაო მატჩში მერვე მოგება ჩაიწერეს. მის ანგარიშზე გოლი და საგოლე გადაცემაა.

**ტიერი ანრი** (ბარსელონა): 2009 წლის ბოლო თვეებში არცთუ კარგად თამაშობდა, ახალ წელს კი ძველი ანრი მოგვევლინა, მეტოქის კარზე დაგეშილი, ენერგიული, სწრაფი და ტექნიკური.


მესი ახალი მესის მოლოდინში

ბარსელონა

# ბარსა ახალ მესიზე ნადირობს

ბარსელონური ყოველდღიური გაზეთი „სპორტი" ექსკლუზიურ მასალას აქვეყნებს, რომლის თანახმადაც „ბარსელონამ" 12 წლის ვუნდერკინდი აღმოაჩინა, ვისშიც კატალონიური გუნდის ხელმძღვანელობა მომავალ მესის ხედავს. ეს ბიჭიც ქალაქ როსარიოდანაა, სადაც ლიონელ მესი გაიზარდა, ის უკვე ჩავიდა ბარსელონაში გუნდის სკაუტების მიწვევით. მისი სახელია **გვიდო ვადალა...**

არგენტინული „ლა კაპიტალის" ცნობით, გვიდო ვადალამ თამაში „როსარიოს" საბავშვო გუნდში დაიწყო ვარჯიში, ახლა კი ის „პროვინსიალში" ასპარეზობს. გვიდოს მამა „სპორტს" მოუთხრობს: *„ჩვენ 15 დღით ვიყავით „ბარსელონაში". გვიდომ რამდენიმე ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა. მისი თამაშის სტილი ყველას მოეწონა და გადაწყდა, რომ გვიდო ისევ დაუბრუნდება „ბლაუგრანას". „ბარსელონა" პირველია, რომელიც ჩემი შვილით სერიოზულად დაინტერესდა, კლუბმა უკვე შესთავაზა მთელ ოჯახს ბინა, თუმცა გვიდოს ნიჭის შესახებ სხვა გუნდებშიც იციან. მაგალითად, „იუვენტუსი", „ატალანტა" და „ინტერი".*

„სპორტი" ამტკიცებს, რომ პატარა გვიდო ვადალა თამაშის სტილით ძალიან ჰგავს ლიონელ მესის. ნორჩმა არგენტინელმა ეს „ბარსელონას" ბაზაზე ბოლო 15 დღის განმავლობაში დაამტკიცა.

SOS

# სახიფათოა ჯანმრთელობისთვის!

## გულმა სანჩესის კარიერას წერტილი დაუსვა

1 იანვარს „სევილიას" 23 წლის მცველმა **სერხიო სანჩესმა** „საახალწლო საჩუქრად" ძალიან ცუდი ამბავი შეიტყო - სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ სერხიოს ფეხბურთელის კარიერის გაგრძელება ძალიან სახიფათოა, მას გულის პრობლემები აქვს. სერხიო სანჩესი ხშირად იტკიებდა გულს, რის გამოც მან ზამთრის არდადეგების დადგომისთანავე საგულდაგულო გამოკვლევის ჩატარება გადაწყვიტა, შედეგები კი სავალალო აღმოჩნდა - 23 წლის ახალგაზრდა კაცი იძულებულია ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს.

„სევილიას" ფეხბურთელმა ლამის გულის შეტევა მიიღო, როცა ექიმებმა კარიერის დასრულება მოსთხოვეს. ის მშობლიურ მატაროში (ბარსელონის გარეუბანია) წავიდა და მედიასთან ურთიერთობა შეწყვიტა. მხოლოდ გუშინ შეძლეს ესპანელმა ჟურნალისტებმა მასთან გასაუბრება. როგორც ჩანს, სერხიო სანჩესი ბედს შეეგუა:

*„განადგურებული ვარ, ფეხბურთში კარგი პერსპექტივა მქონდა, ახლა კი ყველაფერი დაინგრა. მაგრამ მეორე მხრიდან რომ შევხედოთ ამ ამბავს, მოხარული ვარ, რომ დროულად გავიგე ყველაფერი და ახლა შემიძლია გავფრთხილდე. საბრალო ანტონიო პუერტას და დანი ხარკეს ოჯახები, ალბათ, ყველაფერს გაიღებდნენ, რომ ისინიც ჩემს სიტუაციაში ყოფილიყვნენ. საბედნიეროდ, ჩემ ირგვლივ ძალიან ბევრი კარგი ადამიანია. მათ და ჩემმა ოჯახმა პირველი შოკი შედარებით ადვილად გადამატანინა".*

სხვათა შორის, სერხიო სანჩესი მაინც ფიქრობს, რომ შეძლებს ფეხბურთში დაბრუნებას, ის რეგულარულად ჩაიტარებს ტესტებს და თუკი ექიმები იმედს მისცემენ, შეეცდება სპორტს დაუბრუნდეს.

„ესპანიოლის" სკოლის აღზრდილი სერხიო სანჩესი 19 წლის ასაკში გამოჩნდა პირველად პრიმერაში. თუმცა „ესპანიოლში" მან თავი ვერ დაიმკვიდრა (ხშირად ანათხოვრებდნენ), შარშან ივლისში კი მან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „სევილიასთან" და ანდალუსიურმა კლუბმა კატალონიელებს 4 მილიონი ევრო გადაუხადა.

# ლაპორტა გვარდიოლას ვერ ელევა

პენსიაში გასვლამდე **ჟოან ლაპორტა** თავის უმთავრეს ამოცანად „ბარსელონაში" **ხოსეპ გვარდიოლას** დატოვებას მიიჩნევს. ახალგაზრდა მწვრთნელს, რომელიც ძალზე წარმატებულია, ჯერ არ მოუწერია ახალ კონტრაქტზე ხელი. ამას კი ხმები ემატება, რომელთა თანახმადაც გვარდიოლას „მანჩესტერ იუნაიტედში" სერ ალექს ფერგიუსონის მემკვიდრედ ასახელებენ.

აი, რა უთხრა „ელ პრეზიდენტემ" „ელ მუნდო დეპორტივოს": *„ახლა ძალზე მნიშვნელოვანია გუნდში დიდი ხნით დავიბევოთ გვარდიოლა. გუნდი ბრწყინვალედ მუშაობს, ყველაფერი კარგადაა, გვარდიოლა შესაშური ლიდერი გამოდგა. მოხარული ვარ, რომ ჩემმა იდეამ გაამართლა და ყველაფერი დიდებულადაა, ჩემს მემკვიდრეს აწყობილ მექანიზმს ვუტოვებ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას ამ მექანიზმის პირველი ხმა, პეპ გვარდიოლაც დავუტოვო".* როგორც მოგეხსენებათ, სეზონის ბოლოს (შესაძლოა, უფრო ადრეც) „ბარსელონაში" კლუბის პრეზიდენტის არჩევნებია, რომელშიც ლაპორტა მონაწილეობას აღარ მიიღებს, ის პოლიტიკურ ასპარეზზე გადადის და კატალონიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას აპირებს.


ჩიკი ბეგირისტაინი, ელ პრეზიდენტე და პეპ გვარდიოლა

ტრანსფერი

# მერიდა ესპანეთში ბრუნდება

ლონდონის „არსენალის" ესპანელ ტალანტ **ფრან მერიდას** ერთი ნაბიჯილა აშორებს მადრიდის „ატლეტიკოში" გადასვლამდე. „მარკას" ინფორმაციით, **კიკე ფლორესი** მერიდას დამატებით ნახევარდაცვაში პრობლემების შემცირებას აპირებს, მით უფრო, რომ უახლოეს საათებში **მაქსი როდრიგესი** დატოვებს „ვისენტე კალდერონს" და ინგლისში (ან „ტოტენჰემში" ან „ლივერპულში") გადავა. ფრან მერიდა „ბარსელონას" სკოლის აღზრდილია, მას „არსენალთან" ივნისამდე აკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ ფიფა-ს დადგენილი წესით, ახალგაზრდა ფეხბურთელს უკვე 1 იანვრიდან შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკება ნებისმიერ კლუბთან. „ატლეტიკო" 19 წლის მერიდას 4-წლიან კონტრაქტს უმზადებს.

მზერა მუნდიალისკენ

# სექსტა კამპეაუ?

## ორი კორეის ჯახი არ იქნება

„კასტროლ ფუტბოლთან" ერთად G ჯგუფს მივადექით, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტი ბრაზილიაა. სამხრეთამერიკელებთან ერთად ჯგუფში ჩრდილო კორეა, კოტ დივუარი და პორტუგალია არიან, სწორედ ამიტომ G ჯგუფმა „სიკვდილის ჯგუფის" სტატუსი დაიმსახურა.

მოდით, დავიწყოთ მთავარი კითხვით - შეძლებს **დუნგას** გუნდი ტიტულის მოპოვებას, გახდება „პენტა კამპეაუ" (ხუთგზის ჩემპიონი პორტუგალიურად) „სექსტა კამპეაუ"? „კასტროლ პრედიქტორი" პასუხობს, რომ ამის შანსი სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე ერთობ მაღალია (ყველაზე დიდი მონაწილე ნაკრებთა შორის) - 23,6%, ანუ თითქმის ოთხში ერთი...

„სიკვდილის ჯგუფი" ბრაზილიის ნაკრებისთვის რთულად დასაძლევი არ უნდა იყოს, 91,7%-ით (I ადგილი - 70,3%, II - ადგილი - 21,4%) ბრაზილია პლეი ოფშია. სხვათა შორის, ეს ყველაზე დიდი ალბათობა ჩემპიონატში მონაწილეთა შორის. ბრაზილიელთათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება პირველი ადგილის დაკავება, რადგან ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი შანსია, რომ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჩილეს გადაეყაროს, მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში კი მისი მეტოქე, ალბათ, ჩემპიონატის ნომერ მეორე ფავორიტი ესპანეთი იქნება.

განსაკუთრებით გამორჩეული იქნება, თუკი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბრაზილიის და არგენტინის ნაკრებები ერთმანეთს გადაეყრებიან, თუმცა ეს სამხრეთ აფრიკაში ნახევარფინალამდე გამორიცხულია, ნახევარფინალში - 11,2%, ფინალში - 9,8%. ბრაზილიელთა შანსები: მეოთხედფინალში გასვლა - 67,7%, ნახევარფინალი - 48,8%, ფინალი - 35%. მსოფლიოს ჩემპიონობაზე კი უკვე ვთქვით...

ამ ქვეჯგუფში ყველაფერი ბრაზილიას, მაშ სხვებს რაღა? G ჯგუფის მეორე ნომერი ჩრდილოეთ კორეის ნაკრებია, როგორც ქვეყანა (პოლიტიკურ ასპექტში), ისევე საფეხბურთო ნაკრები იდუმალებითაა მოცული, თუმცა „კასტროლს" ჩრდილოეთკორეელი ფეხბურთელები ვერსად დაემალნენ, ამ წყაროს სტატისტიკოსებზე კი აზიელებმა სათანადო შთაბეჭდილება ვერ დატოვეს - კორეას ჯგუფიდან გასვლის 5,4%-იანი შანსი (I ადგილი - 0,7%, II - ადგილი - 4,8%) აქვს, დიახ, ეს სიკვდილის ჯგუფია, მაგრამ 5 პროცენტი მაინც ძალზე ცოტაა. მერვედფინალში გასვლა - 0,8%, ნახევარფინალი - 0,2%. ყველაზე დიდი ინტრიგა, რაც კი შეიძლება ჩრდილოეთ კორეის ნაკრებმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს მოუტანოს, ეს ორი კორეის გუნდის დაპირისპირებაა, თუმცა ასეთი დაპირისპირება მხოლოდ თეორიულადაა შესაძლებელი. „კასტროლი" მიიჩნევს, რომ ნახევარფინალში ორი კორეის ჯახის ალბათობა 1,4%-ით განისაზღვრა. წარმოიდგინეთ, ჩრდილოელებს ნახევარფინალში თამაშის შანსი სულ 0,2% აქვთ და ამის 1,4% რაღა იქნება. ამას „კასტროლ პრედიქტორიც" არ სჭირდება - კორეული დერბი სამხრეთ აფრიკაში არ იქნება!

კოტ დივუარი ანუ სპილოს ძვლის ნაპირი... სპეციალისტების მტკიცებით ამ გუნდს აფრიკელთა შორის ყველაზე კარგი შანსები აქვს მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე. არც „კასტროლ ფუტბოლია" ორიგინალური - **დიდიე დროგბას** და კომპანიას სიკვდილის ჯგუფის დაძლევის 50,5%-იანი შანსი (I ადგილი - 14,1%, II ადგილი - 36,4%) აქვს. უფრო შორეული პერსპექტივა კი „სპილოებისთვის" ასეთია: მეოთხედფინალი - 21,2%, ნახევარფინალი - 10%, ფინალი - 4,4%, მსოფლიოს ჩემპიონობა - 1,5%.

**კრიშტიანო რონალდოს** და კომპანიას კენჭისყრაში არ გაუმართლდა, გუნდს ჯგუფური ეტაპის დაძლევის შანსი 52,4%-იანი აქვს (I ადგილი - 15%, II ადგილი - 37,5%), შემდგომი წინსვლა: მეოთხედფინალი - 22,5%, ნახევარფინალი - 10,9%, ფინალი - 5%, ჩემპიონობა - 1,8%. **კარლუშ კეიროშმა** და მისმა შეგირდებმა „კასტროლი" ფავორიტობაში ვერ დააჯერეს.



დაიბრუნებს ბრაზილია დაკარგულ თასს?

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდი



იურგენ კლოპისთვის ყველაზე მთავარი კარგი განწყობაა

# კლოპმა ბიჭებს შემოუძახა

## იურგენი: ჩემპიონობაზე ფიქრი აბსურდია, მაგრამ ცუდ თამაშს გამართლება აღარ ექნება

დორტმუნდის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** აღფრთოვანებულია იმით, რომ მისმა შეგირდებმა პირველი წრის მეორე ნახევარი ბრწყინვალედ ჩაატარეს და 17 თამაშის შემდეგ მეხუთე ადგილზე არიან, მაგრამ კლოპი ყველას, პირველ რიგში კი თავის შეგირდებს აფრთხილებს, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება ან მეცრხე ცაზე ყოფნა დაუშვებელია.

*„მეორე წრეს რეალური თვალით უნდა შევხედოთ. მართალია, პირველი წრის მეორე ნახევარი ბრწყინვალედ ჩავატარეთ და მეხუთე ადგილზე ვართ, მაგრამ ახლა დიდი შეცდომა იქნება იმის მტკიცება, რომ საბოლოოდ მესამე ადგილს დავიკავებთ ან სულაც ჩემპიონები გავხდებით. ეს აბსურდია,* - აცხადებს კლოპი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *პირველი წრის საუკეთესო მატჩი ვოლფსბურგში ჩავატარეთ (3:1) და იმ შეხვედრის პირველ ტაიმში იმდენად იდეალურად ვითამაშეთ, რომ ამის შემდეგ, თუ უარესად ითამაშებენ, ჩემს შეგირდებს არანაირი გასამართლებელი საბუთი არ ექნებათ. რაკი გამოჩნდა, რომ ასეთ დონეზე თამაში შეგვიძლია, ნაკლები ჩემთვის უკვე მიუღებელი იქნება."*

კლოპს ახალგაზრდული გუნდი ჰყავს და მიიჩნევს, რომ სწორედ ეს არის დორტმუნდელთა წარმატების საიდუმლო. თუ შარშან გამოცდილება აკლდათ, წელს ესეც აქვთ და წესით, ამიერიდან მხოლოდ პროგრესი უნდა განვიცადოთ, ერთ ადგილზე აღარ უნდა გავჩერდეთო.

კლოპი: *„ბიჭები უკვე გაიზარდნენ და ის დროა, როცა მუდმივად შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა უნდა დაიწყონ. დღესდღეობით ჩვენ არავინ გვაკრიტიკებს და ყველას მოვწონვართ, რადგან ბოლო დროს შესანიშნავად ვთამაშობდით, მაგრამ ამასთან, დასაკარგი დროც აღარ გვაქვს."*

„კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში დორტმუნდელთა დამრიგებელმა ყველაზე მეტად ნახევარმცველი **მატს ჰუმელსი** შეაქო. კლოპს მიაჩნია, რომ ადრე თუ გვიან, ეს უკანასკნელი გერმანიის ნაკრების ბურჯი და შეუცვლელი ფიგურა გახდება. *„ღმერთს მადლობას ვეუბნები იმის გამო, რომ ჰუმელსის „ბაიერნიდან" გამოსყიდვა შევძელით. ეს არის ფეხბურთელი, რომელზეც მხოლოდ დორტმუნდი კი არა, მთელი საფეხბურთო გერმანია უდიდეს იმედებს უნდა ამყარებდეს,"* - ამბობს იურგენი.

ჰუმელსთან ერთად, კლოპისგან საქებარი სიტყვები სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებმაც დაიმსახურეს - საყრდენმა ნახევარმცველმა **სვენ ბენდერმა**, რომელიც პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ცენტრალურმა მცველმა **ნევენ სუბოტიჩმა**, რომელიც **სანტანასთან** ერთად დაცვის ცენტრში ბრწყინვალე ტანდემს ქმნის, **მარსელ შმელცერმა**, რომელიც დედეს ნელ-ნელა ცვლის და **ნური შაჰინმა**, რომელიც „ბორუსიას" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

კლოპმა ცალკე გამოყო და ძალიან აქო თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი**, რომელიც პირველი წრის შემდეგ, 9 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა და მხოლოდ **შტეფან კისლინგს** ჩამორჩება (ლევერკუზენი, 12 გოლი). *„ლუკასმა ყველას დაუმტკიცა, რომ უმაღლესი დონის თავდამსხმელია. ფორვარდის შეფასებისას უმთავრესი კრიტერიუმი ჩემთვის ის არის, თუ რამდენად მშვიდია ფეხბურთელი მეტოქის კართან ყოფნისას. ბარიოსი სწორედ ასეთი თავდამსხმელია. მას ყველაფერი აქვს, რაც კარგ თავდამსხმელს უნდა ჰქონდეს. გარდა ცხრა გოლისა, მან პირველ წრეში „ბორუსიას" ძალიან ბევრი გაუკეთა და დღესვე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენი გუნდისთვის უკვე შეუცვლელი ფიგურაა,"* - ამბობს კლოპი.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი დანიშვნა

# თერიმის შემდეგ პიუზი?

## მანჩესტერ სიტის ყოფილ მწვრთნელს თურქეთის ნაკრებში მუშაობას სთავაზობენ




დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც **მარკ ჰიუზი** „მანჩესტერ სიტიდან" გაათავისუფლეს და შესაძლოა, მან ძალიან მალე ახალი, თანაც საკმაოდ კარგი სამსახური იშოვოს. უელსელ სპეციალისტს თურქეთში ეპატიჟებიან და თურქეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობას სთავაზობენ.

მას მერე, რაც **ფათიჰ თერიმმა** პოსტი დატოვა, თურქეთის ნაკრების თავკაცად არაერთი ცნობილი სპეციალისტი მოიაზრებოდა. იყო საუბრები **ლუიშ ფელიპე სკოლარიზე, ჯოვანი ტრაპატონიზე, გუუს ჰიდინკზე, ბერნდ შუსტერზე** და ასე განსაჯეთ, თვით გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვზეც** კი, მაგრამ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტაქტი ყველა მათგანმა უარყო.

ახლა კი „მირორი" ავრცელებს ცნობას იმის შესახებ, რომ თურქეთის ნაკრების დამრიგებლის თანამდებობაზე ფავორიტი ჰიუზია. როგორც იცით, უელსელი სპეციალისტი დეკემბერში „მანჩესტერ სიტიდან" გაათავისუფლეს და მის ნაცვლად იტალიელი **რობერტო მანჩინი** დანიშნეს. „მირორის" ცნობით, თურქების სურვილია, რომ ჰიუზის ასისტენტად თურქეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **თუგაი** დაინიშნოს. ეს უკანასკნელი მარკ ჰიუზს „ბლექბერნ როვერსიდან" იცნობს...

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი დაბრუნება

# ლიპი იუვეს პრეზიდენტად?

## ბლანი მაესტროს მთავარი ბოსის პოსტს შესთავაზებს



მარჩელო ლიპი

**მარჩელო ლიპიმ** ხაზგასმით თქვა, „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებას არ ვაპირებო. როგორც იცით, ტურინელებმა მას „ბებერი ქალბატონში" დაბრუნება შესთავაზეს - რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. რაკი მწვრთნელობაზე უარი თქვა, „იუვენტუსის" ხელმძღვანელები ახლა პრეზიდენტის პოსტს სთავაზობენ. როგორც იტალიური პრესა იტყობინება, „იუვეს" მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** უახლოეს მომავალში 61 წლის მაესტროს „იუვენტუსის" პრეზიდენტობას შესთავაზებს.

შეგახსენებთ, რომ მარჩელო ლიპი „იუვენტუსს" ორჯერ წვრთნიდა. პირველად 1994-დან 1999 წლამდე, მეორედ კი 2001-დან 2004 წლამდე. „იუვენტუსის" ბოლო 20 წელიწადის საუკეთესო მიღწევები სწორედ ლიპის სახელს უკავშირდება. ბლანმა შობა-ახალ წლამდე „იუვენტუსში" **რობერტო ბეტეგაც** დააბრუნა (სპორტული დირექტორის პოსტზე), რომელმაც კალჩოპოლის დროს დატოვა ტურინული კლუბი.

**გოტფრიდ ლენცი**

სატრანსფერო ამბავი

# დოსენა ნაპოლიში?

## იტალიელები 5 მილიონს იხდიან, ლივერპული თანახმაა

იტალიური პრესის ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მარცხენა მცველი **ანდრეა დოსენა** „ლივერპულს" დატოვებს, სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას „ნაპოლიში" გააგრძელებს. როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები იტყობინებიან, „ნაპოლის" სპორტული დირექტორი **რიკარდო ბიგონი** ორშაბათს ლივერპულში ჩავიდა და მერსისაიდული კლუბის შეფებთან მოლაპარაკებები გამართა. იტალიური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ბიგონი ლივერპულელ კოლეგებს თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდა. „ნაპოლი" „ლივერპულს" 5 მილიონ ევროს გადაუხდის.

28 წლის დოსენამ „ლივერპულს" 2008 წელს მიაშურა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. ამ სეზონში კი პრემიერლიგაში არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა. ინგლისში მის წასვლაზე ზაფხულშიც ლაპარაკობდნენ, მაგრამ იტალიელმა ზამთრამდე მოცდა ამჯობინა იმ იმედით, რომ **რაფა ბენიტესი** უფრო ხშირად მისცემდა თავის გამოჩენის შანსს.

„ლივერპულის" დაცვისა და ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე უდიდესი კონკურენციაა. დოსენას უმთავრესი კონკურენტები **ემილიანო ინსუა** და **ფაბიო აურელიო** არიან და ბენიტესიც უმეტესად სწორედ ამ უკანასკნელებს ენდობა. „ლივერპულისთვის" დოსენას ნაცვლად 5 მილიონი ევროს მიღება ურიგო გარიგება არ უნდა იყოს.

**გოტფრიდ ლენცი**

# ვერონი ლაციოს უარყოფს



ხუან სებასტიან ვერონი
ერთ დროს ლაციოს ვარსკვლავი იყო

ბევრმა არც კი იცის, რომ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელად **ხუან სებასტიან ვერონი** აღიარეს. 34 წლის ვეტერანი არგენტინელი მეორე ახალგაზრდობას განიცდის და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატი გახლავთ. იტალიურ პრესაში გავრცელდა ხმები, რომ არის შანსი ვერონმა კარიერა „ლაციოში" გააგრძელოს, გუნდში, რომელშიც წლების წინ ბრწყინვალედ ასპარეზობდა. ამ საკითხზე გუშინ თავად ფეხბურთელმა ისაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„გასულ სეზონში მართლაც შემომთავაზეს „ლაციოში" დაბრუნება. ოღონდ, ეს მხოლოდ პირადი საუბრის დონეზე მოხდა. „ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო დამიკავშირდა და კარიერის „ლაციოში" გაგრძელება შემომთავაზა. ყურადღებით მოვუსმინე და ვუთხარი, რომ კონკრეტულ წინადადებას სიამოვნებით განვიხილავდი. გადავეცი ჩემი პირადი აგენტის საკონტაქტო ნომრები, რომ მოლაპარაკებები დაეწყოთ. თუმცა, ჩემდა გასაკვირად მსგავსი არაფერი მომხდარა. როგორც ჩანს, ლოტიტომ გადაიფიქრა, რადგან რომიდან აღარავინ შეგვეხმიანებია. შესაბამისად, დღეს გამიჭირდება იმაზე საუბარი, რამდენად რეალურია ჩემი „ლაციოში" გადაბარგების პერსპექტივა. უმჯობესია, ამ საკითხზე ლოტიტოს ესაუბროთ, მეც მაინტერესებს რას იტყვის".*

**ლაშა ნიკლაური**

# მუტუს ყატარში არ უნდა




მიმდინარე სეზონში **ადრიან მუტუ** იშვიათად ხვდება „ფიორენტინას" ძირითად შემადგენლობაში, რაც გახდა კიდეც ათასგვარი ხმების გავრცელების საფუძველი. იტალიელ ჟურნალისტებს რუმინელი ხან ინგლისურ პრემიერლიგაში გადაჰყავთ, ხანაც გერმანულ ბუნდესლიგაში. ამას წინათ ადრიანის ბედი სულაც ყატარულ „ალ სადას" დაუკავშირეს, რაც თავად ფეხბურთელმა აგენტის პირით უარყო. მოვუსმინოთ მუტუს ინტერესების დამცველ **ვიქტორ ბეკალის**:

*„ყატარული კლუბის მეპატრონე მართლაც დამიკავშირდა და მუტუსთან გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმებაზე ჩამომიგდო სიტყვა. მითხრა, რომ აღფრთოვანებულია ადრიანის ტალანტით და სურს იგი თავის კლუბში იხილოს. მუტუს ძალიან სიამოვნებს, რომ მისი თამაშით შორეულ აღმოსავლეთშიც იხიბლებიან, მაგრამ ყატარში წასვლას ნამდვილად არ აპირებს. მისი გეგმები ფლორენციას უკავშირდება, უახლოეს პერიოდში ალბათ კლუბთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს და ამაში თავადაც დარწმუნდებით".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა

ინტერვიუ ნინო სალუქვაძესთან

# წლევანდელი სამიზნე: მსოფლიოს ჩემპიონატი

**ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძისთვის შარშანდელი სეზონი წარმატებული იყო – წლის დასაწყისში ევროპის პირველობაზე მოპოვებულ ვერცხლის მედალს წლის ბოლოს მსოფლიოს სუპერთასი მოჰყვა. ამ წარმატებებისთვის სალუქვაძე ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის მეორე ნომრად დაასახელეს, თუმცა, როგორც მასთან საუბარში გაირკვა, შარშანდელი სეზონი მეტ-ნაკლებად წარმატებული მთლიანად ჩვენი ტყვიის მსროლელებისთვის იყო - გარკვეული დამაიმედებელი წინსვლა, გარკვეული პროგრესი სხვათა შედეგებშიც შეინიშნება. გასული წელი გამორჩეული ამითაც გახდა. თუმცა სპორტის ეს სახეობა, რომელსაც მედლების გარდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის საჭირო მებრძოლების და სნაიპერების აღზრდაც შეუძლია (ამიტომ სახელმწიფოთა უმეტესობაში თავდაცვის სისტემასთან და არმიასთანაა ინტეგრირებული), საქართველოში კვლავაც გერის როლშია. ბოლო წლებში დაპირება უხვად კი ისმის, მაგრამ საქმით ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა. გასაოცარია, რომ ვარკეთილ-ვაზისუბანს შორის მდებარე მიწის ნაკვეთიც კი იურიდიულად არ გაფორმდა და არ დაუმტკიცდა ფედერაციას იმის მიუხედავად, რომ ამას დედაქალაქის ხელმძღვანელობაც არაერთხელ შეჰპირდა. იმედია, მსგავსი იოლად მოსაგვარებელი და განვითარებისთვის აუცილებელი პრობლემები ახალ წელს მაინც მოგვარდება. ნინო სალუქვაძეს პირადი შედეგების გარდა ფედერაციის წინაშე მდგარ პრობლემებზეც ვესაუბრეთ, როგორც ვიცე-პრეზიდენტს.**

- შარშანდელ სეზონს როგორ შეაფასებთ, რით იყო გამორჩეული პირადად თქვენთვის და ფედერაციის, სპორტის ამ სახეობისთვის? პირად შედეგებზე თუ ვისაუბრებთ, ეს სეზონი სიხარულთან ერთად გულდასაწყვეტ მოგონებებსაც დაგიტოვებდათ.

- სახეობისთვის კარგი ის იყო, რომ, როგორც იქნა, ჭაბუკ მსროლელებს დეკემბერში ერთკვირიანი შეკრება ჩავუტარეთ ერევანში. აქცენტი 1992-93 წლებში დაბადებულებზეა გადატანილი, რადგან აგვისტოში მათ მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული თამაშები უტარდებათ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იმ ერთმა შეკრებამაც კი წინ წასწია ეს ბავშვები. შეკრების გარეშე დიდი სპორტსმენი ვერ გაიზრდება. ამას ისიც ემატება, რომ დღეს ჩვენს სპორტში ძალიან ცოტა ხალხი ვარჯიშობს. ადრე ბევრი ბავშვი იყო და გადარჩევის მეტი საშუალება გვქონდა, ახლა კი ცოტანი ვარჯიშობენ და იმათგანაც დიდ სპორტში კიდევ უფრო ცოტა რჩება. ამიტომ, ვინცაა, იმათ უნდა მოვუფრთხილდეთ, მაგრამ ბავშვი თუ შეკრებაზე ან ტურნირზე არ წაიყვანე, დაინტერესება და სტიმული თუ არ ექნა, რატომ ივარჯიშებს, რისთვის მოვა დარბაზში? შეკრებების და შეჯიბრებების გარეშე არათუ მოზარდები ვერ გაიზრდებიან დიდ მსროლელებად, დიდი სპორტსმენებიც კი ჩამოქვეითდებიან. ერთი გოგო გვყავს – ნია ხაჩიძე, ძლივს ერთადერთხელ წავიყვანეთ ტურნირზე და მაშინაც ბავშვთა მსოფლიოს თამაშებში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზია მოიპოვა.

წლევანდელი სეზონის მთავარი მოვლენებიდან გამოვარჩევ ევროპის ჩემპიონატზე ქალთა ნაკრების მიერ მოპოვებულ მეოთხე ადგილს. დასანანია, რომ ერთი ქულა დაგვაკლდა ბრინჯაოს მედლამდე და ორი – ვერცხლამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ დაგვიბრუნდნენ ძველი მსროლელები, რომლებმაც შედეგებიც სწრაფად გააუმჯობესეს და გუნდში კონკურენციაც გაზარდეს. მათი იმედი ნამდვილად გვაქვს. მაგალითად, დინა ბერძენიშვილისა, რომელმაც სამი თვის წინ განაახლა ვარჯიში, მაგრამ ბევრს გაუტოლდა უკვე. გვეიმედება, რომ გუნდში არჩევანის საშუალება მოგვეცემა. შედეგები არა მარტო ქალებში, ვაჟებშიც გაუმჯობესდა. მაგალითად, ლევან ქადაგიძე ყოველ ტურნირზე უმატებს. ჩვენს სახეობაში შედეგების გაუარესება ან ერთ ადგილზე დგომა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ იგი არც ერთ ადგილზე დგას და არც უკან მიდის, პირიქით – წინ მიიწევს. სხვებიც აუმჯობესებენ შედეგებს. თავდაუზოგავად ვინც ვარჯიშობს, არც შრომა ეკარგება, ხოლო ვინც საქმეს სერიოზულად ეკიდება, მას მეც სერიოზულად მოვეკიდები. მათი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ და კიდევ უფრო მეტად შევაწუხებ ზემდგომებს იმის მიუხედავად, რომ მათ ჩემგან ჩხუბი და შეწუხება არ აკლიათ ისევ და ისევ ახალგაზრდების ხელშეწყობისთვის. ვინც დარბაზში გასართობად დადის, ისეთი სპორტსმენი არც მაინტერესებს, თუნდაც მან ერთხელ მაღალი შედეგი აჩვენოს. მართალია, ჩვენი ვაჟების შედეგები ჯერ ბევრად ჩამორჩება საერთაშორისო მაჩვენებლებს, მაგრამ მათ ვარჯიში სულ ერთი-ორი წლის დაწყებული აქვთ, სკოლაში კი, მოგეხსენებათ, ბავშვები მთელი ოთხი წელიწადი ანბანს სწავლობენ.

**- პირად შედეგებზე არაფერი გითქვამთ...**

- მოგეხსენებათ, წლეულს ორი ჯილდო მოვიპოვე - გავხდი ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მოვიპოვე მსოფლიოს სუპერთასი. ევროპის პირველობაზე პრალაში ძალიან ცუდ პირობებში ვიასპარეზეთ. მასპინძლებს ჩემპიონატისთვის ჰოკეის დარბაზი ჰქონდათ დაქირავებული, სადაც ყინული კი იყო გამდნარი და ცოტა არა უშავდა, მაგრამ სასროლეთი, მგონი, გარაჟში იყო გამართული. ყოველ შემთხვევაში, იმ დარბაზზე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. არც წესიერი განათება, არც – ვენტილაცია, არც – გათბობა... პირდაპირ მიწის იატაკზე ვიდექით და რაკილა ადრე გაზაფხული იყო, საკმაოდ ციოდა. გათბობა მერე კი გააკეთეს, მაგრამ რაღაც გაფუჭდა და ნამწვი აირი დარბაზში ბრუნდებოდა, კინაღამ გავიგუდეთ, ისეთი კვამლი იდგა. ევროპული ფედერაციის პრეზიდენტთან საყვედურებიც კი გამოვთქვი ცუდი პირობების გამო. როცა მას ველაპარაკებოდი, გვერდით ვილაც კაცი ედგა, რომელიც ის ექსპერტი ყოფილა, ვისაც ჩემპიონატის არენის ტექნიკური შემოწმება ევალებოდა. იმან მითხრა, სამი თვის წინ, როცა დარბაზი შევამოწმეთ, ყველაფერი კარგად იყო და რა ვიცოდით, ახლა თუ გაფუჭდებოდაო. რუსებმა ერთი მედალიც ვერ აიღეს და მერე მითხრეს, ნინო, ასეთ პირობებში, ამ სარდაფში სროლა როგორ მოახერხეო. მე ვუთხარი, გამოცდილება დიდი ძალაა-მეთქი, მათ კი ჩვენი სარდაფები არ უნახავთ, თორემ ამას არ მკითხავდნენ. თუმცა ამას ზემდგომნი ისეც ნუ გაიგებენ, თითქოს სარდაფი სრულიად საკმარისია, თორემ ნორმალურ დარბაზს არც გვალირსებენ. საქართველოში ხომ ტირი სწორედ სარდაფთან ასოცირდება და ერთმა გავლენიანმა დიდმოხელემ მითხრა კიდეც, ტირი ხომ სარდაფში უნდა იყოსო. მე ვუთხარი, ეს საიდან დაადგინეთ, ვინ გითხრათ, როცა უცხოეთში ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება ღია ტირში ტარდება-მეთქი? ჩვენთან ისეთი ბუნებრივი პირობებია, შეგვიძლია, მარტიდან მოყოლებული გარეთ ვივარჯიშოთ. აგერ, სომხეთში, სადაც სავარჯიშოდ დავდივართ, ასეთი ღია სასროლეთი ქვეყნის პრეზიდენტის მითითებით გააკეთეს და თანხებიც საკუთარი ფონდიდან გამოუყო. მთელი იქაური სკოლა დოტაციაზეა და ბავშვებს უფასოდ ავარჯიშებენ, ჩვენ კი აქედან ჩავდივართ სავარჯიშოდ რამდენიმე დღით და მაინც ვუგებთ. ის ბავშვები რომ მყავდა შეკრებაზე, იქ ჩვენთან ერთად ადგილობრივებიც ვარჯიშობდნენ. მერე ტურნირიც ჩავატარეთ და ჩვენებმა მოუგეს,



რისთვისაც იქაურებს მწვრთნელები ეჩხუბებოდნენ, ქართველები აქ სავარჯიშოდ ჩამოდიან და მაინც გიგებენ, თქვენ კი ეს ყველაფერი სახლში გაქვთ, დღე და ღამე აქ ვარჯიშობთ და მაინც არაფერიო.

მსოფლიოს სუპერთასიც ძნელ პირობებში მოვიგე. ჯერ ჩინეთი ისედაც შორია ჩვენგან და სტამბოლიდან 12 საათი ვიმგზავრე. იქ იარაღის შეტანაზე ტრადიციული პრობლემა შემექმნა და ორი საათი გამაჩერეს; მერე შანხაიდან ვუქსამდე მგზავრობას სამი საათი უნდოდა, მეორე დღეს ერთი ვარჯიში და მესამე დღეს კი გავიმარჯვე. კვარცხლბეკზე სურათები რომ გადაგვიღეს, სულ ჩინელებში ვდგავარ, აქეთ-იქითაც ისინი არიან და წინაც, მედლები ვინც გადმოგვცეს. მათ ძლიერი მსროლელები ჰყავთ და არ იყო იოლი მათთან მეტოქეობა. იქაც მათი სამი მსროლელი გამოდიოდა და მათგან ერთი მსოფლიოს ჩემპიონია, მეორე – ოლიმპიური. აქვე შედარებისთვის ორ მაგალითს მოვიყვან – ჩინეთში ტყვიის სროლაში 10 მილიონი კაცი ვარჯიშობს, გერმანიის ტყვიის სროლის ფედერაციის ყოველწლიური ბიუჯეტი კი 63 მილიონი ევროა!

შარშანდელი სეზონი რომ შევაფასოთ, შედეგებით არ ვარ უკმაყოფილო, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე სპორტული პისტოლეტით გამოსვლაზე მაინც მწყდება გული – კარგადაც ვიყავი მომზადებული და ფინალში მეორე შედეგითაც შევედი, მაგრამ საბოლოოდ მეოთხეზე დავრჩი. ვფიქრობ, სტარტები მაკლდა და იმიტომ. შარშან დიდი გადაფრენების გამო და თანხების ეკონომიის მიზნით ევროპის გარეთ გამართული მსოფლიოს თასის ორი ეტაპი გამოვტოვე. არადა, სადაც გამოვედი, სპორტულში ყველგან შედეგებს ვუმატებდი და ეს მატება დაგვირგვინდა მსოფლიოს თასის მოპოვებით. თუმცა ჩინეთში გამოსვლა იმდენად ცუდად დავიწყე, საბოლოო წარმატებას ვერც ვიფიქრებდი – პირველ სერიაში ხუთი გასროლიდან ოთხი ცხრიანში გავარტყი! ჩემთვის ეს შოკი იყო, მაგრამ მერე კარგად ვისროლე და ფინალში სამქულიანი უპირატესობით შევედი. საბედნიეროდ, ფინალშიც კარგად ვისროლე და მსოფლიოს თასიც მოვიპოვე.

**- შედეგების შემდეგ სავარჯიშო პირობებზეც ვთქვათ, თუმცა მანამდე ის გვითხარით, ტყვიის სროლაში სულ რამდენი სექციაა საქართველოში?**

- თბილისის გარდა მხოლოდ ქუთაისშია ერთი პატარა ჯგუფი, დედაქალაქში კი ჩემი სახელობის ტირში და ასკ-ს დარბაზში. ბათუმში იყო ამ სახეობის აღდგენის მცდელობა, მაგრამ მერე ადგილზე არავინ დაეხმარა და მათაც ხელი ჩაიქნიეს.

**- ბევრი ლაპარაკი იყო ახალი ბაზების მშენებლობაზე. თუ გაკეთდა რამე?**

ლაპარაკი და შეპირება ბევრია, მაგრამ ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა. მესმის, რომ ძვირად-ღირებული სპორტია – ისეც არაა საქმე, ქაღალდის ფარი ჩამოჰკიდო და ამით დამთავრდეს ყველაფერი. თუმცა საქმე ნელ-ნელა მაინც მიიწევს წინ – თბილისის მერიამ გამოყო ადგილი როგორც ტყვიის, ასევე სასტენდო სროლის ბაზის ასაშენებლად. სასტენდო სროლაში სასროლეთების აშენება რუსთავსა და ბათუმში ადგილობრივ ხელმძღვანელებს სურთ. ამ დღეებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასაც შევხვდი და შემპირდნენ, რომ იქნებ დუშეთში მოაწყონ ბაზა. ამ დღეებში ჩემთან მარნეულის რაიონის ხელმძღვანელობა მოვიდა, ბაზის აშენების და სპორტის ამ სახეობის განვითარების სურვილი გამოთქვეს. მე ყველანაირი დახმარება აღვუთქვი, ყველა საჭირო საკითხზეც ვილაპარაკეთ და მწვრთნელიც კი გამოვუძებნე, რომელიც თბილისიდან მარნეულში ივლის.

ჯერჯერობით კვლავ გადაუჭრელია ვარკეთილში ბაზისთვის გამოყოფილი ადგილის გადმოცემის საკითხი. არადა, ვიდრე სათანადო საბუთს არ მივიღებთ, მანამდე ეს ფედერაციის კუთვნილი ფართი რომ ვერ იქნება, კარგად იცით. სამაგიეროდ, დედაქალაქის მერიამ დაგვიმტკიცა და საკუთრებაში გადმოგვცა მიწის ფართობი პატარა გლდანში, სადაც ტყვიის სროლის ბაზის აშენებაა განზრახული. თუმცა სამუშაოები ჯერ არც იქ დაწყებულა.

**- როგორც მახსოვს, ტყვიის მსროლელებს ვარკეთილშიც გსურდათ ერთი დარბაზი. ამაზე თუ მიაღწიეთ შეთანხმებას მესტენდურეებთან? ალბათ, ორივე ბაზა ერთ კომპლექსში ფედერაციისთვისაც უკეთესია.**

- ეს ფედერაციის შიდა საქმეა და არა მგონია, გადაუჭრელ პრობლემად იქცეს. ერთად ყოფნა მართლაც უფრო მოსახერხებელი და პრაქტიკულია. ამიტომაც ვითხოვთ იქ ერთ სასროლეთს ჩვენთვის. იყოს მთელი ტერიტორია, ის შეპირებული შვიდი ჰექტარი მაგათი, ოღონდ პატარა ფართობს თუ დაგვითმობენ, ერთი სასროლეთი ჩვენთვისაც გაკეთდება. არც იმას ვამბობთ, მაინცდამაინც შესასვლელში და კარგ ადგილას მოგვცენ. იყოს უკან, სადაც იარაღის შესანახი საკნები და სხვა დამხმარე სათავსები ექნებათ, თანახმა ვართ. არა მგონია, ეს საკითხი დავის საგანი გახდეს, იქ სასროლეთის გაკეთება კი ჩვენთვის აქტუალური იმიტომაა, რომ ირგვლივ სულ კორპუსებია, მჭიდრო დასახლებაა და ბავშვები ივლიან სავარჯიშოდ. ჩვენთვის განკუთვნილი ადგილი კი დაუსახლებელია და კონტინგენტი არ გვეყოლება. იქ შეკრებებზე თუ ივლის ნაკრები, თორემ სავარჯიშოდ ქალაქიდან არავინ მოვა. ვარკეთილში დაინტერესება ბევრად მეტი იქნება.

**- ბოლოს, საგაისო კალენდარზეც ვთქვათ – სად და რომელ ტურნირებში იასპარეზებთ?**

- ეს ყველაფერი დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ვფიქრობთ, წლეულს აქცენტი ძირითადად ეროვნულ და ჭაბუკთა ნაკრებებზე გავაკეთოთ, რადგან, ალბათ, ახალგაზრდების დასაფინანსებელ ფულს არ მოგვცემენ მათი შედეგებიდან გამომდინარე. იანვრის ბოლოს მიუნხენის ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში გვინდა გამოსვლა, მაგრამ უფრო იმ მოზარდებისთვის, რომლებმაც მსოფლიოს თამაშებში უნდა იასპარეზონ. ვფიქრობთ, იქ მხოლოდ ესენი გავუშვათ, ხოლო უფროსების და ახალგაზრდების ფული დავზოგოთ და შეკრებისა და ევროპის პირველობისთვის გამოვიყენოთ. ვგონებთ, ასე უფრო რაციონალური იქნება. წლეულს, ტრადიციულად, ჩატარდება მსოფლიოს თასის ოთხი ეტაპი, ოღონდ აქედან სამი ჩვენგან ძალიან შორს – ავსტრალიაში, ამერიკაში, ჩინეთში და სერბეთში ზუსტად ამ თანამიმდევრობით. სერბეთში უეჭველად გამოვალთ, დანარჩენებიდან კი, ალბათ, ჩინეთში ვიასპარეზებთ. ავსტრალიისა და ჩინეთის ტურნირები ერთმანეთის მიყოლებით რომ ტარდებოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ შუაში ამერიკისაა, ამხელა გზებზე გადაფრენ-გადმოფრენას კი აზრი არ აქვს. მარტში ნორვეგიულ მერეკერში ევროპის ჩემპიონატია, ოღონდ მხოლოდ პნევმატურში, სპორტულში კი არ ტარდება, რადგან ივლის-აგვისტოს მიჯნაზე მიუნხენში მსოფლიოს პირველობაა. მოგეხსენებათ, ის ჩვენთან ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და მთელი აქცენტი მასზეა გადატანილი. ევროპა-მსოფლიოს წინ შეკრებებსაც ვაპირებთ და ვნახოთ, რა იქნება. ბიუჯეტი ჯერ არ დამტკიცებულა, მაგრამ იმედია, ამ მინიმალური ღონისძიებებისთვის საჭირო თანხებს მოგვცემენ.

**ირაკლი თავაძე**

www.sport.gov.ge
DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA
www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქორქია-საკანდელიძის მემორიალი და საქართველოს თასი

# სეზონი 15 იანვარს გაიხსნება

2003 წლის შემდეგ იანვარი ერთ-ერთ ყველაზე საკალათბურთო თვედ იქცა - სწორედ ამ წელს ჩატარდა თასის პირველი გათამაშება და მას შემდეგ სწორედ იანვარში იხსნება საკალათბურთო სეზონი. 2006 წლიდან საკალათბურთო კალენდარს ერთი საპატიო ტურნირიც შეემატა - კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, დაარსდა ოლიმპიური ჩემპიონების, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი.

მას მერე თასის გათამაშებაც და ხსოვნის ტურნირიც ძირითადად იანვარში იმართება. 2010 წლის საკალათბურთო სეზონი 15 იანვარს ქორქია-საკანდელიძის მემორიალით დაიწყება. მასში საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე 8 გუნდი ჩაერთვება. სუპერლიგაში ხომ 10 კლუბი თამაშობსო - იკითხავთ. მართალია, მაგრამ „ავიამშენმა" და „ბათუმმა" ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვეს. ამის მიზეზი ფინანსური მდგომარეობაა. შეგახსენებთ, რომ უფულობის გამო „ავია" ბათუმში სუპერლიგის მატჩის სათამაშოდ დროულად ვერ ჩავიდა. ის შეხვედრა ორი კვირით გადაავადეს...

მემორიალი 15 იანვარს რუსთავში დაიწყება. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდება: ჯერ მეოთხედფინალებს ვიხილავთ, შემდეგ ნახევარფინალებს, 17 იანვარს - ფინალს (16 საათზე).

ახლა უფრო კონკრეტულად:

**მეოთხედფინალი**

**15 იანვარი**

12:00 შსს-სამედ/აკადემია (1)
14:00 აგრარული-სოხუმი (2)
16:00 თსუ-დინამო (3)
18:00 ენერჯი-ჭიათურა (4)

**ნახევარფინალი**

**16 იანვარი**

14:00 1-2; 16:00 3-4

**ფინალი**

17 იანვარი: 16:00

ვიდრე ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალური მატჩების სტატისტიკას შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ აქამდე ჩატარებული ოთხივე შეჯიბრება რუსთავში ჩატარდა. ფავორიტად ყოველთვის მასპინძელთა გუნდი ითვლებოდა, თუმცა „ენერჯი" მხოლოდ სამგზის გამარჯვებულია - 2008 წელს თასი „ავიამშენმა" აართვა.



რუსთაველთა გუნდს მიმდინარე სეზონში ერთი წაგებაც არ აქვს და, ტრადიციულად, მემორიალის მოგების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. თუმცა არანაკლებ ძლიერი კონკურენტები ჰყავს: თსუ, „აგრარული", შსს... როგორც ვთქვით, „ბათუმი" და „ავია" ტურნირში არ მონაწილეობენ.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალები

| | |
|---|---|
| **2006. 20 იანვარი** | |
| რუსთავი-სტუ | 106:77 |
| **2007. 21 იანვარი** | |
| ენერჯი-თსუ | 95:75 |
| **2008. 18 იანვარი** | |
| ავიამშენი-ენერჯი | 80:78 |
| **2008. 24 დეკემბერი** | |
| ენერჯი-ნტდ/თბილისი | 91:60 |

კალათბურთის ფედერაციაში 2010 წლის საქართველოს თასის გათამაშების წილისყრაც მოეწყო და შეჯიბრების კალენდარიც დადგინდა. ტურნირის სისტემა წლიდან წლამდე იხვეწება. თავიდან გუნდები ჯგუფური სისტემით ავლენდნენ ფინალისტთა ვინაობას, შემდეგ ოლიმპიური სქემა გამოჩნდა, წლეულსაც ოლიმპიური სისტემაა, თუმცა ერთი სიახლე მაინცაა - გაიმართება საკვალიფიკაციო მატჩები, რომლებშიც სუპერლიგის ოთხი აუტსაიდერი ჩაებმება: „სამედიცინო/აკადემია" „დინამოს" ეთამაშება, ხოლო „სოხუმი" - „ჭიათურას". ეს შეხვედრები აგრარული უნივერსიტეტის საკალათბურთო დარბაზში 20 იანვარს გაიმართება.

პირველ წყვილში გამარჯვებული მეოთხედფინალში „აგრარულს" შეხვდება, ხოლო მეორე წყვილში ვინც იყოჩაღებს, „ენერჯის" დაუპირისპირდება. დანარჩენი ორი მეოთხედფინალური წყვილი ასე გამოიყურება: „ბათუმი"-"ავიამშენი", თსუ-შსს. მეოთხედფინალებს რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზი უმასპინძლებს. ამავე არენაზე შედგება ნახევარფინალები, ხოლო ფინალს სპორტის სასახლე უმასპინძლებს. გადამწყვეტი მატჩი 23 იანვარს გაიმართება.

თასის გათამაშების სისტემასაც ცხრილის სახით შემოგთავაზებთ:

საქართველოს თასი 2010
საკვალიფიკაციო ეტაპი

**20 იანვ. აგრარულის დარბაზი**

14:00 სამედ/აკადემია-დინამო (1)
16:00 სოხუმი-ჭიათურა (2)

**მეოთხედფინალი**

**21 იანვარი (რუსთავი)**

12:00 აგრარული- (1) გამარჯვ. (1)
14:00 ბათუმი-ავია (2)
16:00 თსუ-შსს (3)
18:00 ენერჯი- (2) გამარჯვებული (4)

**ნახევარფინალი**

**22 იანვარი (რუსთავი)**

14:00 1-2; 16:00 3-4

**ფინალი**

**23 იანვარი, 14:00 (სპორტის სას.)**

საქართველოს თასის გათამაშებები ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობდა. პირველივე ფინალში ბათუმელებმა რუსთავში ადგილობრივ „აზოტს" მოუგეს. საინტერესოა, რომ „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი და ორი ლიდერი აკლდა: **ნუგზარ კანდელაკი, გიორგი ცინცაძე** და **ზვიად ბაბიაშვილი** „ტრევიზოში" იყვნენ.

მეორე ფინალში, 2004 წელს, **დრაჟენ ბრაიკოვიჩის** „დინამომ" **ნუგზარ ჭეიშვილის** სტუ 75:72 დაამარცხა. ბოლო იერიში სტუდენტებისა იყო, თუმცა იმის ნაცვლად, რომ რომელიმე თანაგუნდელი სამქულიანის სატყორცნ პოზიციაზე გაეყვანა, სტუ-ს ცენტრმა **არმენ ოგანესიანმა** ფარქვეშ შესვლა სცადა და დროც შემოელია...

2005 წელს სტუ-მ ყველა ჯილდო მოიგო. ცხადია, არც თასის დაუფლება გასჭირვებია.

2006-ში **დავით უსტიაშვილმა** მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი ჯილდო მოიპოვა: მან თსუ-ს (რომელსაც „ნიკორა" აფინანსებდა) თასი მოაგებინა.

ორი წაგებული ფინალის შემდეგ „ავიამშენმა" გადამწყვეტ მატჩში „აზოტი" 2007 წელს დაამარცხა - 83:79. ის შეხვედრა **ირაკლი ხოშტარიას** ბენეფისად იქცა, თუმცა ნაკრების მწვრთნელებს იგი ეროვნულში მაინც არ მიუწვევიათ.

2008 წელს ფინალში „ავიამ" თსუ-ს 110:90 სძლია. გაცილებით საინტერესო გამოდგა ნახევარფინალური შეხვედრა თსუ-სა და „ენერჯის" შორის: საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე რუსთაველები ქულით იგებდნენ. ბოლო ორ წამში სტუდენტებმა ბურთი გვერდითი ხაზიდან შეიყვანეს და **დავით ბარბაქაძემ** გამარჯვების მომტანი ორქულიანი ჩააგდო.

შარშან „ენერჯი" სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგა, თასიც მოიგო, დადიანის მემორიალიც, ქორქია-საკანდელიძის ხსოვნის ტურნირიც და სუპერლიგაც. „ავიას" მხოლოდ ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი დაუთმო.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები 2010 წელს...

საქართველოს თასის ფინალები

| | | |
|---|---|---|
| 2003: ბასკო-აზოტი | | 85:77 |
| 2004: დინამო-სტუ | | 75:72 |
| 2005: სტუ-ავიამშენი | | 90:84 |
| 2006: თსუ-ავიამ. | (დ.დ) | 81:79 |
| 2007: ავიამშენი-აზოტი | | 83:79 |
| 2008: ავიამშენი-თსუ | | 110:90 |
| 2009: ავიამშენი-ენერჯი | | 71:80 |

ქართველი NBA-ში

# ზაზამ უეიდი ვერ შეაკავა

„ატლანტა ჰოქსმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. ოთხი მარცხი **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელებს გასული სეზონის ბოლოს ჰქონდათ - პლეი ოფში „კლივლენდთან" 0:4 დათმეს. მას შემდეგ ჯორჯიელებმა შემადგენლობა **ჯამალ კროუფორდით** გააძლიერეს და მიმდინარე სეზონში აღმოსავლეთის კონფერენციის ჩემპიონობასაც უმიზნებენ, თუმცა „საახალწლო ჩავარდნა" მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს** სერიოზულად დააფიქრებს.

ამერიკელი სპეციალისტების აზრს „ჰოქსის" ცენტრი **ელ ჰორფორდიც** ეთანხმება და აცხადებს: ეს დროებითი ჩავარდნააო. მწვრთნელი უფრო კატეგორიულია: ასე თამაში არ შეიძლება!..

მოკლედ, როდის გამოვა „ატლანტა" „ნაბახუსევიდან", ამას მომავალი მატჩები გვიჩვენებს, ახლა 2010 წლის მეორე წაგებაზე ვთქვათ. ზაზას გუნდი მაიამიში ადგილობრივ „ჰიტს" დაუპირისპირდა. საწყისი 5 წუთის თანაბრად ჩატარების შემდეგ „მაიამის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა** „აიწყვიტა" და მასპინძლებს 13:0 მოაგებინა, რის შედეგადაც „ჰიტი" 28:12 დაწინაურდა. ვიდრე უეიდი ორ საჯარიმოს ჩააგდებდა და „მაიამის" 28-მდე აიყვანდა, მაიკლ ვუდსონს ზაზა ფაჩულიას სათადარიგოთა სკამზე არსებობა გაახსენდა და ჰორფორდის ნაცვლად შეიყვანა.

ზაზა მოედანზე მეორე პერიოდის მე-7 წუთამდე დარჩა, მაგრამ უეიდთან ერთად ათამაშებული **ბისლის** შეჩერება ვერც მან მოახერხა - მეშვიდე წუთისთვის „მაიამი" 38:18-ს იგებდა.

„ატლანტამ" თამაში ვერც მესამე პერიოდში გამოასწორა და, როცა გამარჯვებულის ვინაობა უკვე გაირკვა, მწვრთნელმა ფაჩულია თამაშში მეორედ მაშინ ჩართო - მეოთხე პერიოდის მესამე წუთზე (77:62).

„ჰოქსის" წაგება ბისლისა (22 ქულა) და უეიდის (28 ქულა) გარდა ფარქვეშ სტუმართა არადამაჯერებელი თამაშის ბრალი იყო: „ატლანტამ" ბურთი 30-ჯერ მოხსნა, „მაიამიმ" - 52-ჯერ.

ზაზა ფაჩულიამ 11 წუთი ითამაშა და თანაგუნდელებს მხოლოდ 3 ქულით დაეხმარა. სასტარტო ცენტრმა ელ ჰორფორდმა მოედანზე 37 წუთი გაატარა, თუმცა არც მას ჰქონდა შესაშური სტატისტიკა - 8 ქულა, 6 მოხსნა. „ქორების" ბომბარდირი ახალწვეული ჯამალ კროუფორდი გახდა - 23 ქულა.

წაგების მიუხედავად, „ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში „მაიამიზე" წინაა: ჯორჯიელები მეოთხე ადგილზე არიან (21 მოგება, 12 წაგება), ფლორიდელები - მეხუთეზე (17 მოგება, 15 მარცხი). მესამეა „ორლანდო" - 24 გამარჯვება, 9 წაგება.

6 იანვარს „ატლანტა" „ნიუ ჯერსის" უმასპინძლებს, ხოლო 8 იანვარს - „ბოსტონს". სხვათა შორის, „ბოსტონ სელტიქსი" აღმოსავლეთის კონფერენცაიში პირველ პოზიციაზეა (24 გამარჯვება, 8 წაგება).

| მაიამი-ატლანტა | 92:75 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 11 წუთი, 3 ქულა, 1 შეცდომა, 3 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 00:59 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 08:04 | ფოლი: 1 |
| 07:32 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 09:29 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 07:09 | ფოლი: 2 |
| 06:56 | ორქულაინი: არაზუსტი |
| 06:41 | ფოლი: 3 |
| 06:23 | ორქულიანი: 2ქ (67:84) |
| 05:28 | საჯარიმოები: 2/1 (3ქ, 68:86) |
| 04:57 | შეცდომა: 1 |
| 04:19 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:12 | ზაზა ევანსმა შეცვალა |



ევროჩელენჯი



გიორგი ცინცაძე

# ცინცაძე ენისეიში მაინც ჩავიდა, მაგრამ...

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** უკრაინულ „დონეცკში" პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. მისი თანაგუნდელები ევროჩელენჯის გათამაშებაში რუსულ „ენისეის" ესტუმრნენ და 81:92 დამარცხდნენ.

შეგახსენებთ, რომ ცინცაძე სეზონის დასაწყისში სწორედ კრასნოიარსკის „ენისეიში" ჩაირიცხა, მაგრამ რუსეთის ვიზა არ მისცეს და იძულებული გახდა, ბერძნული „ტრიკალას" შეთავაზებას დათანხმებოდა. მერე კი, ტრიკალელებს თავი როგორ დააღწია, ეს ამბავი უკვე იცით...

სასიამოვნო ვერც „ენისეიში" გამართული მატჩი გამოდგა. გარდა იმისა, რომ გიორგის თანაგუნდელებმა მნიშვნელოვანი მატჩი წააგეს, მსუყე მონაგარით ვერც ქართველმა გამთამაშებელმა გაგვახარა: 16 წუთში თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა-დაფარება მიითვალა. მან სამი ორქულიანიდან მიზანში ვერც ერთი მოახვედრა.

ერთადერთი „ვეფხვი" („დონეცკის" სიმბოლო), რომელსაც შეტევაში ყველაფერი გამოსდიოდა, **ენტონი ტაკერი** იყო — 32 ქულა.

ზემოთ ვთქვით, ეს მატჩი უკრაინელთათვის მნიშვნელოვანი იყოო. მოგების შემთხვევაში „დონეცკს" 3 მოგება (2 წაგების წილ) მოუგროვდებოდა და E ჯგუფში მეორე ადგილზე აინაცვლებდა, „ენისეი" კი მესამეზე ჩამოქვეითდებოდა. რადგან გამარჯვება რუსებს დარჩათ, სამი მოგება მათ მოუგროვდათ... „ენისეის" დონეცკური მატჩიც მოგებული აქვს, რის გამოც უკრაინელებს ჯგუფიდან გასვლის მინიმალური შანსიც აღარ დარჩათ.

ბოლო ტურში, 12 იანვარს „დონეცკი" აუტსაიდერ „პლოიეშტის" სტუმრობს, ხოლო „ენისეი" - ჯგუფის პირველადგილოსან „ბელგაკომს".

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# პეონა ი პეოს ორი საგზურისთვის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო 20-წლამდელ მოჭადრაკეთა ტურნირი, რომლის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო საქველმოქმედო მოძრაობა „ჭადრაკი-მშვიდობის ელჩი" და საჭადრაკო კლუბი „მტრედები-CPA". შეჯიბრებაში 21 ქალ-ვაჟი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. ორი საუკეთესო კატალონიის პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე ბარსელონის „პეონა ი პეოს" კლუბში ითამაშებს.

თითოეულ მოჭადრაკეს პარტიის ბოლომდე 60 წუთი ეძლევა ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. შვიდი ტურის შემდეგ მოპაექრენი ერთნაირ ქულებს თუ დააგროვებენ, მათ შორის უძლიერესი ტაი-ბრეიკებით გამოვლინდება ორი ხუთ-ხუთწუთიანი პარტიით. საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება ე.წ. არმაგედონი. საგულისხმოა, რომ გამარჯვებული გარდამავალ თასთან ერთად ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატის საგზურს დაიმსახურებს, ბარსელონის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებასაც მიიღებს და კატალონიური ენის ინტენსიურ კურსსაც გაივლის.

შეჯიბრებაზე უკვე გათამაშდა ორი ტური. ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს **ირაკლი ჯანიაშვილმა, სალომე სირაძემ** და **ანა კუჭავამ**, რომლებმაც, შესაბამისად, **ლიკა კობეშავიძე, გიორგი სიბაშვილი** და **კახაბერ წერეთელი** დაამარცხეს.

დღეს მესამე ტურში ინტერესს იწვევს შემდეგი შეხვედრები: ირაკლი ჯანიაშვილი (2)-სალომე სირაძე (2), ანა კუჭავა (2)-**გიორგი ნიკოლაშვილი** (1,5), **მარიამ თევზაძე** (1,5)-**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** (1,5), **შალვა ნადირაშვილი** (1,5)-**ნიკა ვოლკოვი** (1).

**ვაჟა დანელია**



# მშვიდობიანი ტური



ბაადურ ჯობავა

იტალიურ რეჯო ემილიაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა წრიული ტურნირი. ასპარეზობის მე-7 ტური საკმაოდ მშვიდობიანი აღმოჩნდა. მხოლოდ უნგრელმა **ზოლტან ალმაშიმ** (2710) იაქტიურა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში აზერბაიჯანელ **ელთაჯ საფარლის** (2592) სძლია და 5,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ტურის დანარჩენი ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: იტალიელი **ფაბიანო კარუანა** (2675) და **ბაადურ ჯობავა** (2704), მასპინძელი **მიკელე გოდენა** (2537) და მისი თანამემამულე **საბინო ბრუნელო** (2507), ამერიკელი **გატა კამსკი** (2693) და რუსი **კონსტანტინ ლანდა** (2645), იტალიელი **დანიელე ვოკატურო** (2500) და მოლდოველი **ვიქტორ ბოლოგანი** (2692).

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება გატა კამსკი. 4-4 ქულა აქვთ მიკელე გოდენას და ფაბიანო კარუანას, ხოლო ბაადურ ჯობავას, ვიქტორ ბოლოგანსა და კონსტანტინ ლანდას — 3,5-3,5 ქულა, ელთაჯ საფარლის — 2,5, საბინო ბრუნელოს — 2, დანიელე ვოკატუროს — 1,5 ქულა.

მე-8 ტურში ერთმანეთს ხვდებიან: საფარლი-ჯობავა, ბრუნელო-კარუანა, ლანდა-გოდენა, ბოლოგანი-კამსკი, ალმაში-ვოკატურო.

**ვაჟა დანელია**

ავტოსპორტი



# ახალი პროგრამით

2010 წლის საქართველოს ჩემპიონატის სარბოლო სეზონი კიდევ უფრო საინტერესო და სანახაობრივი გახდება! მომავალი წლიდან წრიულ რბოლას ემატება კიდევ ერთი ახალი კლასი. ამ კლასში მონაწილეობას მიიღებენ BMW 320-ის ტიპის (მხოლოდ ოთხკარიანი) ავტომობილები.

## მილოცვა

საქართველოს ვეტერანი წყალბურთელები და მეგობრები დაბადებიდან 75-ე საიუბილეო წელს ულოცავენ წარსულში ცნობილ წყალბურთელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ვლადიმერ გოიაშვილს.

სამთო თხილამურობა



გერა აბრამიშვილი და საქართველოს ნაკრები

# წლის პირველი სტარტი

საქართველოს ნაკრების მოთხილამურეებმა წლის პირველ ტურნირში იასპარეზეს, ქართული კვარტეტი (**იასონ აბრამაშვილი, ვახტანგ თედიაშვილი, ალექსი ბენიძე, კოტე ვახტანგიშვილი**) ავსტრიულ ლაკენჰოფში ორ სლალომში გამოვიდა. შეჯიბრება FIS-ის ეგიდით გაიმართა და მასში 140-მდე სამთო-მოთხილამურემ იასპარეზა. პირველ სლალომში ქართველებში უკეთ გუნდის ლიდერმა იასონ აბრამაშვილმა იასპარეზა, რომელმაც ორ ცდას 1:38,66 წუთი მოანდომა. იასონი ორი წამით ჩამორჩა გამარჯვებულ **ვიქტორ მალმსტრიომს** (ფინეთი), მან მე-12 ადგილი დაიკავა და 27,43 სარეიტინგო ქულა მიიღო. კოტე ვახტანგიშვილი 1:45,01 წთ შედეგით 42-ე ადგილზე გავიდა, ალექსი ბენიანიძე (1:45,85 წთ) - 47-ეზე. ვახტანგ თედიაშვილი მეორე ჩასრიალებაზე დაეცა.

მეორე დღეს ალექსი ბენიანიძემ (1:44,98) 25-ე ადგილი დაიკავა, რაც მისთვის კარგი შედეგია, რადგან მონაწილეთა შორის ალექსი რეიტინგით 66-ეა. დანარჩენ ქართველებს კი ხელი მოეცარათ: იასონ აბრამაშვილსა და ვახტანგ თედიაშვილს პირველ ცდაზე, კოტე ვახტანგიშვილს - მეორეზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი — ლეგიონერები

# მონტობანი და ბრივი უქართველებოდ არ არიან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური პირველი დივიზიონის გუნდებიდან „მონტობანი" და „ბრივი" ტრადიციულად „ქართული გუნდებია". ბოლო ათი სეზონია, ამ კლუბებს ქართველი მორაგბეების გარეშე არ უთამაშიათ.

„კლუბ ატლეტიკ ბრივ კორეზ ლიმუზინ", რომელშიც ამჟამად ერთი ქართველი, **დავით ხინჩაგიშვილი** თამაშობს, 1910 წლის 15 ნოემბერს დაარსდა. კლუბს საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს, თუმცა საფრანგეთის ჩემპიონი არასდროს გამხდარა. ბრიველებმა ოთხჯერ ითამაშეს ფინალში: 1965, 1972, 1975 და 1996 წლებში და ოთხივეჯერ მარცხი იწვნიეს.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამ გუნდის ღირსებას ქართული წარმოშობის ფრანგი ლეგენდა **მიშელ იაშვილი** იცავდა. 1997 წელს „ბრივმა" „ჰეინეკენის თასი" მოიგო. მომდევნო წელიწადს კი ფინალში დამარცხდა.

მას შემდეგ გუნდს ღრმა კრიზისი დაეწყო. მართალია, ბრიველები პირველ დივიზიონს არ დამშვიდობებიან, მაგრამ ვერც მოწინავეთა შორის ხვდებოდნენ.

წლეულს გუნდი შარშანდელზე უკეთ ასპარეზობს. „ბრივი" 38 ქულით მე-9 ადგილზეა, თუმცა რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ცხრა ტურით ადრე პლეი ოფში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებს.

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ხინჩაგიშვილი „ბრივში" მესამე სეზონს ატარებს და დღესდღეობით გუნდის წამყვანი მოთამაშეა. „ხინჩიგა" მიმდინარე ჩემპიონატში გუნდის ნოემბრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გასულ უქმეებზე გამართულ მე-17 ტურის მატჩში ქვეყნის ჩემპიონ „პერპინიანს" ლელო გაუტანა და ბრიველთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ხინჩაგიშვილმა ბრიველთა რიგებში 57 შეხვედრა გამართა და სამი ლელო გაიტანა.

საკმაოდ მრავალფეროვანი ისტორია აქვს **გოდერძი შველიძისა და ბექა შეყლაშვილის** „მონტობანს". „უნიონ სპორტივ მონტობანი" 1903 წელს დაარსდა. ჩემპიონის ტიტულს მონტობანელები ერთხელ, 1967 წელს დაეუფლნენ. სხვა რაიმე თვალსაჩინო მიღწევა გუნდს არ მოეძევება.

მეტიც, 21-ე საუკუნის დასაწყისში „მონტობანმა" ორჯერ დატოვა ელიტური პირველი დივიზიონი და ორივეჯერ პირველივე ცდაზე დაბრუნდა საუკეთესოთა შორის.

მონტობანი საფრანგეთის სარაგბო მექასთან, ტულუზთან ახლომდებარე პატარა ქალაქია და, შესაბამისად, ამბიციებიც არ აქვს დიდი. გასული სეზონის ბოლოსა და წლევანდელის დასაწყისში კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა, თუმცა ახლა ყველა სიძნელე დაძლეულია.

ბექა შეყლაშვილმა გასული სეზონი „მონტობანის" ესპუართა გუნდში გაატარა და თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ ძირითადი გუნდის ღირსია. შველიძე კი მონტობანელთა ღირსებას მეორე წელიწადია, იცავს და თავიდანვე ერთ-ერთი ლიდერის ტვირთის ზიდვამ მოუნია.

„მონტობანი" 17 ტურის შემდეგ 32 ქულით მე-11 ადგილზეა და ბოლოსწინა „ბაიონს" შვიდი ქულით უსწრებს. წინ ჯერ კიდევ ცხრა ტურია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენებურთა გუნდს დივიზიონში ადგილის შენარჩუნება არ გაუჭირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**მაიამი–ატლანტა 92:75**

30:14, 21:20, 22:24, 19:17

მ: უეიდი (28+8 მოხსნა), ბიზლი (22+8 მოხსნა), ჰასლემი (12+8 მოხსნა).

ა: კროუფორდი (23), ჯონსონი (11+6 მოხსნა).

**ჩიკაგო–ოკლაჰომა 85:98**

28:23, 24:24, 14:32, 19:19

ჩ: როუზი (19+7 პასი), დენგი (15+10 მოხსნა), ჰაინრიხი (15+7 პასი), ნოა (14+14 მოხსნა), გიბსონი (10+9 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (29+7 მოხსნა+6 პასი), დურანტი (25+8 მოხსნა), ჰარდენი (13).

**იუტა–ნიუ ორლეანი 87:91**

32:24, 19:20, 11:25, 25:22

ი: ბუზერი (18+14 მოხსნა), უილიამსი (17+11 პასი), კირილენკო (15+5 პასი), მაილზი (15).

ნ-ო: ბრაუნი (30), უესტი (20+9 მოხსნა), პოლი (12+9 პასი+6 მოხსნა), პოუსი (12+5 მოხსნა).

**კლიპერსი–პორტლენდი 105:95**

20:21, 25:24, 33:29, 27:21

კ: კამანი (20+8 მოხსნა), გორდონი (19), ბ. დევისი (15+9 პასი), ბატლერი (13), რ. დევისი (10), კემბი (9+15 მოხსნა).

პ: უებსტერი (25+6 მოხსნა), მილერი (22+16 პასი), ჰოვარდი (16).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 32 | 24 | 8 | 75.0 |
| 2. კლივლენდი* | 36 | 27 | 9 | 75.0 |
| 3. ორლანდო* | 33 | 24 | 9 | 72.7 |
| 4. ატლანტა | 33 | 21 | 12 | 63.6 |
| 5. მაიამი | 32 | 17 | 15 | 53.1 |
| 6. ტორონტო | 35 | 17 | 18 | 48.6 |
| 7. ჩიკაგო | 32 | 14 | 18 | 43.8 |
| 8. შარლოტი | 32 | 14 | 18 | 43.8 |
| 9. მილუოკი | 31 | 13 | 18 | 41.9 |
| 10. ნიუ იორკი | 34 | 14 | 20 | 41.2 |
| 11. დეტროიტი | 32 | 11 | 21 | 34.4 |
| 12. ვაშინგტონი | 31 | 10 | 21 | 32.3 |
| 13. ინდიანა | 33 | 10 | 23 | 30.3 |
| 14. ფილადელფია | 33 | 10 | 23 | 30.3 |
| 15. ნიუ ჯერსი | 33 | 3 | 30 | 9.1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი* | 33 | 27 | 6 | 81.8 |
| 2. დალასი* | 34 | 23 | 11 | 67.6 |
| 3. სან ანტონიო | 32 | 20 | 12 | 62.5 |
| 4. დენვერი* | 34 | 21 | 13 | 61.8 |
| 5. ფინიქსი | 34 | 21 | 13 | 61.8 |
| 6. პორტლენდი | 36 | 22 | 14 | 61.1 |
| 7. ჰიუსტონი | 34 | 20 | 14 | 58.8 |
| 8. ოკლაჰომა | 34 | 19 | 15 | 55.9 |
| 9. იუტა | 34 | 18 | 16 | 52.9 |
| 10. ნიუ ორლეანი | 32 | 16 | 16 | 50.0 |
| 11. მემფისი | 32 | 16 | 16 | 50.0 |
| 12. კლიპერსი | 33 | 15 | 18 | 45.5 |
| 13. საკრამენტო | 33 | 14 | 19 | 42.4 |
| 14. გ. სტეიტი | 32 | 9 | 23 | 28.1 |
| 15. მინესოტა | 35 | 7 | 28 | 20.0 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 30.2 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 30.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.0 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 26.4 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.7 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 24.9 |
| კრის ბოში (ტორ) | 23.7 |
| ბრენდონ როი (პორ) | 22.8 |
| გილბერტ არენასი (ვაშ) | 22.7 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.3 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 12.3 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 11.9 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 11.5 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.4 |
| კრის ბოში (ტორ) | 11.3 |
| დევიდ ლი (ნ-იორ) | 11.0 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 10.6 |
| ბრენდან ჰეივუდი (ვაშ) | 10.3 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.2 |

**პასი**

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.3 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.5 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.8 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 9.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.9 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 7.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 7.3 |
| გილბერტ არენასი (ვაშ) | 6.9 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 6.5 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.7 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.3 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 2.0 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.9 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 1.9 |
| სტივენ კარი (გ-სტე) | 1.8 |
| ტრევორ არიზა (ჰიუ) | 1.8 |
| რეიმონდ ფელტონი (შარ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.5 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.3 |
| გრეგ ოდენი (პორ) | 2.3 |
| ბრენდან ჰეივუდი (ვაშ) | 2.3 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.2 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 2.1 |
| ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ) | 2.0 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 1.9 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 1.9 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.9 |



# კრისმა დერონს მოუგო

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელი მატჩებიდან ყველაზე მოულოდნელი შედეგი ჩიკაგოში დაფიქსირდა, სადაც "ოკლაჰომა სიტი" იყო ჩასული. "ხარები" ამჟამად კარგ კალათბურთს აჩვენებენ და ბევრს არ შეუძლია **ვინი დელ ნეგროს** ბიჭების წინააღმდეგობის გატეხა. თუმცა, თავის მხრივ, წელს "ოკლაჰომამაც" შეგვაჩვია სენსაციებს. ამ თამაშში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედი. დიდი შესვენების შემდეგ "ჩიკაგოს" თამაში საერთოდ მოიშალა. კოშმარულმა შედეგიანობამ და დაცვაში ყოვლად გაუაზრებელმა მოქმედებას მატჩის ბედი უკვე მეოთხე მეოთხედის დაწყებამდე გადაწყვიტა. როგორც ყოველთვის, სტუმართა რიგებში მთავარი გმირები გახდნენ **რასელ უესტბრუკი** და **კევინ დურანტი** - ამ დუეტმა ერთად 54 ქულა მიითვალა.

"იუტასა" და "ნიუ ორლეანს" შორის მატჩი ლიგის ორი საუკეთესო გამთამაშებლის - **დერონ უილიამსისა** და **კრის პოლის** დუელად გადაიქცა. შეხვედრის დებიუტი "ჯაზმენებისა" იყო. უილიამსი შესანიშნავად წარმართავდა თამაშის ტემპს. უკვე პირველ მეოთხედში "იუტამ" 32 ქულას მოუყარა თავი, რამაც ადგილობრივი გულშემატკივარი ოპტიმისტურად განაწყო. მაგრამ "ჰორნეტს" დანებება არ უფიქრია. მეორე მეოთხედში თანაბარი ბრძოლის შემდეგ, სტუმრებმა მესამე 12-წუთეულში აიწყვიტეს. ბევრისთვის მოულოდნელად საკუთარ თავზე აიღო თამაში **დევინ ბრაუნმა**. სტუმრების მცველმა ტემპი დაიჭირა და რამდენიმე ზუსტი სროლის შემდეგ მასპინძელთა დაცვის ტერორიზება დაიწყო. სწორედ მესამე მეოთხედში გამოუვიდა "ნიუ ორლეანს" ფანტასტიკური გაქცევა, რის შემდეგაც "ჯაზმა" გონს მოსვლა ველარ შეძლო. **ჯერი სლოუნის** შეგირდებმა მხოლოდ ბოლოსკენ სცადეს სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ უმნიშვნელოვანესი შეტევისას დერონის პასი კრის პოლმა ჩაჭრა და საბოლოოდ დაასამარა "ჯაზმენების" იმედები.

მორიგი სენსაცია შესთავაზა თავის გულშემატკივრებს "კლიპერსმა". ამჯერად კალიფორნიელებმა პროგრესის გზაზე მყოფი "პორტლენდი" დაამარცხეს. ამ მატჩში "თრეილ ბლეიზერსის" ცნობა შეუძლებელი იყო. საერთო ჯამში, ორეგონელთა რიგებში მხოლოდ სამმა კალათბურთელმა ითამაშა ჩვეულ დონეზე - **მარტელ უებსტერი, ანდრე მილერი** და **ჯუვან ჰოვარდი** ცდილობდნენ რაღაცის შეცვლას. მთლიანად ჩააგდო შეხვედრა "პორტლენდის" ლიდერმა **ბრენდონ როიმ**. "ბლეიზერსის" მთავარმა ვარსკვლავმა 12-დან მხოლოდ 3 სროლა ჩააგდო და მატჩი 6 ქულით დაასრულა. რაც შეეხება "კლიპერსს", მას ამ მატჩში პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდა. დომინირება ორივე ფართან, პერიმეტრზე ბურთის გათამაშება, უშეცდომო დაცვა - დიდი ხანია **მაიკ დანლივის** გუნდს ასე კარგად არ უთამაშია. შედეგად, **ნეიტ მაკმილანის** გვარდიამ ისევ დაკარგა ლიდერობა თავის დივიზიონში, "კლიპერსი" კი ნელ-ნელა უახლოვდება მოგება-წაგების 50-პროცენტიან მაჩვენებელს.

## კვირის სიმბოლური

გამთამაშებელი. დერიკ როუზი (ჩიკაგო)

*სტატისტიკა: 26.7 ქულა+5.7 პასი+5.0 მოხსნა*

*გუნდური შედეგი: 3-0*

„ჩიკაგოს" პროგრესზე უკვე არაერთხელ გელაპარაკეთ, ახლა კი "ხარების" წინსვლის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედზე **დერიკ როუზზე** შევჩერდეთ. სეზონის სტარტმა გვიჩვენა, რომ "ბულზის" გამთამაშებლის ფიზიკური კონდიციები შორს არის იდეალურისგან. "ჩიკაგოს" ლიდერის ცუდმა ფორმამ შესამჩნევი დაღი დაასვა გუნდის თამაშს. ჩაგდებული თამაშების სერიამ ბევრს გაუჩინა ეჭვი როუზის პერსპექტივებსა და "ჩიკაგოს" პლეი ოფში მოხვედრის შანსებზე. მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ყველაფერი დიამეტრალურად შეიცვალა. დერიკი, როგორც იქნა, შარშანდელ დონეზე გავიდა, მისმა გუნდმა კი პლეი ოფის ზონაში შეაღწია. მიუხედავად იმისა, რომ "ხარებს" ბევრი კონკურენტი ჰყავთ, მათი გამოსვლების დადებითი დინამიკა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ როუზი და პარტნიორები წელს კიდევ არაერთხელ გამოიჩენენ თავს.

შემტევი მცველი. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

*სტატისტიკა: 32.7 ქულა+8.0 პასი+4.0 მოხსნა*

*გუნდური შედეგი: 3-0*

**კობი** კვლავინდებურად შეუჩერებელია. სანამ გუნდი ორივე ფეხით კოჭლობს, მისი ლიდერი მარტოდმარტო იგებს შეხვედრებს და თან არანორმალურ შედეგიანობას აჩვენებს ("შავმა მამბამ" ბომბარდირთა დავაში **კარმელო ენტონის** გაასწრო და პირველ ადგილზე გადავიდა). ამ მხრივ სახასიათო აღმოჩნდა "საკრამენტოსთან" შეხვედრა. პირველ ნახევარში 20-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ, ბრაიანტმა მეორე ტაიმში მთლიანად აიღო საკუთარ თავზე თამაში და პირადად გარდატეხა მატჩის მსვლელობა, ბოლოს კი გამარჯვების მომტანი სამქულიანიც ჩააგდო "მეფეების" კალათში. და მხოლოდ კვირის ბოლო მატჩში "დალასის" წინააღმდეგ პარტნიორებმა თავიანთ ლიდერს დასვენების საშუალება მისცეს. იმ მატჩში კობის მინიმალურად დახარჯვა დასჭირდა.

მსუბუქი ფორვარდი. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

*სტატისტიკა: 24.8 ქულა+8.5 მოხსნა+7.3 მოხსნა*

*გუნდური შედეგი: 3-1*

ახალი წლის წინ **ლებრონმა** 25-ე დაბადების დღე იზეიმა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა "ატლანტასთან" მატჩს დაემთხვა. ბუნებრივია, ჯეიმსი ვალდებული იყო მორიგი შოუ დაედგა მოედანზე. თუმცა "მეფის" 48 ქულა არ გახდა ამ მატჩის გამარჯვების გარანტი. მთავარ გმირად "კავალიერზის" ფორვარდი **ანდერსონ ვარეჟაო** იქცა. ბოლო წამებზე, როცა ანგარიში თანაბარი იყო, ბრაზილიელმა ავანტიურული სამქულიანი ჩააგდო (პირველად ამერიკულ კარიერაში) და ამით თავის ვარსკვლავურ პარტნიორს ბრწყინვალე საჩუქარი გაუკეთა.

ეს კვირა ლებრონისთვის ბოლომდე წარმატებული იქნებოდა, ორი დღის წინ გუნდს "შარლოტთან" რომ არ წაეგო. "ბობკეტსმა" გასვლით შეხვედრაში კვლავ გამოავლინა მებრძოლი ხასიათი და ურთულესი გამარჯვება მოიპოვა. ჯეიმსს შეეძლო მატჩის გადარჩენა, მაგრამ სირენასთან ერთად ნასროლი სამქულიანი მიზანს ააცილა.

მძიმე ფორვარდი. კრის ბოში (ტორონტო)

*სტატისტიკა: 26.7 ქულა+12.0 მოხსნა*

*გუნდური შედეგი: 2-1*

კანადურმა კლუბმა ტემპი აკრიფა. მართალია, "ტორონტოს" გამარჯვებათა სერია ბოსტონში შეწყდა, მაგრამ უკვე მომდევნო ტურში "რეპტორზმა" დამაჯერებლად მოუგო "სან ანტონიოს". როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი როლი **კრის ბოშმა** შეასრულა. გუნდის მწვრთნელმა **ჯეი ტრაიანომ**, როგორც ჩანს, მონახა თავისი გუნდისთვის წარმატების ფორმულა, რომელშიც ბოშს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მისი დამსახურებით, "ტორონტოს" მოგება-წაგების თითქმის 50-პროცენტიანი შეფარდება აქვს. "ჩიკაგოს" მსგავსად, ბოლოდროინდელი პროგრესი "რეპტორზს" პლეი ოფში მოხვედრის იმედს უტოვებს, რამაც, შესაძლოა, ამ ზაფხულს გუნდის მთავარი ვარსკვლავის შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

ცენტრი. ტიმ დანკანი (სან ანტონიო)

*სტატისტიკა: 21.0 ქულა+9.8 მოხსნა*

*გუნდური შედეგი: 3-1*

როგორღაც მოულოდნელად "სპურსი" მყარად დამკვიდრდა დასავლეთი კონფერენციის მესამე ადგილზე. თითქოს **გრეგ პოპოვიჩს** უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ მეორე ადგილზე მყოფი "დალასი" ერთი ხელის გაწვდენაზეა. **ტიმ დანკანი** კი ერთი წამითაც არ გვაეჭვებს თავის სიდიადეში. მას კვლავინდებურად მიჰყავს თავისიანები ახალი გამარჯვებებისკენ. ბოლო შვიდი დღის განმავლობაში ტეხასელებმა სამი თამაში მეტად დამაჯერებლად მოიგეს და მხოლოდ ერთხელ წაიფორხილეს კანადაში. მომავალ კვირას სან ანტონიოში სათამაშოდ ჩავლენ "დეტროიტი", "დალასი" და "ნიუ ჯერსი" და ვინც იცის, შვიდი დღის შემდეგ "ლეიკერსმა", შესაძლოა, ახალი მდევარი გაიჩინოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჰოკეი.

**რეინჯერსი–ბოსტონი 3:2**

1:0, 1:0, 1:2

გოლები: 1:0 კოტალიკი-7 (დუბინსკი-12, კელეჰანი-11), 2:0 კრისტენსენი-2 (დუბინსკი-13, დელ ზოტო-16), 2:1 ჰენვიკი-5 (ველერი-13, კრეისი-14), 2:2 ველერი-8 (რაიდერი-7, ჰანვიკი-6), 3:2 ჰიგინსი-5 (დრური-10, კელეჰანი-12).

**სან ხოსე–ლოს ანჯელესი 2:6**

0:3, 0:2, 2:1

გოლები: 0:1 ჰანძუში-10 (სკუდერი-3, დაუტი-20), 0:2 მოლერი-2 (ჰანძუში-13, დაუტი-21), 0:3 კოპიტარი-17 (დაუტი-22, სტოლი-16), 0:4 რ. სმიტი-12 (კოპიტარი-25, დაუტი-23), 0:5 სიმონდსი-10 (რიჩარდსონი-8), 0:6 პერსი-7, 1:6 დ. მიურეი-3 (ნიკოლი-6, ორტმაიერი-5), 2:6 მარლო-27 (ჯ. ტორნტონი-47, ქლოუ-19).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნიუ ჯერსი დევილზის" ფორვარდი **ჯემი ლანგენბრუნერი** დაასახელა. ამერიკელმა წინა შვიდ დღეში 5 შაიბა გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემა შეასრულა, რითაც თავის კლუბს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. პირველ იანვარს ცნობილი გახდა, რომ ლანგენბრუნერი მეორედ კარიერაში ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა, მომდევნო დღეს კი NHL-ში თავისი პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა - ეს "მინესოტასთან" მატჩში მოხდა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ტამპა ბეი ლაითნინგის" გოლკიპერ **მაიკ სმიტს** ერგო, რომელმაც გასულ კვირას 93 დარტყმიდან 89-ის მოგერიება შეძლო.

მესამე ვარსკვლავი გახდა "დალას სტარზის" ფორვარდი **ლუი ერიქსონი**. შვედმა ლეგიონერმა ზუსტად გაიმეორა ლანგენბრუნერის შედეგი - გაიტანა ხუთი შაიბა, შეასრულა ერთი ჰეთ-თრიკი და მოხვდა თავისი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ ჯერსი* | 40 | 29 | 10 | 1 | 59 |
| 2. ბაფალო* | 41 | 26 | 11 | 4 | 56 |
| 3. ვაშინგტონი* | 41 | 24 | 11 | 6 | 54 |
| 4. პიტსბურგი | 43 | 26 | 16 | 1 | 53 |
| 5. ბოსტონი | 41 | 21 | 13 | 7 | 49 |
| 6. ოტავა | 42 | 22 | 16 | 4 | 48 |
| 7. რეინჯერსი | 42 | 20 | 17 | 5 | 45 |
| 8. მონრეალი | 44 | 21 | 20 | 3 | 45 |
| 9. ატლანტა | 41 | 18 | 17 | 6 | 42 |
| 10. ტამპა ბეი | 41 | 16 | 15 | 10 | 42 |
| 11. აილენდერსი | 43 | 17 | 18 | 8 | 42 |
| 12. ფილადელფია | 41 | 19 | 19 | 3 | 41 |
| 13. ფლორიდა | 42 | 17 | 18 | 7 | 41 |
| 14. ტორონტო | 42 | 14 | 19 | 9 | 37 |
| 15. კაროლინა | 41 | 11 | 23 | 7 | 29 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 42 | 29 | 10 | 3 | 61 |
| 2. სან ხოსე* | 43 | 27 | 9 | 7 | 61 |
| 3. კოლორადო* | 43 | 24 | 13 | 6 | 54 |
| 4. ფინიქსი | 43 | 25 | 14 | 4 | 54 |
| 5. კალგარი | 41 | 24 | 12 | 5 | 53 |
| 6. ნეშვილი | 42 | 25 | 14 | 3 | 53 |
| 7. ლოს ანჯელესი | 43 | 25 | 15 | 3 | 53 |
| 8. ვანკუვერი | 42 | 25 | 16 | 1 | 51 |
| 9. დეტროიტი | 41 | 21 | 14 | 6 | 48 |
| 10. დალასი | 41 | 18 | 12 | 11 | 47 |
| 11. მინესოტა | 42 | 20 | 19 | 3 | 43 |
| 12. სტ. ლუისი | 41 | 17 | 18 | 6 | 40 |
| 13. ანაჰაიმი | 42 | 16 | 19 | 7 | 39 |
| 14. კოლამბუსი | 43 | 15 | 19 | 9 | 39 |
| 15. ედმონტონი | 42 | 16 | 22 | 4 | 36 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 58 (11+47) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 55 (19+36) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 52 (27+25) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 50 (26+24) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 49 (24+25) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 48 (17+31) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 48 (11+37) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 47 (25+22) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 27 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 27 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 26 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 25 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 24 |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 24 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 21 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 21 |
| მაიკლ კამალერი (მონ) | 20 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 47 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 37 |
| ტომაშ პლეკანეცი (მონ) | 36 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 36 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 36 |
| ტომაშ კაბერლე (ტორ) | 32 |

## ავტოსპორტი. დაკარი 2010



# დაკარს ახალი ლიდერები ჰყავს

ლეგენდარული რალი-რეიდის - „დაკარის“ მონაწილეებმა მესამე ეტაპი დაასრულეს, რის შემდეგაც მანქანებისა და მოტოციკლების კლასში ლიდერი შეიცვალა. პილოტებმა ლა რიოჰადან ფლამბალამდე 182 კილომეტრი გაიარეს. ეს ეტაპი ძალიან ჰგავდა აფრიკულ რბოლებს, რადგან მონაწილეებს ქვიშიანი უდაბნოს გადალახვა უწევდათ.

მანქანების კლასში უკონკურენციო იყო ლეგენდარული ფრანგი **სტეფან პეტერანსელი**, რომლისთვისაც ეს 52-ე ტრიუმფი იყო „დაკარის“ რალიზე. რაც მთავარია, ვეტერანი ავტომრბოლი სათავეში ჩაუდგა გენერალურ კლასიფიკაციას.

ფრანგის ეკიპაჟმა სტარტიდანვე იგდო ხელთ ინიციატივა და დისტანციის 38-ე კილომეტრზე უკვე 9 წამს უგებდა საერთო ჩათვლის აწ უკვე ყოფილ ლიდერ **ნასერ ალ-ატიაჰს**. კიდევ 38 კილომეტრის გავლის შემდეგ კი კატარელ ავტომრბოლზე უპირატესობა წუთ-ნახევარს შეადგენდა.

საბოლოოდ პეტერანსელმა უახლოესი მდევარი - ესპანელი **კარლოს საინსი** ხუთი წუთითა და 44 წამით ჩამოიტოვა, ალ-ატიაჰი კი მესამეზე ჩამოქვეითდა და მისმა ჩამორჩენამ 10 წუთი შეადგინა. გენერალურ კლასიფიკაციაში პეტერანსელი შესაბამისად 3 და 7 წუთზე მეტს უგებს საინსსა და ალ-ატიაჰს.

შეგახსენებთ, რომ 44 წლის პეტერანსელს 90-იან წლებში ექვსჯერ აქვს მოგებული „დაკარი“ მოტოციკლების კლასში, 2004, 2005 და 2007 წლებში კი სამჯერ მოიგო რალი-რეიდი „მიცუბიშის“ მანქანით.

ქვიშიანი ტრასა ბევრი გამოცდილი მრბოლელისთვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. ზედიზედ მეორე ეტაპზე გადაუბრუნდა მანქანა ესპანელ **ნანი რომას** და მან ამჯერადაც ბევრი დრო დაკარგა ბრძოლის გასაგრძელებლად. შარშანდელი ჩემპიონი **ჟილიენ დე ვილიერსი** კი ველარ შეძლებს ტიტულის შენარჩუნებას, რადგან 50-ე კილომეტრზე ძრავასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და სამი საათი დაკარგა.

მოტოციკლების კლასში დიდი ნაბიჯი გადადგა საბოლოო ტრიუმფისკენ ფრანგმა **სირილ დესპრემ**. მან იმდენად დამაჯერებლად გაიარა მთელი დისტანცია, რომ ფინიშზე უახლოეს კონკურენტს - პორტუგალიელ **ელდერ როდრიგესს** თითქმის 11 წუთი მოუგო. ასეთი დომინირების წყალობით, ფრანგს საერთო ჩათვლაში ზუსტად 10-წუთიანი უპირატესობა აქვს მეორე ადგილზე მყოფ თანამემამულე **დავიდ კასტოსთან**.

გარდა ამისა, მესამე ეტაპის შემდეგ დესპრეს რამდენიმე კონკურენტი ჩამოშორდა. საერთოდ გამოეთიშა რბოლას გამოცდილი ესპანელი **ხორდი ვილადომსი**. 42 წუთს აგებს ლიდერთან შარშანდელი ჩემპიონი - ასევე ესპანელი **მარკ კომა**, ხოლო მეორე ეტაპის მომგებმა ფრანგმა **დავიდ ფრეტინმა** დესპრესთან საათი და 35 წუთი წააგო და გენერალურ კლასიფიკაციაში 21-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

მეოთხე ეტაპზე „დაკარის“ მონაწილეები არგენტინისა და ჩილეს საზღვარს გადაკვეთენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

### III ეტაპი
#### ლა რიოჰა-ფლამბალა (182 კმ)

| მანქანები | |
|---|---|
| 1. სტეფან პეტერანსელი (საფრანგეთი, BMW) | 02:55.19 |
| 2. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფოლკსვაგენი) | +05.44 |
| 3. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატარი, ფოლკსვაგენი) | +10.01 |
| 4. მარკ მილერი (აშშ, ფოლკსვაგენი) | +10.14 |
| 5. გერლენ შიშერი (საფრანგეთი, BMW) | +19.18 |
| 6. რონან შაბო (საფრანგეთი, ტოიოტა) | +23.46 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. სტეფან პეტერანსელი (საფრანგეთი, BMW) | 09:14.28 |
| 2. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფოლკსვაგენი) | +04.33 |
| 3. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატარი, ფოლკსვაგენი) | +07:31 |
| 4. მარკ მილერი (აშშ, ფოლკსვაგენი) | +13:12 |
| 5. კშიშტოფ ჰოლოვჩიკი (პოლონეთი, ნისანი) | +40:38 |
| 6. კარლუშ სოუზა (პორტუგალია, მიცუბისი) | +46:45 |

| მოტოციკლები | |
|---|---|
| 1. სირილ დესპრე (საფრანგეთი, KTM) | 03:01.09 |
| 2. ელდერ როდრიგესი (პორტუგალია, იამაჰა) | +10.40 |
| 3. პაულო გონსალვეში (პორტუგალია, KTM) | +12.09 |
| 4. დავიდ კასტო (საფრანგეთი, შერკო) | +12.13 |
| 5. ფრანსისკო ლოპესი (ჩილე, აპრილია) | +17.05 |
| 6. ალენ დიუკლო (საფრანგეთი, KTM) | +17.45 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. სირილ დესპრე (საფრანგეთი, KTM) | 08:54.04 |
| 2. დავიდ კასტო (საფრანგეთი, შერკო) | +10.03 |
| 3. ელდერ როდრიგესი (პორტუგალია, იამაჰა) | +17.57 |
| 4. მანჩა ლუკა (იტალია, KTM) | +24.29 |
| 5. ალენ დიუკლო (საფრანგეთი, KTM) | +30.58 |
| 6. იოხენ სტრიტი (აშშ, KTM) | +33.26 |

## TV პროგრამა

### 6 იანვარი. ოთხშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-იუვენტუსი.
10:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
12:10 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა 2002-03. იუვენტუსი-მილანი.
15:00 სპორტული სამყარო.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-ინტერი (LIVE).
17:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-იუვენტუსი (LIVE).
20:00 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. უკრაინა.
21:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-დალასი.
23:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჯენოა.
03:25 კალათბურთი. ევროლიგა. კახა ლაბორალი-მაკაბი.
05:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-ინტერი.
07:00 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. უკრაინა.

#### SPORT 2 (უკრაინა)

09:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-კოლორადო.
11:20 პოკერი.
12:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
13:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი.
15:35 ცურვა. მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
17:35 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. ვინძორი, კანადა.
18:35 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ბარსელონა.
20:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეალი-მილანი.
21:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ფულჰემი.
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჯენოა (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბოლტონი.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-დალასი.
05:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
05:45 ცურვა. მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
07:50 პოკერი.

#### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
11:45 რალი. დაკარი 2010. IV ეტაპი.
12:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ბრისბენი. ავსტრალია.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ბრისბენი. ავსტრალია (LIVE).
14:45 რალი. დაკარი 2010. IV ეტაპი.
15:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. კაცები. 30 კმ. დობიაკო. იტალია (LIVE).
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
18:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. ქალები. 15 კმ. დობიაკო. იტალია (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. HS140. ბიშოფსხოფენი. ავსტრია (LIVE).
21:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
22:20 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
23:00 სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
23:20 რალი. დაკარი 2010. V ეტაპი (LIVE).
23:30 მულტისპორტი.
23:45 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ლონდონი. ბრიტანეთი.
00:40 პოლო. არგენტინის ღია პირველობა. ბუენოს აირესი.
01:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:45 გოლფ-კლუბი.
01:50 იახტ-კლუბი.
02:00 რალი. დაკარი 2010. V ეტაპი (LIVE).
02:45 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. HS140. ბიშოფსხოფენი. ავსტრია.
03:45 რალი. დაკარი 2010. V ეტაპი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| განა-მალავი | 0:0 |

#### ინგლისი

| | |
|---|---|
| სტოკი-ფულჰემი | 3:2 |

სტოკ სიტი: სიმონსენი, შოუქროსი, ფაიე, ჰიგინბოთემი, ჰუთი, უაითჰედი, დელაპი (66. უილანი), ეთერინგტონი, ლოურენსი (90. დიაო), სიდიბე, თუნჯაი (42. ფულერი).

ფულჰემი: შვარცერი, ჰანგელანდი (46. სმოლინგი), ჰიუზი, კონჩესკი, კელი, მერფი, ბერდი, გერა, დაფი, სამორა (54. დემპსი), ჯონსონი (83. ნივლენდი).

გოლები: 1:0 თუნჯაი (12), 2:0 ფაიე (34), 3:0 სიდიბე (37), 3:1 დაფი (61), 3:2 დემპსი (85)

გაფრთხილება: 1-0; კუთხური: 8-10; ჯარიმა: 13-9; თამაშგარე: 5-1; კარში დარტყმა: 15-20 (8-4); ბურთის ფლობა: 42%-58%.

მაყურებელი: 25 104

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-რექსჰემი | გადაიდო |
| ალტრინჩემი-იორკი | გადაიდო |

#### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ასტონ ვილა | გადაიდო |

#### იტალია
##### სერია B

| | |
|---|---|
| ანკონა-ტრიესტინა | 2:1 |
| კროტონე-ჩიტადელა | 1:1 |
| ემპოლი-სასუოლო | 1:1 |
| ფროსინონე-ასკოლი | 1:5 |
| ლეჩე-ვიჩენცა | 1:0 |
| მოდენა-ჩეზენა | 1:0 |
| პადოვა-ალბინოლეფე | 0:2 |
| პიაჩენცა-გალიპოლი | 2:0 |
| რეჯინა-გროსეტო | 1:1 |
| ტორინო-მანტოვა | 1:1 |
| სალერნიტანა-ბრეშია | 1:3 |

#### ესპანეთის თასი

| | |
|---|---|
| ბარსელონა-სევილია | 1:2 |

ბარსელონა: პინტუ, დანი ალვეში, მარკესი, მილიტო (66. ბუსკეტსი), მაქსველი, ჩიგრინსკი, ინიესტა, ტიაგო (70. ჩავი), პედრო (46. იბრაჰიმოვიჩი), მესი, კრკიჩი.

სევილია: პალოპი, ესკუდე, ნავარო, დრაგუტინოვიჩი, ლოლო (82. დუშერი), ნავასი (46. რენატო), რომარიკი, კონკო, კაპელი, პეროტი, კონე (69. ნეგრედო).

გოლები: 0:1 კაპელი (60), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (74), 1:2 ნეგრედო (75-პენ)

მაყურებელი: 30 000

#### პორტუგალია
##### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| პორტუ-ლეიქსოეში | 1:0 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| კავალა-ლევადია | 2:2 |
| ლარისა-ასტერასი | 1:0 |
| ატრომიტოსი-არისი | 0:3 |

### კალათბურთი

#### ევროპის თასი

| | |
|---|---|
| დინამო-ცრვენა ზვეზდა | 86:88 |
| აზოვმაში-გალათასარაი | 96:85 |
| ტრიუმფი-ლე მანი | 72:87 |
| ბეშიქთაში-უნიქსი | 70:98 |
| ნიმბურკი-ბიელა | 84:60 |
| ტურკ ტელეკომი-სპარტაკი | 86:73 |
| შაულიაი-ჰაპოელი (ი) | 81:96 |
| გრან კანარია-პანელინიოსი | 73:51 |
| არისი-ზადარი | 73:67 |
| ბამბერგი-ვენტსპილსი | 100:51 |
| ვალენსია-ჰემოფარმი | 75:71 |
| ნანსი-ტუროვი | 102:82 |
| ბილბაო-შარლერუა | 90:70 |
| ბენეტონი-შოლე | 81:80 (ო) |
| ტერამო-ალბა | 65:66 |
| ხუვენტუდი-ბონი | 66:64 |

#### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| ენისეი-დონეცკი | 92:81 |
| კრასნიე კრილია-ამსტერდამი | 71:51 |
| ხიმიკი-აპოელ | 78:84 |
| ტარტუ-ერტლანდი | 76:81 |
| აელ-მონსი | 86:68 |
| ბანვითი-ჟელეზნიკი | 89:78 |
| კერავნოსი-ზაგრები | 82:81 |
| ლოკომოტივი-ბუდუჩნოსტი | 56:69 |
| კიევი-როანი | 62:67 |
| აალსტი-ვეფ რიგა | 81:87 |
| ანტვერპენი-ველსი | 64:68 |
| გრაველენი-გეტინგენი | 64:72 |
| ლიეჟი-პლოეშტი | 86:79 |
| სკავოლინი-მინსკი | 93:85 |
| სტრასბური-ეიფელ ტაუერსი | 70:74 |
| შალონი-ცედევიტა | 80:77 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| გისენი-მიტლდოიჩე | 73:84 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ამური-დინამო (მნ) | 2:2 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მ) | 3:4 |
| ცსკა-ავანგარდი | 3:1 |
| სიბირი-დინამო (რ) | 2:7 |
| ატლანტი-ლოკომოტივი | 2:0 |

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-ს. იულიაევი | 1:5 |
| სევერსტალი-სპარტაკი | 5:2 |
| სკა-მვდ | 3:0 |
| ტორპედო-ბარისი | 4:2 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-ლინცი | 3:4 |
| ვილახი-ზაგრები | 3:3 |
| გრაცი-ვენა | 4:2 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 3:3 |
| ოლიმპია-ალბა | 3:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-აისბარენი | 5:2 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 1:7 |
| კასელი-იზერლონი | 4:3 |
| კიოლნი-ჰამბურგი | 4:0 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 6:5 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 5:3 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ოდენსე | 7:2 |
| როდოვრე-ჰერნინგი | 3:3 |
| სონდერიისკი-ნორდსილანდი | 4:1 |
| ფრედრიკშავნი-ტოტემპო | 2:2 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტორჰამარი | 2:5 |
| მანგლერუდი-სტავანგერი | 4:1 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 3:2 |
| ვოლერენგა-სტიორნენი | 6:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| მარტინი-მიკულაში | 3:2 |
| ნიტრა-ნოვა ვესი | 4:2 |
| სკალიცა-ზვოლენი | 2:2 |
| კოშიცე-პოპრადი | 5:3 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 5:7 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ლუკო | 6:3 |
| ჰიფკ-ტაპარა | 4:6 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-პლზენი | 6:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბილი-რაპერსვილი | 5:1 |
| დავოსი-ლანგნაუ | 4:1 |
| კლოტენი-ბერნი | 4:3 |
| ამბრი პიოტა-ლუგანო | 1:4 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 1:0 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| როგლე-ლინჩოპინგი | 1:3 |
| ფრიოლუნდა-ჰვ71 | 2:2 |
| იურგორდენი-აიკ | 4:0 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ბრისბენი

| | |
|---|---|
| ბერდიხი-ლინდალი | 6:2, 6:4 |
| ფიში-ბალდატისი | 5:7, 5:7 |
| ტომიჩი-დოლგოპოლოვი | 4:6, 4:6 |
| ბოლი-ზვერევი | 7:5, 6:1 |
| კუერი-ბლეიკი | 6:4, 3:6, 4:6 |
| ებდენი-მელცერი | 7:5, 6:1 |
| სერა-რისტერი | 6:7, 7:6, 7:5 |
| მონფილსი-დენტი | 6:7, 7:6, 2:6 |

#### ATP. ჩენაი

| | |
|---|---|
| გრანოლერსი-უორდი | 5:7, 6:2, 6:2 |
| ამრიტრაჯი-რასელი | 3:6, 1:6 |
| სიოდერლიგი-ჯინეპრი | 4:6, 5:7 |
| ჰაასე-იანგი | 6:4, 6:3 |
| ლუ-ლაჩკო | 4:6, 3:6 |
| დევარმანი-შუტლერი | 7:5, 6:2 |
| ბერერი-ვენტურა | 6:3, 6:2 |
| სელა-ისტომინი | 6:1, 6:2 |
| ვავრინკა-ბოპანა | 6:1, 6:4 |
| ბრანდსი-კიმი | 2:6, 2:6 |

#### ATP. დოჰა

| | |
|---|---|
| სეპი-ერნანდესი | 6:4, 7:5 |
| დეჰერტი-ელ აინაუი | 6:7, 6:7 |
| გარსია ლოპესი-დარცისი | 4:6, 1:6 |
| ნადალი-ბოლელი | 6:3, 6:3 |
| ფედერერი-კ. როხუსი | 6:1, 6:2 |
| დავიდენკო-კუკუშკინი | 6:2, 6:0 |

#### WTA. ოკლენდი

| | |
|---|---|
| კორნე-ერაკოვიჩი | 6:4, 6:3 |
| რაზანო-ნიკულესკუ | 7:5, 6:4 |
| ვოგელი-მირზა | 7:5, 1:6, 5:7 |
| კანეპი-ნა ლი | 6:1, 6:3 |
| ბალტაჩა-ოლარუ | 2:6, 2:6 |
| ბრიანტი-ვესნინა | 1:6, 4:6 |
| მალეკი-კირილენკო | 2:6, 3:6 |

#### WTA. ბრისბენი

| | |
|---|---|
| კინგი-პეტკოვიჩი | 6:4, 2:6, 1:6 |
| ჩინკი-ზახვალოვა | 6:3, 2:6, 6:1 |
| კლაისტერსი-მოლიკი | 6:0, 6:3 |
| ივანოვიჩი-ბაშჩინსკი | 6:2, 2:6, 6:4 |

#### ჰოფმანის თასი

| | |
|---|---|
| სტოსური-ოუდინი | 6:2, 6:4 |
| ჰიუიტი-ისნერი | 6:1, 7:5 |
| მარტინეს სანჩესი-კირსტეა | 6:4, 6:3 |
| რობრედო-ჰანესკუ | 6:3, 6:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# ბრიატორე თავისუფალია

საფრანგეთის სასამართლომ გააუქმა „რენოს“ ყოფილი შეფის **ფლავიო ბრიატორეს** სამუდამო დისკვალიფიკაცია. როგორც იცით, 2009 წლის 21 სექტემბერს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იტალიელს ფორმულა 1-ში მოღვაწეობა აუკრძალა. ასეთი მკაცრი სასჯელი **ნელსინიო პიკეს** გახმაურებული საქმის შემდეგ მიიღეს. „რენოს“ ყოფილმა პილოტმა განაცხადა, რომ ფრანგული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ მას სინგაპურის გრან-პრიზე ავარიის შეგნებულად მოწყობა დაავალა, რათა ბრაზილიელის პარტნიორს **ფერნანდო ალონსოს** ეტაპის მოგება გაადვილებოდა.

ფედერაციის გადაწყვეტილება ბევრმა მეტისმეტად მკაცრად მიიჩნია. ეჭვიც კი შეეპარათ იმაში, ჰქონდა თუ არა FIA-ის ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება. ბრიატორეს იურისტებმა საპასუხო სარჩელი მოამზადეს, რომელშიც ეწერა, რომ ფედერაციის განაჩენი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სპორტული კოდექსის ნორმებს და ეს საქმე მხოლოდ ფედერაციის „პირადი შურისძიებაა“.

და აი გუშინ, პარიზის საქალაქო სასამართლომ FIA-ის სანქციები გააუქმა. ბრიატორემ მოიგო პროცესი - ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება არალეგიტიმურად გამოცხადდა, ფლავიომ კი სიმბოლური კომპენსაცია - 15 ათასი ევრო მიიღო.

# მენსელს საკუთარი გუნდი ჰყავს



ლეგენდარული ბრიტანელი ავტომრბოლი **ნაიჯელ მენსელი** ლე მანის 24-საათიან რბოლაში მონაწილეობის მიღებას აპირებს. რაც ყველაზე მთავარია, ნაიჯელს Beechdean Mansell Motorsport-ის შემადგენლობაში ვიხილავთ - ბრიტანელი ამ ავტოგუნდის თანამფლობელი გახდა.

Beechdean Motorsport „გრანდ ტურიზმის“ ბრიტანულ ჩემპიონატში 2007 წლიდან გამოდის. თავიდან ის Ferrari 360-ის მანქანებს იყენებდა, შემდეგ Aston Martin Vantage-ზე გადაერთო. ნაიჯელ მენსელთან პარტნიორობითა და კომპანია Zytek-ის დახმარებით, გუნდს 2010 წელს Ginetta-Zytek Z09R-ის მანქანა ეყოლება, რომლითაც ნაიჯელის შვილები ირბოლებენ Le Mans Series-ის ჩემპიონატში, ზოგიერთ ეტაპზე კი მათ უფროსი მენსელიც ჩაენაცვლება.

როგორც ნაიჯელმა აღიარა, 2010 წლის სეზონში მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი - ლე მანის 24-საათიან მარათონში მონაწილეობაა: *„შემიძლია დავადასტურო, რომ რამდენიმე რბოლაში ჩემს ვაჟებთან ერთად ჩავჯდები მანქანაში. აგრეთვე გვინდა ლე მანის მარათონში ვცადოთ ბედი, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალებას მოგვცემენ...“*

ოლიმპიზმი

# ქუვეითი ოლიმპიური ოჯახის მიღმა დარჩა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დისკვალიფიკაციით დასაჯა ქუვეითის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ქუვეითელი სპორტსმენები მონაწილეობას ვერ მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში. დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდა კანონი, რომელიც ქუვეითის მთავრობას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში ჩარევის ნებას რთავს.

თავის დროზე, სოკ-მა ქუვეითს 2009 წლის ბოლომდე მისცა ვადა ამ კანონში ცვლილებების შესატანად, მაგრამ ქვეყნის მთავრობამ ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა და ოლიმპიური კომიტეტიდან პასუხმაც არ დააგვიანა.

დისკვალიფიკაციის ათვლა 2010 წლის 1 იანვრიდან იწყება. ეს სასჯელი იმასაც ნიშნავს, რომ ქუვეითის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სოკ-ისგან დაფინანსებას ველარ მიიღებს. სხვათა შორის, ოლიმპიური კომიტეტი ამ კანონის შეცვლას 2007 წლიდან ითხოვდა.

ქუვეითელ სპორტსმენებს ზაფხულის ცხრა ოლიმპიადაში აქვთ მიღებული მონაწილეობა, მაგრამ ზამთრის თამაშებზე არასოდეს გამოსულან. ქუვეითს ერთადერთი ოლიმპიური მედალი 2000 წელს სიდნეიში ტყვიის მსროლელმა **ფეჰაიდ ალდიჰანიმ** მოუტანა, რომელმაც ბრინჯაო მოიპოვა დაბლ-ტრეპის დისციპლინაში.




დართსი

# 15-გზის ჩემპიონი



გუშინ გვიან დასრულდა ინგლისელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სახეობის - დართსის მსოფლიოს ჩემპიონატი. კარიერაში მეთხუთმეტედ პირველობა **ფილ ტეილორმა** მოიგო, რომლის მეტსახელი გახლავთ - „ძალა“. ფინალში ტეილორმა 7:3 დაამარცხა ავსტრალიელი **საიმონ უიტლოკი**.

49 წლის ინგლისელი პირველად მსოფლიოს ჩემპიონი 1990 წელს გახდა.

*„ეს ის არის, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდი და დაულალავად ვმუშაობდი. ეს შესანიშნავი ფინალი იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ“*, - განაცხადა ფინალის შემდეგ **ფილ ტეილორმა**.

ჩემპიონატის გამარჯვებულმა ჰონორარის სახით 200 ათასი ფუნტი მიიღო, ფინალისტმა - ორჯერ ნაკლები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




სხვადასხვა

ველოსპორტი

## არმსტრონგი ჰოლანდიაში ირბოლებს

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** გაზაფხულზე ერთ-ერთ კლასიკურ რბოლაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. კერძოდ, ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა თავისი გუნდისთვის - RadioShack-ისთვის კალენდარში ჰოლანდიური კლასიკური რბოლა - Amstel Gold Race შეიტანა.

არმსტრონგს ამ შეჯიბრებაში ოთხჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული, აქედან ორჯერ - 1999 და 2001 წლებში მეორე ადგილი დაიკავა.

ფორმულა 1

## კუბიცა რენოში რჩება

მიუხედავად იმისა, რომ „რენოს“ საქარხნო გუნდმა ცოტა ხნის წინ მფლობელი შეიცვალა, პოლონელი **რობერტ კუბიცა** არ აპირებს ფრანგული საჯინიბოს დატოვებას. ფორმულა 1-ის ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა პილოტმა გადაწყვიტა, არ გამოიყენოს მოქმედ კონტრაქტში არსებული პუნქტი, რომელიც მას მფლობელის შეცვლის შემთხვევაში გუნდის დატოვების უფლებას აძლევდა.

როგორც კუბიცას მენეჯერი ამბობს, პილოტი „რენოს“ ახალ მფლობელებთან ახალი სიტუაციის განხილვას აპირებს. ამასთან, პოლონელი არ მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ხელფასის მომატებას.

კრივი

## ჰოლიფილდს 20 თებერვალი დაუნიშნეს

ცნობილი ვეტერანი მძიმეწონოსნების - ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდისა** და სამხრეთაფრიკელი **ფრანსუა ბოთას** ბრძოლა 20 თებერვალს გაიმართება. ეს გახლავთ ნაკლებად პრესტიჟული ორგანიზაციის - WBF-ის სატიტულო ბრძოლა, რომელიც 16 იანვარს უგანდაში უნდა გამართულიყო, მაგრამ მასპინძელმა ქვეყანამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლო შეხვედრის ორგანიზება.

თუმცა უგანდამ საბოლოოდ მაინც არ თქვა უარი ამ ბრძოლის მასპინძლობაზე. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, დედაქალაქ კამპალის მთავარ სტადიონ „ნამბოლზე“ ჰოლიფილდისა და ბოთას დაპირისპირებას 80 ათასი მაყურებელი დაესწრება.

ჩოგბურთი

## ელ აინაუი დოჰაში დაამთავრებს

38 წლის მაროკოელმა ჩოგბურთელმა **იუნეს ელ-აინაუიმ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. აფრიკელისთვის ბოლო ტურნირი კატარის ღია პირველობა იქნება, რომელიც ამჟამად დოჰაში მიმდინარეობს. ელ-აინაუის ეს შეჯიბრება 2002 წელს აქვს მოგებული, გუშინ კი წარმატებით გადალახა პირველი წრის ბარიერი, როცა ორ სეტში დაამარცხა **რილერ დე ჰეარტი** - 7:6, 7:6.

*„იუნესმა თავად გვთხოვა უაილდ-ქარდი, რადგან სწორედ ამ ტურნირის შემდეგ ტოვებს დიდ ჩოგბურთს. მისთვის დოჰა ერთ-ერთი საყვარელი ადგილია, ამიტომაც დიდხანს არ გვიფიქრია და ის ტურნირზე მოვიწვიეთ“*, - განაცხადა Qatar ExxonMobil Open-ის დირექტორმა **ქარიმ ალამიმ**.